მედიის „თავისუფლების“ ოთხი წელი საქართველოში

ანგარიში



საქართველოს
დემოკრატიული
ინიციატივა

2016

საქართველოს
დემოკრატიული
ინიციატივა

სარჩევი

1. შესავალი 3

2. საკანონმდებლო ცვლილებების გავლენა მედიის თავისუფლებაზე 7

3. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების წესი 15

4. საზოგადოებრივი მაუწყებელი 23

5. ტელეკომპანია „იმედი“ 27

6. „TV 25“ 31

7. სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის საქმე 33

8. რეიტინგების დათვლა და სარეკლამო ბაზარი 59

9. ტელეკომპანია „მაესტრო“ 63

10. ტელეკომპანია „ტაბულა“ 69

ჩვენი თავისუფლება დამოკიდებულია
პრესის თავისუფლებაზე
და მისი შეზღუდვა, მის დაკარგვას ნიშნავს.

თომას ჯეფერსონი

შესავალი

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2012-2016 წლებში მედიის თავისუფლების საკითხებს და მიმოიხილავს ყველა იმ პრობლემას, რომელიც მოცემულ პერიოდში ამ კუთხით შეიქმნა. საანგარიშო პერიოდად მიზანმიმართულადაა შერჩეული 2012-2016 წლები, რომელიც ემთხვევა საპარლამენტო არჩევნების ოთხწლიან ციკლს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში 2012 წლამდე მედიის თავისუფლების მდგომარეობის თაობაზე უკვე არსებობს არაერთი კვლევა თუ ანგარიში. ამ ანგარიშის ფარგლებში შეფასებულია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ საქართველოში მედიის თავისუფლების კუთხით არსებული ვითარება. თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ მსგავს თემატიკასა და პერიოდზე ანგარიშები მომზადებულია სხვა ორგანიზაციების მიერაც. განსხვავებით ამ დოკუმენტებისაგან წინამდებარე ანგარიშში შევეცადეთ ვრცლად მიმოგვეხილა საკანონმდებლო ცვლილებებთან თუ წარმოებულ სასამართლო დავებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები და ფაქტობრივი გარემოებები, რაც საკითხით დაინტერესებულ მკითხველს საშუალებას მისცემს შედარებით სრულყოფილი წარმოდგენა შეიქმნას არსებული პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ.

ანგარიშის მიზანს არ წარმოადგენს მედია სივრცის სრულყოფილი ანალიზი, არამედ ეხება მხოლოდ სატელევიზიო მაუწყებლებს. აღნიშნული განპირობებულია მათი განსაკუთრებული როლითა და მნიშვნელობით საზოგადოებრივ ცხოვრებაში. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, „აუდიოვიზუალური მედია, როგორიცაა რადიო და ტელევიზია, განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ მხრივ. ხმისა თუ გამოსახულების მეშვეობით შეტყობინების გაგზავნის ძალაუფლების გამო, ამგვარ მედია საშუალებებს ბეჭდვითზე უფრო მყისიერი და ძლიერი გავლენა აქვთ“.[1]

მედიის თავისუფლება საერთაშორისო კონვენციებითა და საქართველოს კონსტიტუციით დაცულ უფლებას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით გარანტირებულია გამოხატვის თავისუფლება, რომელიც საკუთარ თავში ასევე მოიაზრებს მედიის თავისუფლებას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დამოუკიდებელ სარედაქციო პოლიტიკას და ცენზურისაგან თავისუფლებას. ამავე მუხლით აკრძალულია სახელმწიფოს ან ცალკეული პირების მიერ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება ერთი მხრივ გაატაროს პოზიტიური ნაბიჯები მედია პლურალიზმისაკენ, მეორე მხრივ კი თავად არ ჩაერიოს მედიის თავისუფლებაში და ზეგავლენა არ მოახდინოს ამა თუ იმ მაუწყებლზე, მათ შორის მის სარედაქციო პოლიტიკაზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, აუდიოვიზუალური მაუწყებლობის სფეროში სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება „უზრუნველყოს პირველ რიგში,

[1] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Manole and others v. Moldova, პარ. 97.

რომ საზოგადოებას ჰქონდეს წვდომა ტელევიზიისა და რადიოს დახმარებით მიუკერძოებელ და სწორ ინფორმაციასთან, ისევე როგორც მოსაზრებათა და კომენტართა სიმრავლესთან, რომელიც ასახავს inter alia ქვეყანაში პოლიტიკური ხედვის მრავალფეროვნებას და, მეორე მხრივ რომ ჟურნალისტებსა და სხვა პროფესიონალებს, რომლებიც მუშაობენ აუდიოვიზუალურ მედიაში არ ეშლებოდეთ ხელი მოცემული ინ-ფორმაციისა და ხედვების გავრცელებაში“.[2]

ზემოთ ხსენებული ვალდებულებების მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში ხელისუფლებას ჰქონდა არაერ-თი მცდელობა, საკუთარი გავლენის ქვეშ მოექცია ესა თუ ის ტელეარხი და ჰქონოდა ზეგავლენა მის სარე-დაქციო პოლიტიკაზე.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია საზოგადოებრივი მაუწყებლის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა, რისი დეტალური აღწერა და შეფასება მოცემულია წინამდებარე ანგა-რიშში, როგორიცაა შემოსავლების სამსახურის მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის შემოწმება და პოლი-ტიკური თოქ-შოუების დახურვა, რომელიც მაუწყებლის ახალმა ხელმძღვანელმა იმით ახსნა, რომ მათი შინაარსი იყო ტენდენციური და ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკური ძალის მხარდამჭერი. აღნიშნული გა-დაწყვეტილება არასამთავრობო ორგანიზაციებმა სავსებით სამართლიანად პოლიტიკურ მოტივებს და-უკავშირეს. ამასთან, საგანგაშო ხასიათის იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ძველი შემადგენლობის რიგი წევრების მიერ გავრცელებული ინფორმაცია მათზე მიმდინარე ზეწოლისა და მუ-ქარის შესახებ, რისი მიზანიც მათ მიერ საბჭოს დატოვება იყო. მას შემდგომ, რაც ამ გზით ხელისუფლებამ მიზანს ვერ მიაღწია, პარლამენტი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების გან-ხორციელებას შეუდგა, რომლის საფუძველზეც უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდა სამეურვეო საბჭოს მთლიან შემადგენლობას (რომელიც წინა ხელისუფლების პერიოდში იყო არჩეული) და იგი თავიდან დაკომპლექტდა.

ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ხელისუფლე-ბის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ირგვლივ განვითარებულმა მოვ-ლენებმა, რასაც ანგარიშის დიდი ნაწილი ეთმობა. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლე-ბის მხრიდან სისტემატიურად გაისმოდა კრიტიკა არხის სარედაქციო პოლიტიკის მიმართ და ვრცელდე-ბოდა ინფორმაცია „რუსთავი 2“-ის თანამშრომლებზე (მათ შორის მის გენერალურ დირექტორზე) გან-ხორციელებული ზეწოლის შესახებ. ხელისუფლების წარმომადგენლები აანონსებდნენ, რომ „რუსთავი 2“ “რეალურ მესაკუთრეს” უნდა დაბრუნებოდა. ამავე საკითხთან კავშირში უნდა აღინიშნოს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებები „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც ერთი შეხედვით კეთილშობილურ მიზანს, საქართველოს კანონმდებლობის ევროპარლამენტისა და საბ-ჭოს 2010/13/EU დირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანას ემსახურებოდა, თუმცა ცვლილებების განხორ-ციელება მაუწყებლების ინტერესების უგულებელყოფით მოხდა, რის გამოც წამყვანმა ტელეკომპანიებმა (მათ შორის ყველაზე მეტად „რუსთავი 2“-მა) სერიოზული ეკონომიკური ზარალი განიცადეს.

[2] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Manole and others v. Moldova, პარ. 100

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის კუთვნილებასთან დაკავშირებული სასამართლო დავის დაწყებამ, ტელევიზიის წინააღმდეგ ბრძოლა ახალ საფეხურზე აიყვანა, რომელიც საზოგადოებაში სამართლიანად იქნა აღქმული არა როგორც რიგით, ორ სუბიექტს შორის სამართლებრივ დავად, არამედ როგორც ხელისუფლების მიზანმიმართულ მოქმედებად ტელეკომპანიის წინააღმდეგ. „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ შეფასებით სასამართლოში მიმდინარე საქმესთან დაკავშირებით პრობლემური იყო შემდეგი საკითხები:

- უკანონო და დაუსაბუთებელი განჩინებები „რუსთავი 2“-ის ქონებაზე ყადაღის დადებისა და დროებითი მმართველის დანიშვნის შესახებ;
- საქმის უჩვეულო, ფორსირებულ რეჟიმში განხილვა პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოში;
- პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეების მიუკერძოებლობის საკითხი;
- მტკიცებულებათა სანდოობა პირველი ინსტანციის სასამართლოში;
- სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მხარეებისათვის ჩაბარება;
- სასამართლო გადაწყვეტილებების (როგორც პირველი, ასევე მეორე ინსტანციის სასამართლოს) შინაარსობრივი მხარე, რომელიც შეიცავდა კანონის უხეშ, არასწორ და ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკის საწინააღმდეგო განმარტებას.

კუთვნილებასთან დაკავშირებით სასამართლო დავის უკან პოლიტიკური მოტივები არამხოლოდ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის, არამედ ტელეკომპანია „მაესტროსთან“ დაკავშირებითაც შეინიშნება, რასაც თან ახლდა ჟურნალისტების მიერ ტელეკომპანიის დატოვებისა და გადაცემების დახურვის შემთხვევები. ასევე სერიოზული გაურკვევლობა გამოიწვია ტელეკომპანია „იმედზე“ რეიტინგული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების შეჩერების ფაქტმა და მოულოდნელმა საკადრო ცვლილებებმა.

ზემოხსენებული საქმეების გარდა ანგარიშში მიმოხილულია სხვადასხვა ტელეკომპანიებიდან ჟურნალისტების დაუსაბუთებელი და ზოგიერთ შემთხვევაში უკანონო გათავისუფლების, სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევის, ჟურნალისტებზე ფიზიკური ანგარიშსწორების და სხვა მსგავსი ფაქტები.

ანგარიშის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა საქართველოს კანომდებლობაში განხორციელებული ცვლილებების მიმოხილვას, რომელთაც შესაძლოა გავლენა ქონდეთ მედია თავისუფლებაზე. უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი აჩვენებს, რომ სახელმწიფო ხშირ შემთხვევაში არ ითვალისწინებს კანონმდებლობის ცვლილებების პრაქტიკულ უარყოფით შედეგებს ან მიზანმიმართულად უგულებელყოფს მათ ზოგიერთი მაუწყებლისადმი ზიანის მიყენების მოტივით. ვთვლით, რომ აუცილებელია ნებისმიერი ცვლილების განხორციელებისას კანონმდებელმა მხედველობაში მიიღოს იმ პირთა ინტერესები, რომლებზეც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ცვლილებების მიღებამ.

ზოგადად პოზიტიურად უნდა შეფასდეს სახელმწიფოს ნება, წინსწრებით და საჭიროზე ადრე დაახლოოს საქართველოს კანონმდებლობა ევროკავშირის სტანდარტებთან, თუმცა აღნიშნული არ უნდა განხორციელდეს კონკრეტულ პირთა ინტერესების უგულებელყოფის, მათთვის ზიანის მიყენების ხარჯზე, როდესაც არ არსებობს ამის დაუძლეველი ინტერესი/მიზანი. გაუმართლებელია, სახელმწიფოს მხრიდან უფრო მეტად დემოკრატიული წესების შემოღებაზე აპელირებით ისეთი ვითარების შექმნა, რომელიც მნიშვნე-

ლოვნად აზარალებს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებების აღსრულებას ან/და წარმოშობს ისეთი კრიზისების საფრთხეს, რომლის დადგომის შემთხვევაშიც ნებისმიერ, თუნდაც უფრო მეტად დემოკრატიული წესების არსებობას აზრი ეკარგება.

ანგარიშში ასახული ფაქტების და საანგარიშო პერიოდში გამოკვეთილი ტენდენციების გაანალიზება კომპლექსურად, მოვლენათა ქრონოლოგიის, არსებული კონტექსტის, პოლიტიკოსებისა და საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან გაკეთებული შეფასებების გათვალისიწნებით მოხდა, რაც შესაძლებლობას იძლევა, რომ მკითხველს სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნას საქართველოში არსებული მედია თავისუფლების კუთხით არსებულ მდგომარეობაზე.

მედია გარემოს კომპლექსური დაკვირვება თვალნათელს ხდის ხელისუფლების ლტოლვას, სრული ან მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ქვეყანაში მოქმედ ყველა წამყვან ტელემაუწყებელზე. როგორც ანგარიში ცხადყოფს, საზოგადოებრივ მაუწყებელზე, ტელეკომპანია „იმედსა“ და ტელეკომპანია „მაესტროზე“ გადაცემების დახურვისა და ჟურნალისტებთან შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის მოტივი პირდაპირ ან ირიბად სწორედ ხელისუფლებისადმი არალოიალური დამოკიდებულება ან ხელისუფლების მიერ დაწუნებული სარედაქციო პოლიტიკა გახლდათ, ხოლო რუსთავი 2-ის სარედაქციო პოლიტიკის მკვეთრი ცვლილებისთვის ხელისუფლების ბრძოლა, ყველაზე თვალნათლივ მედიამფლობელთა წინააღმდეგ სამართლებრივი დავის სახით წარმოგვიდგება.

ხელისუფლების მხრიდან ამა თუ იმ მაუწყებელზე გავლენის მოპოვების ნებისმიერი მცდელობა, მითუმეტეს კი მაუწყებლებზე სამართლებრივი იერიში, განსაკუთრებით საშიშია სახელმწიფოში გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რაც საბოლოო ჯამში საფრთხეს უქმნის ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებას და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი, პლურალისტული გარემოს არსებობას.

2.

საკანონმდებლო ცვლილებების ბავლენა მედიის თავისუფლებაზე

2.1. შესავალი 8

2.2. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები სამაუწყებლო რეკლამასთან, ტელეშოპინგთან და სპონსორობასთან დაკავშირებით 10

2.2.1. ცვლილებების განხორციელების წინაპირობა 10

2.2.2. კანონპროექტში არსებული ხარვეზები და გათვალისწინებული შენიშვნები 11

ა) რეკლამისა და ტელეშოპინგის განთავსება 11

ბ) სპონსორობა 11

გ) კანონის მიღებისა და ამოქმედების ვადები 12

2.2.3. შეფასებები 13

2.1. შესავალი

როგორც აღინიშნა გამოხატვის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით დაცული უფლებაა, რომელიც თავის თავში მოიაზრებს ასევე მედიის თავისუფლებას, ჰქონდეთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკა და არ დაექვემდებარონ რაიმე სახის ცენზურას (საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, საქართველოს კონსტიტუცია ამერიკის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის გავლენით გამოხატვის თავისუფლების საკმაოდ მაღალ სტანდარტს აწესებს და დაცულ სფეროში მოიაზრებს ნებისმიერ გამოხატვას, მათ შორის ისეთ ინფორმაციისა თუ იდეებს, რომელიც შეიძლება ემოციურად გამაღიზიანებელი აღმოჩნდეს ან მიუღებელი საქციელის წამახალისებელი იყოს".[3] სასამართლოს განმარტებით, გამოხატვის შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი ქმნის კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის „აშკარა, პირდაპირ და არსებით" საფრთხეს.[4]

საქართველოს კონსტიტუციის გარდა გამოხატვის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმები არაერთ სხვა საკანონმდებლო აქტში გვხვდება, მათ შორის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონში, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონში, სისხლის სამართლის კოდექსში და სხვა. რაც შეეხება საკუთრივ მედიის თავისუფლებას, ამ მიმართულებით ერთ-ერთ მნიშნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც „სიტყვისა და აზრის თავისუფლებისა და თავისუფალი მეწარმეობის პრინციპების შესაბამისად განსაზღვრავს მაუწყებლობის განხორციელების წესს, მაუწყებლობის სფეროში ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს შექმნის წესსა და ფუნქციებს, ამ სფეროში საქმიანობის რეგულირების პირობებს, მაუწყებლობის განხორციელების უფლების მოპოვების წესსა და პროცედურებს" („მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლი).

უკანასკნელ ოთხ წელიწადში მაუწყებლობის რეგულირებასთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა. მათ შორის აღსანიშნავია, 2010 წლის 10 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/13/EU დირექტივის შესაბამისად აუდიოვიზუალური მედიის მომსახურებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით მიღებული ცვლილებები. ამ მიმართულებით სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ ცვლილებების მიღება ნაჩქარევად, წამყვანი მაუწყებლობების ინტერესების უგულებელყოფით განხორციელდა, რის გამოც მათ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი განიცადეს. საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა აღნიშნული ფაქტი ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის წინააღმდეგ მიმართულ აქტად აღიქვა, გამომდინარე იქიდან, რომ რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებული შეზღუდვები ყველაზე მეტად ფინანსურად სწორედ მას აზარალებდა. ამასთან, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც კანონმდებელი ევროდირექტივის მოთხოვნებზე მითითებით

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის # 1/3/421,422 გადაწყვეტილება, II.პ.7;
[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.104;

ცდილობდა ისეთი შემზღუდველი ნორმების შემოღებას, რომელიც რეალურად არ ყოფილა გათვალისწინებული დირექტივით.

კიდევ ერთი მნიშნელოვანი საკითხი, რომელიც „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებებს უკავშირდება, არის საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების ახალი წესი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ახალი წესი ფართო საზოგადოებამ პოზიტიურად შეაფასა, მისი იმპლემენტაციისას გამოვლინდა სერიოზული პრობლემები, რამაც საზოგადოებრივი მაუწყებელი გარდაუვალი კრიზისის საფრთხის წინაშეც დააყენა. კერძოდ, საქართველოს პარლამენტმა ერთი მხრივ მიღებული ცვლილებებით ფაქტობრივად უფლებამოსილება შეუწყვიტა ძველ სამეურვეო საბჭოს, თუმცა ამავდროულად ახალი საბჭოს დამტკიცება ხანგძლივი პერიოდის განმავლობაში ვერ მოახერხა. შესაბამისად, თითქმის ერთი წლის განმავლობაში საზოგადოებრივ მაუწყებელს მთავარი მმართველობითი ორგანო არ ჰყოლია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ძველი საბჭოს წევრებისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო. თუმცა, მიუხედავად ამისა, ძველი საბჭოს წევრებმა „სამეურვეო საბჭოს წევრის“ სტატუსით უფლებამოსილების განხორციელება მთელი ვადით მაინც ვერ შეძლეს. საქართველოს პარლამენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების „გათვალისწინებით“ და ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტის „საკომპენსაციოდ“ საზოგადოებრივ მაუწყებელზე შექმნა ახალი ორგანო, მონიტორინგის საბჭო, რომლის ფარგლებშიც ძველი საბჭოს წევრებს სარეკომენდაციო და საზედამხედველო ხასიათის უფლებამოსილებები მიანიჭა.

მთლიანობაში უკანასკნელ პერიოდში კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების ანალიზმა აჩვენა, რომ სახელმწიფო ხშირ შემთხვევაში არ ითვალისწინებს კანონმდებლობის ცვლილებების პრაქტიკულ უარყოფით შედეგებს ან მიზანმიმართულად უგულებელყოფს მათ. აუცილებელია ნებისმიერი ცვლილების განხორციელებისას კანონმდებელმა მხედველობაში მიიღოს იმ პირთა ინტერესები, რომლებზეც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ცვლილებების მიღებამ. ამასთან, რა თქმა უნდა ზოგადად პოზიტიურად უნდა შეფასდეს სახელმწიფოს ნება, წინსწრებით და საჭიროზე ადრე დაახლოოს საქართველოს კანონმდებლობა ევროკავშირის სტანდარტებთან, თუმცა აღნიშნული არ უნდა განხორციელდეს კონკრეტულ პირთა ინტერესების უგულებელყოფის, მათთვის ზიანის მიყენების ხარჯზე ან სურვილით, როდესაც არ არსებობს ამის დაუძლეველი ინტერესი/მიზანი.

ამასთან, გაუმართლებელია, სახელმწიფოს მხრიდან უფრო მეტად დემოკრატიული წესების შემოღებაზე აპელირებით ისეთი ვითარების შექმნა, რომელიც მნიშვნელოვნად აზარალებს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებების აღსრულებას ან/და წარმოშობს ისეთი კრიზისების საფრთხეს, რომლის დადგომის შემთხვევაშიც ნებისმიერი, თუნდაც უფრო მეტად დემოკრატიული წესების არსებობას აზრი ეკარგება.

2.2. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები სამაუწყებლო რეკლამასთან, ტელეშოპინგთან და სპონსორობასთან დაკავშირებით

2.2.1. ცვლილებების განხორციელების წინაპირობა

2015 წლის 19 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები შეიტანა. კანონპროექტის ინიცირება საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის მიერ მოხდა. კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის ანგარიშის, ისევე როგორც კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, ცვლილებები რეკლამის სხვადასხვა სახეობის რეგულაციებს ეხება და მიზნად ისახავს საქართველოში სამაუწყებლო ბაზრის მოწესრიგებას და აღნიშნული ბაზრის მოთამაშეებისათვის თანაბარი პირობების შექმნას, მაუწყებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის აუდიო-ვიზუალური მომსახურების (AVMS) დირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანის გზით.[5]

აღსანიშნავია, რომ აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროში თანამშრომლობის ვალდებულებას ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულება (ხელშეკრულების მე-18 თავი). ამასთან, აღნიშნული ხელშეკრულების XXXIII დანართის თანახმად, საქართველო იღებს ვალდებულებას განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს. კერძოდ 2010 წლის 10 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/13/EU დირექტივას „აუდიოვიზუალური მედიის მომსახურებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების კანონებით, რეგულაციებითა ან ადმინისტრაციული აქტებით გათვალისწინებული გარკვეული დებულებების კოორდინაციის შესახებ“ (აუდიოვიზუალური მედიის მომსახურებების დირექტივა).

მიღებული ცვლილებებით საქართველოს კანონმდებლობის ნორმათა ნაწილი შესაბამისობაში მოვიდა ხსენებულ ევროდირექტივასთან. მათ შორის, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში აისახა ისეთი საკითხი, როგორიცაა პროგრამაში პროდუქციის (საქონლის/მომსახურების) განთავსება (ე.წ. product placement), შეიცვალა კომერციული რეკლამისა და ტელეშოპინგის დეფინიციები და მათთან დაკავშირებული სხვა საკითხების რეგულაცია. ცვლილებები შეეხო ასევე სპონსორობას, სამაუწყებლო ეთერში სარეკლამო ჭრების განთავსების ოდენობას და სხვა.

საგულისხმოა, რომ კანონის მიღების პროცესში საკმაოდ მწვავე დისკუსია მიმდინარეობდა. სხვადასხვა სამაუწყებლო კომპანიებს არაერთი შენიშვნა ჰქონდათ კანონპროექტთან დაკავშირებით, ვინაიდან კანონი (განსაკუთრებით მისი თავდაპირველი ვერსია) აწესებდა საკმაოდ მკაცრ შეზღუდვებს რეკლამისა და ტელეშოპინგის განთავსებასთან, ასევე სპონსორობასთან დაკავშირებით, რაც არ ყოფილა ევროდირექტივის მოთხოვნა.

[5] განმარტებითი ბარათი, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/54691?; 2014 წლის ანგარიში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, 20.

2.2.2. კანონპროექტში არსებული ხარვეზები და გათვალისწინებული შენიშვნები

ა) რეკლამისა და ტელეშოპინგის განთავსება

კანონპროექტის თავდაპირველ ვერსიაში „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლს ემატებოდა 2^2 პუნქტი, რომლის თანახმად, მაუწყებლის არხზე (გარდა სპეციალიზირებული სარეკლამო ან/და ტელეშოპინგის არხისა) რეკლამის ან/და ტეპეშოპინგის (teleshopping Spot) სარეკლამო წყვეტაში განთავსება სამაუწყებლო საათში დასაშვები იყო მაქსიმუმ 9 წუთით (სამაუწყებლო საათის 15%). აღნიშნულთან დაკავშირებით ტელეკომპანიებმა კანონპროექტის განხილვის ეტაპზე შენიშვნები გამოთქვეს, ვინაიდან მსგავსი ლიმიტი არ წარმოადგენდა ევროკავშირის დირექტივის მოთხოვნას. აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით ლიმიტად სამაუწყებლო საათის 20% განისაზღვრა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თავდაპირველი ჩანაწერის თანახმად, ზემოაღნიშნული შეზღუდვა ვრცელდებოდა ნებისმიერი სახის რეკლამასა თუ ტელეშოპინგზე. თუმცა, საბოლოო რედაქციით დაწესდა გამონაკლისი, რომლის თანახმადაც შეზღუდვა არ ვრცელდება მაუწყებლის მიერ საკუთარ ან/და დამოუკიდებელ პროგრამასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაზე, ამ პროგრამიდან გამომდინარე და მასთან პირდაპირ დაკავშირებულ პროდუქციაზე, სასპონსორო განაცხადებასა და პროგრამაში (საქონლის/მომსახურების) განათავსებაზე („მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ასეთი გამონაკლისი გათვალისწინებულია ევროდირექტივის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტითაც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კანონპროექტის თავდაპირველ ვერსიაში 20%-იანი შეზღუდვა მიბმული იყო მაუწყებლობის ხანგძლივობაზე, საბოლოდ კი განისაზღვრა, რომ რეკლამის ან/და ტელეშოპინგის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს „სამაუწყებლო საათში“ 20 %-ს.

გარდა ზემოაღნიშნულისა კანონპროექტი ითვალისწინებდა სხვა შეზღუდვასაც. კერძოდ, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებებით ახალი ამბების პროგრამა რეკლამით ან ტელეშოპინგით შეიძლება შემწყდარიყო არაუმეტეს 30 წუთში ერთხელ. ტელეკომპანიების შენიშვნას ამ შემთხვევაში წარმოადგენდა ახალი ამბების რეკლამით ან/და ტელეშოპინგით გაჭრისათვის ნაცვლად 30 წუთიანი პერიოდისა 15 წუთიანი პერიოდის დაწესება. საგულისხმოა, რომ კანონპროექტი პარლამენტმა აღნიშნული ჩანაწერის ცვლილების გარეშე დაამტკიცა, თუმცა კანონს 76-ე მუხლის 32-ე პუნქტად დაემატა გარდამავალი დებულება, 2017 წლის 15 იანვრამდე რომლის თანახმად, ახალი ამბების პროგრამა რეკლამით ან ტელეშოპინგით შეიძლება შეწყდეს არაუმეტეს 15 წუთში ერთხელ. აღნიშნულის შემდგომ ამოქმედდება 30 წუთიანი შეზღუდვა.

ბ) სპონსორობა

კანონპროექტის თავდაპირველი ვერსია კრძალავდა სპონსორზე მითითებას სპონსორის მიერ ნაწილობრივ ან მთლიანად დაფინანსებული პროგრამის ანონსში („მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 68^2 მუხლი). ამასთან, კანონპროექტი ითვალისწინებდა, რომ სპონსორის მიერ ნაწილობრივ ან მთლიანად დაფინანსებულ პროგრამაში სპონსორების შესახებ მითითება უნდა ყოფილიყო მოკლე და არაუმატეს საათში 5%-ისა („მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 68^2 მუხლი). აღნიშნული ჩანაწერი საბოლოოდ გაუქმდა. თუმცა კანონში აისახა გარდამავალი დებულება,

რომლის თანახმადაც 2016 წლის 15 იანვრამდე „ამ კანონის 68-ე მუხლით გათვალისწინებულ სპონსორის მიერ ნაწილობრივ ან მთლიანად დაფინანსებულ პროგრამაში და მაუწყებლის მიერ საკუთარ ან/და დამოუკიდებელ პროგრამასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაში სპონსორზე მითითება მოკლე უნდა იყოს და არ უნდა აღემატებოდეს სამაუწყებლო საათში 4 წუთს“. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის დირექტივა რაიმე ლიმიტის დაწესებას სპონსორობის ხანგძლივობასთან დაკავშირებით არ ითვალისწინებს.

კანონპროექტის განხილვის პერიოდში ერთ-ერთ შენიშვნას წარმოადგენდა სპონსორობასთან დაკავშირებით დაწესებული დეფინიციის შესაბამისობაში მოყვანა დირექტივასთან. კერძოდ, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 67-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „სპონსორობისას დაუშვებელია საქონლის/მომსახურების შეძენის, მიწოდებისა და მოხმარებისაკენ პირდაპირი მოწოდება ამ საქონელზე ან/და მომსახურებაზე სპეციალური მითითებით“. ტელეკომპანიების განცხადებით მსგავსი ფორმულირება არ იყო შესაბამისობაში დირექტივასთან და დირექტივისგან განსხვავებით უფრო ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონისგან განსხვავებით დირექტივა კრძალავს ამ ტიპის მოწოდებას <u>მხოლოდ პროგრამის საშუალებით</u>. ამგვარად მსგავს მოწოდებებსა და მითითებებს არ უნდა შეიცავდეს თავად ის პროგრამა, რომელსაც სპონსორი აფინანსებს, ხოლო მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში გამოყენებული ტერმინი „სპონსორობისას“ შესაძლოა ასევე მოიცავდეს სხვა საკითხებს, როგორიცაა სასპონსორო ანონსი, სასპონსორო ტიხარი და სხვა.[6]

ხაზგასასმელია, რომ ნორმასთან დაკავშირებით წარმოდგენილი შენიშვნები არ იქნა გათვალისწინებული, თუმცა კანონს გარდამავალი დებულების სახით დაემატა ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას 2016 წლის 15 იანვრამდე უნდა დაედგინა სპონსორზე მითითების სახელმძღვანელო რეკომენდაციები, აუდიოვიზუალური მედიის მომსახურებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების კანონებით, რეგულაციებით ან ადმინისტრაციული აქტებით გათვალისწინებული გარკვეული დებულებების კოორდინაციის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010 წლის 10 მარტის 2010/13/EU დირექტივის (აუდიოვიზუალური მედიის მომსახურებების დირექტივა) შესაბამისად და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით. კომისიამ მიიღო აღნიშნული დოკუმენტი, თუმცა რას გულისხმობს საკანონმდებლო ნორმაში სიტყვა „სპონსორობისას“ არც სახელმძღავანელო რეკომენდაციებში არაა პირდაპირ განმარტებული. ამასთან, მთლიანობაში, რეკომენდაციების ცალკეული დებულებებიდან გამომდინარე ჩანს, რომ კომისია ზემოაღნიშნულ აკრძალვაში (სპონსორის მითითებასთან დაკავშირებით) მოიაზრებს როგორც „პროგრამის მიმდინარეობას“ ასევე „პროგრამის ანონსირებასაც“.

გ) კანონის მიღებისა და ამოქმედების ვადები

კანონპროექტის განხილვის ეტაპზე კრიტიკის ერთ-ერთ მთავარ ობიექტს კანონის ამოქმედების ვადები წარმოადგენდა, რაც ტელეკომპანიების და **არასამთავრობო ორგანიზაციების**, ასევე **ევროსაბჭოს საპარ-**

[6] მედიის თავისუფლება 2015, მედიის განვითარების ფონდი, 13; ტელეკომპანია „მაესტროს“ შენიშვნები კანონპროექტთან დაკავშირებით.

ლამენტო ასამბლეის განცხადებით, იყო ფორსირებული და მნიშვნელოვნად აზარალებდა ტელეკომპანიებს. კერძოდ, თავდაპირველად კანონის ძირითადი ნაწილის ამოქმედება მისი მიღებიდან 15 დღეში (კანონი 2015 წლის 19 თებერვალს მიიღეს) იგეგმებოდა, თუმცა საბოლოოდ იგი 2015 წლის 01 აპრილს ამოქმედდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კანონპროექტის ინიციატორების მოთხოვნით კანონის განხილვა დაჩქარებული წესით **იგეგმებოდა**, თუმცა ტელეკომპანიების მხრიდან გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, კანონის მიღება მისი ინიცირებიდან თითქმის ორი თვის შემდეგ მოხდა.

განსაკუთრებული აქცენტი ტელეკომპანიებისა და საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან **კეთდებოდა იმაზე**, რომ მომხდარიყო სამაუწყებლო საათში კომერციული რეკლამისათვის დაწესებული 20%-იანი შეზღუდვის გადავადება 2016 წლამდე, ვინაიდან იგი მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აყენებდა ტელეკომპანიებს, თუმცა აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინება არ მომხდარა. კანონის ძირითადი ნაწილი, ამ ნორმის ჩათვლით 2015 წლის 01 აპრილიდან ამოქმედდა.

გასათვალისწინებელია, რომ ასოცირების ხელშეკრულების XXXIII დანართის შესაბამისად, 2010/13/EU დირექტივის დებულებები უნდა შესრულებულიყო შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში, ხოლო დირექტივის 23-ე მუხლი, რომელიც სწორედ სამაუწყებლო საათში სარეკლამო დროს ეხება, ხუთი წლის ვადაში. ასოცირების ხელშეკრულება სრულად 2016 წლის 01 ივლისს ამოქმედდა. შესაბამისად, დროის ათვლა სწორედ ამ მომენტიდან დაიწყებოდა. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ამის მიუხედავად აღნიშნული ცვლილებების ამოქმედება, დირექტივის 23-ე მუხლის ჩათვლით საკმაოდ ადრე, 2015 წელს მოხდა. იმასთან დაკავშირებით თუ რატომ იყო აუცილებელი აღნიშნული ნორმების ასე მალე ამოქმედება, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ, ზურაბ ტყემალაძემ **განაცხადა**, რომ „საკითხზე მუშაობა 2011 წელს დაიწყო და დღეს ის პარლამენტს დასასრულისკენ მიჰყავს."

2.2.3. შეფასებები

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების მიღებასთან დაკავშირებით საკმაოდ მწვავე კრიტიკა გამოითქვა როგორც საპარლამენტო ოპოზიციის, ასევე ტელეკომპანიებისა და სამოქალაქო სექტორის მხრიდან. მათ ცვლილებების ფორსირებულად მიღება მსხვილი ტელეკომპანიების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიად შეაფასეს. "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" **შეფასებით**, „საქართველოს პარლამენტში მაუწყებლობის შესახებ კანონპროექტის განხილვის ფონზე შთაბეჭდილება რჩება, რომ დეპუტატებისათვის წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების მთავარ მიზანს მედია ბაზარზე არსებული მსხვილი მაუწყებლისათვის შეზღუდვების დაწესება წარმოადგენს." აღსანიშნავია, რომ **საპარლამენტო ოპოზიციამ** ცვლილებების მიღება ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ და რეიტინგულ ტელეკომპანიაზე, „რუსთავი 2"-ზე თავდასხმად შეაფასა, რომელიც მათი აზრით საბოლოოდ ტელევიზიის დამოუკიდებლობის ჩახშობას ისახავდა მიზნად. აქვე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტიც, რომ „რუსთავი 2"-ის კუთვნილებასთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოში დავა ამ ცვლილებების მიღებისა და ამოქმედების შემდეგ, 2015 წლის აგვისტოში დაიწყო.

„რუსთავი 2"-ის გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას **განცხადებით**, განხორციელებულმა ცვლილებებმა ტელეკომპანიას 5-მილიონიანი დეფიციტი შეუქმნა. პრობლემური იყო ისიც, რომ წლის შუა პე-

რიოდში განხორციელდა ახალი კომერციული პირობების შემოღება, მაშინ როდესაც სარეკლამო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებები უკვე დადებული იყო ერთი წლის ვადით.

გასათვალისწინებელია მიღებულ ცვლილებებთან დაკავშირებით საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის, გოგი თოფაძის შეფასება, რომელმაც განაცხადა: **„რა არის ეს „რუსთავი 2“, რომელიც წლების მანძილზე მოვლენებს არაობიექტურ შეფასებას აძლევს, ცალმხრივია და ბუნებრივია, რომ რაღაც შეუზღუდეს“**.

ხაზგასასმელია, რომ მიღებულ ცვლილებებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსირა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამაც, რომლის აზრით, „შემაშფოთებელია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მედიის კუთვნილებასთან დაკავშირებით მიღებული საკამათო ცვლილებები და მიღებულ კანონი, რომელიც მიზნად ისახავს კერძო მაუწყებლობის ფინანსური დამოუკიდებლობის ალაგმვას, რაც პოტენციურად გავლენას მოახდენს მათ სარედაქციო დამოუკიდებლობაზეც“.[7]

ამგვარად, მიუხედავად კანონპროექტის განხილვის პერიოდში გარკვეული შენიშვნების გათვალისწინებისა, მთლიანობაში კანონის დაჩქარებული წესით მიღების სურვილი, მისი მყისიერი ამოქმედება, მთავარი შენიშვნების გაუთვალისწინებლობა სარეკლამო დროსთან დაკავშირებით, ასევე ევროდირექტივის მოთხოვნებთან აცდენილი რეგულაციების შემოღება, კანონის მიღების შემდეგ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ირგვლივ განვითარებული მოვლენები და საზოგადოების ფართო სპექტრის შეფასებები ტოვებს იმის განცდას, რომ საქართველოს კანონმდებლობის ევროდირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანის გაცხადებული მიზნის გარდა, საპარლამენტო უმრავლესობის ფარულ მიზანს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისათვის ფინანსური პრობლემების შექმნა წარმოადგენდა.

[7] Protection of the safety of journalists and of media freedom in Europe, Resolution 2035 (2015), Parliamentary Assembly, para 14; http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=21544&lang=

3.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების წესი

3.1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში მიღებული ცვლილებები საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ახალი წესით დაკომპლექტების შესახებ 16

3.2. ცვლილებებით გამოწვეული კრიზისი საზოგადოებრივ მაუწყებელზე 17

ა) საზოგადოებრივი მაუწყებელი სამეურვეო საბჭოს გარეშე 17

ბ) წილისყრით როტაციის წესით უფლებამოსილების ვადების განსაზღვრა 18

3.3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სამეურვეო საბჭოს წევრების ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით 19

3.4. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება 21

3.1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში მიღებული ცვლილებები საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ახალი წესით და კომპლექტების შესახებ

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება რაც საანგარიშო პერიოდში მედიის თავისუფლების კუთხით განხორციელდა, ეხებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების წესს. ამ მიმართულებით „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები შევიდა 2013 წლის ივლისსა და ნოემბერში.

აღსანიშნავია, რომ ცვლილებებით საბჭოს წევრთა (მეურვეთა) რაოდენობა 15-დან 9-მდე შემცირდა. ამასთან, შეიცვალა საბჭოს წევრთა არჩევის წესი. კერძოდ, ცვლილებების თანახმად, მეურვის ასარჩევად საქართველოს პარლამენტში იქმნება სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული 9 წევრიანი საკონკურსო კომისია, რომელიც აცხადებს ღია კონკურს მეურვის კანდიდატურის შერჩევისათვის. ხოლო კონკურსის საფუძველზე შერჩეული კანდიდატთა სიიდან, საქართველოს პარლამენტს ორ კანდიდატს წარუდგენს საქართველოს სახალხო დამცველი, სამს – საპარლამენტო უმრავლესობა, სამს – საპარლამენტო უმრავლესობას მიღმა დარჩენილი შემადგენლობა (ოპოზიცია) და ერთს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო. მეურვეთა არჩევა ხდება პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მიერ.[8] ცვლილებებამდე მოქმედი წესის თანახმად, ყველა მეურვე ირჩეოდა საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავდა საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის თანხმობის მოპოვების შემთხვევაში.[9]

ცვლილებებით ახლებურად ყალიბდება მეურვის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძვლები, სამეურვეო საბჭოს სხდომის ჩატარების წესი, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის და მოადგილის არჩევის წესი (მათ შორის საბჭოს ენიჭება შესაძლებლობა თანამდებობიდან ვადამდე გადააყენოს თავმჯდომარე/თავმჯდომარის მოადგილე), საბჭოს ფუნქციები და მეურვის უფლება-მოვალეობები, გენერალური დირექტორის არჩევა და მისი თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლების წესი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, შეიქმნა სსიპ – „საზოგადოებრივი მაუწყებლობის აჭარის ტელევიზია და რადიო“, განისაზღვრა მისი სტრუქტურა, მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტების და დირექტორის არჩევის წესი, მათი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

გასათვალისწინებელია, რომ მიღებულ ცვლილებებს საქართველოს იმდროინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ვეტო დაადო, პრეზიდენტს კანონპროექტთან დაკავშირებით ოთხი ძირითადი შენიშვნა ჰქონდა. მათ შორის, მან გააკრიტიკა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ზოგადი წესები და ასევე მოქმედი საბჭოსთვის უფლებამოსი-

[8] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 25-ე მუხლი და 26-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[9] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 2013 წლის 12 ივლისამდე მოქმედი რედაქციის 26-ე მუხლი.

ლების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. პრეზიდენტის **აზრით,** ძალაში კანონის ის მოქმედი ნორმები უნდა დარჩენილიყო, რომელიც პარლამენტის მიერ მეურვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის აღძვრისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის მაღალ კვორუმს ადგენდა. ამასთან, პრეზიდენტის მოსაზრებით, კანონპროექტი ადგენდა მაუწყებლის მიერ მარეგულირებელი კომისიისთვის წარსადგენ ინფორმაციასთან დაკავშირებულ დამატებით ვალდებულებებს, რაც მძიმე ტვირთად დააწვებოდა მაუწყებელს.[10] პრეზიდენტის კიდევ ერთ შენიშვნას წარმოადგენდა ის, რომ ცვლილებებით პარლამენტს ენიჭებოდა უფლებამოსილება უნდობლობა გამოეცხადებინა სამეურვეო საბჭოს სრული შემადგენლობისათვის, რასაც მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა. პრეზიდენტის პრეს-სპიკერის **განცხადებით**, „კანონპროექტის აღნიშნული დებულებები არსებითად ამცირებს საზოგადოებრივი მაუწყებლის, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსა და მის წევრთა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისაგან დამოუკიდებლობას და ქმნის პოლიტიკური მოტივაციით საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა თანამდებობიდან გათავისუფლების საფრთხეს“.

საქართველოს პარლამენტმა პრეზიდენტის შენიშვნები არ გაითვალისწინა, **დაძლია ვეტო** და კანონს საბოლოოდ ხელი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მოაწერა, რის შემდეგაც იგი ძალაში შევიდა.

3.2. ცვლილებებით გამოწვეული კრიზისი საზოგადოებრივ მაუწყებელზე

მიუხედავად იმისა, რომ სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების ახალი წესი პოზიტიურად შეფასდა, მისი იმპლემენტაციისას სერიოზული პრობლემები გამოვლინდა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში საზოგადოებრივ მაუწყებელზე კრიზისიც კი შექმნა.

ა) საზოგადოებრივი მაუწყებელი სამეურვეო საბჭოს გარეშე

აღსანიშნავია, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის გარდამავალი დებულების თანახმად, „ამ კანონის ამოქმედებიდან ახალი სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილების დაწყებამდე საზოგადოებრივი მაუწყებლის მოქმედი სამეურვეო საბჭო არ არის უფლებამოსილი, მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება, გარდა სარეკომენდაციო გადაწყვეტილებისა.“[11] ამავდროულად, მიღებული ცვლილებების თანახმად, ახლად არჩეული საბჭოს უფლებამოსილება იწყება მას შემდეგ, რაც პარლამენტი აირჩევს არანაკლებ 7 წევრს.[12] ამგვარად, მივიღეთ ვითარება, როდესაც ერთი მხრივ საბჭოს ძველ შემადგენლობას აღარ ჰქონდა უფლებამოსილება მიეღო გადაწყვეტილებები (უფლებამოსილება ამოეწურათ 2013 წლის 25 ნოემბერს), ხოლო მეორე მხრივ იმისათვის, რომ ახალ საბჭოს დაეწყო ფუნქციონირება, საჭირო იყო პარლამენტის მიერ მინიმუმ 7 წევრის არჩევა. აღ-

[10] კანონპროექტის თანახმად, ეროვნულ მაუწყებელს ეკისრება ყოველი წლის 1-ელ მაისამდე კომისიისათვის გასული წლის აქტივების და პასივების, აგრეთვე ინვესტირების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება.

[11] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონი, მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი, 2013 წლის 20 ნოემბრის რედაქცია.

[12] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონი, მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი, 2013 წლის 20 ნოემბრის რედაქცია.

ნიშნულის საპირისპიროდ, 2014 წლის იანვრის ბოლომდე საქართველოს პარლამენტმა მხოლოდ ოთხი ახალი წევრის დამტკიცება შეძლო (2013 წლის 27 დეკემბერს დამტკიცდა 3 წევრი და 2014 წლის 24 იანვარს კიდევ ერთი), ხოლო კიდევ სამი წევრის დამტკიცება მხოლოდ 2014 წლის 11 მარტს.

თავდაპირველად მიღებული ცვლილებების ამოქმედება 2013 წლის ივლისიდან იგეგმებოდა, თუმცა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების შენიშვნების გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტმა გადაწია სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის ახალი წესის ამოქმედება. საბოლოოდ ცვლილებები 2013 წლის 25 ნოემბრიდან ამოქმედდა. ამგვარად, ძველი საბჭოს წევრებს უფლებამოსილება 4 თვით გაუგრძელდათ, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ამ პერიოდში მათი უფლებამოსილებები მნიშვნელოვნად იყო შემცირებული და შემოიფარგლებოდა მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებების გაცემით. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტიც, რომ ამ პერიოდში ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა 7 ახალი წევრის არჩევის შემთხვევაში ძველი საბჭოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შეჩერებული იყო და იგი საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 11 აპრილს არაკონსტიტუციურად ცნო.[13] ხოლო არაკონსტიტუციური ნორმის სანაცვლოდ საქართველოს პარლამენტმა ახალი კანონი 2014 წლის 02 მაისს მიიღო.

ამგვარად, ფაქტობრივად 2013 წლის 25 ივლისიდან 2014 წლის 02 მაისამდე (თითქმის ერთი წელი) არსებობდა საკანონმდებლო ვაკუუმი და საზოგადოებრივ მაუწყებელს არ ჰყოლია უფლებამოსილი/ფუნქციური სამეურვეო საბჭო, შესაბამისად ამ პერიოდში საზოგადოებრივ მაუწყებელზე შეუძლებელი იყო სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებების მიღება, მათ შორის, პროგრამული პრიორიტეტების დამტკიცება, მაუწყებლის დებულების დამტკიცება, ბიუჯეტის მიღება და სხვა. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველოს პარლამენტმა საპარლამენტო უმცირესობის კანდიდატურების დამტკიცება ვერც ერთხელ **ვერ მოახერხა**. ამასთან, ამის შემდეგ, **2016 წლის მარტამდე** საქართველოს პარლამენტს ახალი კონკურსი ვაკანტურ თანამდებობებზე აღარ გამოუცხადებია.[14]

ბ) წილისყრით როტაციის წესი თუ ფლებამოსილების ვადების განსაზღვრა

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ძველი წევრების ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტას და ახალი წევრების სრული შემადგენლობით დაუმტკიცებლობას მოჰყვა, უკავშირდება წილისყრით როტაციის წესით უფლებამოსილების ვადების განსაზღვრას. კერძოდ, ცვლილებებით გარდამავალ დებულებად განისაზღვრა, რომ „არჩეულ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა შორის ტარდება წილისყრა, რომლის შედეგადაც განისაზღვრება სამეურვეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა ისე, რომ სამეურვეო საბჭოს წევრთა ერთი მესამედის უფლებამოსილების ვადა იყოს 2 წელი, ერთი

[13] შენიშვნა: საკონსტიტუციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილებებზე ქვევით დეტალურად იქნება მსჯელობა.
[14] საბჭოს სრულად დაკომპლექტება ორ წელიწადზე მეტი ხნის დაგვიანებით, 2016 წლის აპრილში მოხდა.

მესამედისა – 4 წელი და ერთი მესამედისა – 6 წელი."[15] აღნიშნული ნორმა უზრუნველყოფდა „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული წესის აღსრულებას, რომლის თანახმად, „სამეურვეო საბჭოს შემადგენლობის ერთი მესამედი იცვლება 2 წელიწადში ერთხელ, როტაციის წესით". გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოს წევრთა უფლებამოსილი შემადგენლობა 2014 წლის მაისში დამტკიცდა (9-დან 7 წევრი), აღნიშნული წესის განსაზღვრაც ამ დრომდე ვერ მოხერხდა. თუმცა, დამტკიცებულმა საბჭოს 7 კაციანმა შემადგენლობამ 2014 წლის 12 ივნისს გამართულ სხდომაზე გადაწყვიტა, რომ ჯერ არ ჩაეტარებინა აღნიშნული წილისყრის პროცესი იმ მიზეზით, რომ კანონი არ აკონკრეტებს წილისყრის ჩატარების ვადას.[16] ამავდროულად, აღნიშნული გადაწყვეტილება საბჭოს თავმჯდომარემ მომავალში ასარჩევი წევრების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებით დაასაბუთა. შესაბამისად, საბჭომ აღნიშნული ნორმის ამოქმედება გადადო იმ დრომდე, სანამ არ მოხდებოდა საბჭოს მთლიანად დაკომპლექტება.[17] საბოლოოდ წილისყრა თითქმის ორი წლის დაგვიანებით, 2016 წლის 25 თებერვალს გაიმართა.

ამრიგად, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში (იმის გათვალისწინებით, რომ არ მომხდარა საბჭოს ორ ვაკანტურ თანამდებობაზე საპარლამენტო უმცირესობის მიერ წარდგენილი კანდიდატურების დამტკიცება ორი წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში) არ ყოფილა განსაზღვრული საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადის ამოწურვის თარიღები და გაურკვეველი იყო თუ რომელ ორ წევრს უნდა ამოწურვოდა უფლებამოსილების ვადა ორი წლის თავზე, რაც ქმნიდა იმის საფრთხეს, რომ გარდამავალი წესი არ შესრულდებოდა და მეტიც, შესაძლოა საბჭო გარკვეული პერიოდით კვლავ არაუფლებამოსილი გამხდარიყო, დარჩენილი ორი ვაკანტური ადგილის შეუვსებლობის შემთხვევაში.

3.3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სამეურვეო საბჭოს წევრების ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით

კანონში შესული გარდამავალი დებულების თანახმად, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლით განსაზღვრული სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილება უნდა დაწყებულიყო საქართველოს პარლამენტის მიერ სამეურვეო საბჭოს არანაკლებ 7 წევრის არჩევისთანავე. აღნიშნული გულისხმობდა იმას, რომ სამეურვეო საბჭოს მოქმედ წევრებს უფლებამოსილება ვადის გასვლამდე ეწურებოდათ და მათი ჩანაცვლება ახალი წევრებით მოხდებოდა.

[15] „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონი, მე-2 მუხლის პირველი პუნქტი, 2013 წლის 20 ნოემბრის რედაქცია.

[16] „საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო – ახალი მოდელი და მოსალოდნელი მმართველობითი კრიზისი, მედიის განვითარების ფონდი, 08 თებერვალი 2016, 5.

[17] სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #273, 2014 წლის 12 ივნისი.

აღნიშნული ნორმა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მოქმედმა წევრებმა გაასაჩივრეს საქართველო საკონსტიტუციო სასამართლოში და მოითხოვეს მისი არაკონსტიტუციურად ცნობა საქართველოს კონსტიტუციის 24 (გამოხატვის თავისუფლება), 29-ე (სახელმწიფო თანამდებობის დაკავება) და 30-ე (შრომის თავისუფლება) მუხლებთან მიმართებაში. მათი აზრით, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ახალი წესის საფუძველზე დაკომპლექტება ავტომატურად იწვევდა ძველი სამეურვეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, რაც წარმოადგენდა სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოებრივი მაუწყებლობის საქმიანობაში უხეშ ჩარევას, მისი დამოუკიდებლობის ხელყოფას და შესაბამისად კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დარღვევას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე არსებითად განსახილველად მიიღო იმ ნაწილში, რომელიც შეეხებოდა სადავო ნორმის მიმართებას საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლთან, ამასთან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩერა სადავო ნორმის მოქმედება, ხოლო 2014 წლის 11 აპრილს მიღებული გადაწყვეტილებით სასამართლომ იგი საბოლოოდ არაკონსტიტუციურად ცნო და განმარტა: **„კანონმდებლის მიერ შემოთავაზებული სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების ახალი, თუნდაც უფრო პლურალისტული და ეფექტური წესი, იმთავითვე არ წარმოშობს სამეურვეო საბჭოს მოქმედი წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაუდებელ აუცილებლობას. ეს მიზანი სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გარეშეც მიიღწევა. ამდენად, სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა არათანაზომიერად ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით გარანტირებულ მოსარჩელეთა უფლებას და, შესაბამისად, არაკონსტიტუციურია“.**

3.4. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის პარალელურად საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად ახალი წესით დაკომპლექტდა, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ 2014 წლის 02 მაისს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები.

ცვლილებების თანახმად, საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე რეფორმის პროცესში ინსტიტუციური განვითარების უწყვეტობისა და ახალშექმნილი სამეურვეო საბჭოს საქმიანობაზე შიდა კონტროლის განხორციელების უზრუნველსაყოფად საზოგადოებრივი მაუწყებლის მართვის სისტემაში შეიქმნა **დროებითი ორგანო** საზოგადოებრივი მაუწყებლის მონიტორინგის საბჭო. აღნიშნული საბჭოს წევრის სტატუსი ენიჭებათ ახალარჩეული სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილების დაწყების მომენტიდან **მანამდე არსებული სამეურვეო საბჭოს წევრებს**, რომლებიც ამ სტატუსით აგრძელებენ საქმიანობას საზოგადოებრივი მაუწყებლის მართვის სისტემაში უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე. აღნიშნული ცვლილებით მონიტორინგის საბჭოში სამეურვეო საბჭოს 7 ყოფილი წევრი გადავიდა.

აღსანიშნავია, რომ განმარტებითი ბარათის თანახმად, „კანონპროექტის მიზანია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით და შესასრულებლად:

ა) შეავსოს ამავე გადაწყვეტილების შედეგად „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში გაჩენილი სამართლებრივი ვაკუუმი;

ბ) საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმა განხორციელდეს იმდაგვარად, რომ დაცული იყოს გონივრული ბალანსი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ტელევიზიაში ფუნდამენტური ცვლილებების მაღალ საზოგადოებრივ საჭიროებასა და მოქალაქეთა კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს შორის.“

ამრიგად, მონიტორინგის საბჭოს შექმნა საქართველოს პარლამენტის შეფასებით წარმოადგენს ერთგვარ კომპენსაციას, ჩამნაცვლებელ მექანიზმს, რომელიც ერთი მხრივ შესაძლებლობას მისცემს ახალი წესის ამოქმედებას, ხოლო მეორე მხრივ საბჭოს ძველ შემადგენლობას შეუნარჩუნებს თანამდებობას საჯარო სამსახურში, ისინი დარჩებიან მართვის სისტემაში.

გასათვალისწინებელია, რომ მონიტორინგის საბჭოს ძირითად უფლებამოსილებაში შედის სამეურვეო საბჭოსთვის ან/და გენერალური დირექტორისათვის რეკომენდაციების წარდგენა მათ საქმიანობაში გამოვლენილი ხარვეზების, ფინანსური დარღვევების ან/და დაქირავებულთა შრომითი უფლებების დარღვევის შესახებ, ასევე საქართველოს პარლამენტისათვის წინადადებების წარდგენა სამეურვეო საბჭოსთვის უნდობლობის გამოცხადების თაობაზე რიგ საფუძვლებთან დაკავშირებით. საბჭოს ასევე შეუძლია მოითხოვოს სამეურვეო საბჭოების გაერთიანებულ სხდომაზე ანგარიშის მოსმენა ან/და პარლამენტში საკომიტეტო მოსმენის გამართვა საზოგადოებრივ მაუწყებელზე გამოვლენილ პრობლემებთან დაკავშირებით. ამგვარად, მთლიანობაში მონიტორინგის საბჭოს მხოლოდ საზედამხედველო და სარეკომენდაციო ხასიათის უფლებამოსილებები აქვს, განსხვავებით სამეურვეო საბჭოსგან, რომელიც განსაზღვრავს მაუწყებლობის სტრატეგიულ პოლიტიკას და იღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, ეჭვქვეშ დგება ის თუ რამდენად შეიძლება შევაფასოთ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ამგვარი ცვლილებები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებად, სადაც სასამართლომ ხაზი გაუსვა მეურვეთა საქმიანობის სტაბილურობას, სამართლებრივი ნდობის პრინციპს (საქმიანობის განხორციელების ლეგიტიმური მოლოდინი უფლებამოსილების ვადით) და სადავო ნორმით გათვალისწინებული წესი არათანაზომიერად მიიჩნია. მართალია, სასამართლო გადაწყვეტილებაში საუბრობს ძველი და ახალი წესით არჩეული მეურვეების თანაარსებობის შესაძლებლობაზე, თუმცა არა იმ მექანიზმის ფარგლებში, რომელიც პარლამენტმა შესთავაზა ძველ მეურვეებს, არამედ იმ პირობით, რომ ძველი წევრები გააგრძელებენ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებას, რისი უფლებაც მათ კონსტიტუციის 29-ე მუხლით აქვთ მინიჭებული. პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებებით, კი ძველი საბჭოს უფლებამოსილებები მონიტორინგის საბჭოში მნიშვნელოვნად მცირდება.

საბოლოო ჯამში საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ძველი შემადგენლობისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა და ამ საკითხთან დაკავშირებით განვითარებული ზემოხსენებული

მთელი რიგი მოვლენები აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ არსებობდა საბჭოს ძველი შემადგენლობის გადაყენების პოლიტიკური ინტერესი, რამეთუ ისინი წინა ხელისუფლების პერიოდში იყვნენ არჩეულნი. აღნიშნულ ეჭვებს აღრმავებს სამეურვეო საბჭოს ყოფილი წევრების მიერ გამოქვეყნებული **განცხადებები**. საბჭოს ყოფილი წევრები საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს ზეწოლაში ადანაშაულებდნენ, ამასთან მათივე **განცხადებით** საბჭოს წევრებს ემუქრებოდნენ და სთხოვდნენ საბჭოს დატოვებას. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში საბჭო პირადი განცხადებით ორმა წევრმა დატოვა. საბჭოს წევრები ასევე საუბრობდნენ ცვლილებების მიღებამდე საპარლამენტო უმრავლესობის წევრების მხრიდან გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებზე მაუწყებლობის საქმიანობასა და სარედაქციო პოლიტიკასთან დაკავშირებით. მათი **შეფასებით**, საზოგადოებრივი მაუწყებლობის ირგვლივ განვითარებული მთელი რიგი პროცესები წარმოადგენდა ხელისუფლების მიზანმიმართულ კამპანიას, სრული გავლენა მოეპოვებინა აღნიშნულ არხზე.

4.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

4.1. პირველი საინფორმაციო კავკასიური არხი „PIK“-ის დახურვა და ფინანსური შემოწმება 24

4.2. პოლიტიკური თოქ-შოუების დახურვა 24

4.3. ზეწოლა სამეურვეო საბჭოს წევრებზე 25

4.4. ეკა მიშველაძის საავტორო გადაცემის დახურვა 26

4.1. პირველი საინფორმაციო კავკასიური არხი „PIK"-ის დახურვა და ფინანსური შემოწმება

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმირების საკითხი პრიორიტეტული გახდა, რადგან ახალი მთავრობის ინტერესებს წინა ხელისუფლებისას დაკომპლექტებული მაუწყებლის საბჭოსა და ზოგადად ტელეკომპანიის მენეჯმენტის რესტრუქტურიზაცია წარმოადგენდა. იმ პოლიტიკური ფონის გათვალისწინებით, რომელსაც ხელისუფლების ცვლილება უძღოდა წინ, 2012 წლის ოქტომბრის თვეში, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა „პირველ საინფორმაციო კავკასიურ" არხთან „PIK" 2010 წელს დადებული კონტრაქტი **შეწყვიტა.** ტელეკომპანია „PIK" იყო მესამე სატელევიზიო არხი, რომელიც რუსულ ენაზე მაუწყებლობდა და მის მიზანს იმ ინფორმაციული ვაკუუმის შევსება წარმოადგენდა, რომელიც პირველ რიგში ჩრდილოეთ კავკასიაში არსებობდა, ვინაიდან ერთადერთი ინფორმაცია, რომელსაც რეგიონის მოსახლეობა საქართველოზე ფლობდა, მოდიოდა მხოლოდ რუსული ტელეარხებიდან, რომელთა განწყობაც შესაბამისად მტრული იყო. ფაქტობრივად, „PIK"-ის მთავარ მიზანს რუსული პროპაგანდის განეიტრალება წარმოადგენდა, რომელიც არაქართულენოვან მოსახლეობაში სწორედ რუსული ტელეარხებით ხორციელდებოდა. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ხშირად გაისმოდა ხსენებული არხის კრიტიკა და მის საქმიანობას საქართველოს „ანტი–რუსულ პროპაგანდად" და ჩრდილოეთ კავკასიაში „ექსტრემიზმის იდეოლოგიის დანერგვის" მცდელობად **აფასებდნენ**.

„PIK"-თან კონტრაქტის შეწყვეტის შემდეგ **დაიხურა** არხი და 400-მდე ჟურნალისტი უმუშევარი დარჩა. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა კონტრაქტის შეწყვეტის ერთ-ერთ მიზეზად მდუმარე აქცია დაასახელა, რომელიც „PIK"-ის თანამშრომლებმა პროტესტის ნიშნად პირდაპირ ეთერში მოაწყვეს. მაუწყებელმა „PIK"-ი კონტრაქტის პირობების დარღვევაშიც დაადანაშაულა.

აღსანიშნავია, რომ არჩევნებიდან რამდენიმე დღეში ხელისუფლებიდან მიმავალმა მთავრობამ რამდენიმე ტელემაუწყებლის მიმართ განხორციელებული საგადასახადო ამნისტიის ფარგლებში „PIK"-ს 20 მილიონ ლარამდე არსებული დავალიანება **ჩამოაწერა.** 2012 წლის ნოემბერის თვეში კი შემოსავლების სამსახურმა საზოგადოებრივი მაუწყებლის შემოწმება დაიწყო 5 მილიონი ლარის გადაუხდელობის მოტივით. ვინაიდან საზოგადოებრივი მაუწყებელი არის ტელევიზია, რომელიც საჯარო კაპიტალს განკარგავს, აღნიშნული ფინანსური რევიზიის წამოწყების მცდელობამ საზოგადოებაში სამართლიანად **წარმოშვა ეჭვი,** რომ ახალი ხელისუფლება მაუწყებელზე კონტროლის დამყარებას ცდილობდა.

ახალი მთავრობის ასეთი მოქმედებები იმთავითვე საგანგაშო იყო. საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტის ცვლილება დასაწყისშივე აჩენდა საზოგადოებაში ვარაუდს, რომ ტელეკომპანია პოლიტიკური ძალის ზეწოლის და კონტროლის ქვეშ მოექცეოდა, რაც თავის მხრივ როგორც თავისუფალი მედიის სრულყოფილი ფუნქციონირების, ასევე თითოეული ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის საფრთხეს წარმოადგენდა.

4.2. პოლიტიკური თოჟ-შოუების დახურვა

2013 წლის 01 სექტემბერს სამეურვეო საბჭოს13 წევრიდან ოთხს, მათ შორის, თავმჯდომარე ლევან გახელაძეს, უფლებამოსილების ვადა ამოეწურა, რის შემდეგაც მაუწყებელი კვლავ პოლიტიკური მოვლენებისა და ბრალდებების ეპიცენტრში მოექცა.

2013 წლის 06 სექტემბერს საბჭომ უნდობლობა გამოუცხადა არხის გენერალურ დირექტორს, გიორგი ბარათაშვილს და ის თანამდებობიდან გაათავისუფლა. 2013 წლის 18 აპრილს მაუწყებლის ახალი გენერალური დირექტორის დანიშვნამდე, მოვალეობის დროებით შემსრულებლად დირექტორის პირველი მოადგილე თამაზ ტყემალაძე **დაინიშნა.** საბჭო ამტკიცებდა, რომ ბარათაშვილმა მათ დროულად და ამომწურავად არ მიაწოდა ინფორმაცია გადაცემებთან და ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, რაც მისი გათავისუფლების მიზეზი გახდა. აღსანიშნავია, რომ დაახლოებით ექვსი თვით ადრე, სამეურვეო საბჭომ ბარათაშვილს გამოუცხადა უნდობლობა, თუმცა მაშინ გათავისუფლებული დირექტორი **სასამართლოს** გადაწყვეტილებით თანამდებობაზე **აღადგინეს.**

ბარათაშვილის ხელმეორედ გათავისუფლებამდე, საზოგადოების ნაწილის ყურადღება ეკა კვესიტაძისა და დავით პაიჭაძის საავტორო პოლიტიკური თოქ-შოუების შესაძლო გაუქმების საკითხმა მიიპყრო. საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობამ კვესიტაძის „აქცენტების“ და პაიჭაძის „დიალოგის“ შესაძლო დახურვა დაანონსა.

მენეჯმენტის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მაუწყებელი ორივე ჟურნალისტთან გააგრძელებდა თანამშრომლობას და კვესიტაძეს და პაიჭაძეს, შესაძლოა, შემოდგომიდან ახალი თოქ-შოუ წაეყვანათ. ამ ფაქტებთან დაკავშირებით საგანგებო **განცხადება** გაავრცელეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა. მათი აზრით, ტელეკომპანიის ირგვლივ განვითარებული მოვლენები პოლიტიკურ მოტივებს უკავშირდებოდა, რაც უარყოფითად აისახებოდა არხის რეპუტაციაზე, იმის გათვალისწინებით, რომ თავისუფალი მედია – საზოგადოებრივი მაუწყებელი, უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებას და არა რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფს, რათა მან პირნათლად შეძლოს თავისი მოვალეობის შესრულება.

მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ ტყემალაძე, რომლის გადაწყვეტილებითაც მოხდა დავით პაიჭაძისა და ეკა კვესიტაძის პოლიტიკური თოქ-შოუების – „დიალოგისა“ და „აქცენტების“ **დახურვა,** აცხადებდა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ეკა კვესიტაძისა და დავით პაიჭაძის ტენდენციურობასა და ოპოზიციური პოლიტიკური ძალის მხარდაჭერას უკავშირდებოდა, რამაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, გადაცემების პოლიტიკური მოტივით **დახურვას**, მიუხედავად იმისა, რომ კვლევა, რომელიც გადაცემების ტენდენციურობას და პოლიტიკურ მიკერძოებას დაადასტურებდა არ არსებობდა. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში ტყემალაძემ **უარი განაცხადა** ნაციონალური მოძრაობის იმ პოლიტიკური რეკლამების ეთერში გაშვებაზეც, რომლებიც მმართველი პოლიტიკური ძალის – „ქართული ოცნების“ კრიტიკას შეიცავდა.

4.3. ზეწოლა სამეურვეო საბჭოს წევრებზე

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, 2013 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტში საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა. საპარლამენტო ოპოზიციის წინააღმდეგობის მიუხედავად უმრავლესობამ მაინც მიიღო **ცვლილებები** „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში, სამეურვეო საბჭოს ახალი წესით დაკომპლექტების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ პარლამენტს ამისთვის პრეზიდენტის **ვეტოს** დაძლევაც კი დასჭირდა.

2013 წლის 30 სექტემბერს და 01 ოქტომბერს, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო, ორმა წევრმა – ეკა მაზმიშვილმა და ავთანდილ ანთიძემ დატოვა. საბჭოს სხვა წევრების **შეფასებით**, მაზმიშვილსა და ანთიძეს თანამდებობების დატოვება აიძულეს.

საბჭოს თავმჯდომარე ემზარ გოგუაძე კი აცხადებდა, რომ მეურვეებზე გადადგომის მოთხოვნით ზეწოლა ხორციელდებოდა, საბჭოსა და მასთან ერთად, საზოგადოებრივი მაუწყებლის მუშაობის პარალიზების მოტივით. გოგუაძემ ასევე განაცხადა, რომ მასზე არაპირდაპირ ზეწოლას ახდენდა მაუწყებლის დირექტორის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში – ირაკლი ციბაძე.

გოგუაძის განცხადებით, ციბაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი და ფარული წარმომადგენელი იყო მაუწყებელში, რომელსაც ადგილზე სიტუაციის კონტროლი ევალებოდა. აღსანიშნავია, რომ უშიშროების სამსახურის თანამშრომელთა (ე.წ. ოდეერის) სხვადასხვა უწყებებში არსებობაზე გაზეთ „რეზონანსის“ რედაქტორმა ლაშა ტუღუშმა მაშინდელ პრემიერ-მინისტრთან – ბიძინა ივანიშვილთან საჯარო შეხვედრისას ისაუბრა. ივანიშვილმა საჯაროდ დაადასტურა პრობლემის არსებობა და საზოგადოებას უახლოეს მომავალში აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრას დაჰპირდა.

სამეურვეო საბჭოს განცხადების გამოძიებისა და საკუთარი „ოდეერების“ სხვადასხვა ორგანიზაციებიდან გამოწვევის შესახებ მოთხოვნით შინაგან საქმეთა სამინისტროს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომაც“ მიმართა, თუმცა შსს-მ ორგანიზაციის განცხადებას არასერიოზული უწოდა, რითაც ფაქტობრივად უარი განაცხადა „ოდეერების“ გამოწვევაზე.

4.4. ეკა მიშველაძის საავტორო გადაცემის დახურვა

2015 წლის სექტემბრის თვეში, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე ეკა მიშველაძის საავტორო გადაცემა დაიხურა. მაუწყებლის დირექტორის მრჩევლის, ბასა ჯანიკაშვილის განცხადებით მიშველაძის გადაცემის დახურვა მის ოჯახურ მდგომარეობას, კერძოდ კი ჟურნალისტისა და პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერის, ალექსი პეტრიაშვილის ქორწინებას უკავშირდებოდა. მაუწყებლის დირექტორის მრჩეველმა ჟურნალისტს საჯარო შეხვედრაზე განუცხადა, რომ „მაუწყებლის კოდექსის თანახმად, ჟურნალისტმა, რომელიც პოლიტიკური ლიდერის მეუღლეა, უხერხულია, წაიყვანოს პოლიტიკური გადაცემა“. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის განსაზღვრავს საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლის, მეურვის და გენერალური დირექტორის ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევებს, თუმცა მაუწყებლის თანამშრომლის მიმართ კანონით ასეთი სახის შეზღუდვა დადგენილი არ არის.

მოგვიანებით, 2016 წლის 10 თებერვალს ეკა მიშველაძე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სამსახურიდან გაათავისუფლა. ჟურნალისტმა საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორისგან, გიორგი ბარათაშვილისგან, მიიღო წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ეკა მიშველაძის გადაცემა „პირველი სტუდია“ დაიხურა, ხოლო მის მიერ წარმოდგენილმა ახალი გადაცემის პროექტმა არხის ხელმძღვანელობის მოწონება ვერ დაიმსახურა, რადგან, თემატიკა, რომელსაც აღნიშნული პროექტი ეხებოდა, საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი სატელევიზიო ბადეში არსებულ სხვადასხვა გადაცემაში.

2016 წლის 07 მარტს ეკა მიშველაძემ თბილისის საქალაქო სასამართლოში „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წინააღმდეგ სარჩელი წარადგინა რომლითაც მან სამსახურიდან გათავისუფლებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუს „პირველი სტუდია“ გაუქმების შესახებ გამოცემული ბრძანებების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და დისკრიმინაციული ქმედების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. სასამართლო დავა ამ დრომდე გრძელდება.

5.

ფეიქომპანია „იმედი“

5.1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების შეჩერება 28

5.1 საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების შეჩერება

2015 წლის 29 აგვისტოს ტელეკომპანია „იმედმა“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების დროებითი შეჩერების შესახებ განცხადება **გაავრცელა. მასში** აღნიშნული იყო, რომ გადაცემები „რეაქცია“ და „იმედის კვირა“ ახალი სეზონიდან „იმედზე“ აღარ გავიდოდა, რადგან ტელეკომპანიაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუების ფორმატის ცვლილება იგეგმებოდა. შესაბამისად მაყურებელს ახალ პროდუქტს 2016 წლიდან შესთავაზებდნენ. არხის ხელმძღვანელობას სხვა განმარტებები საჯაროდ არ გაუკეთებია.

2015 წლის 31 აგვისტოს, “Facebook”-ის პირად პროფილზე გამოქვეყნებული განცხადებით, „რეაქციისა“ და „იმედის კვირის“ წამყვანმა ინგა გრიგოლიამ ეს გადაწყვეტილება პოლიტიკურ მოტივებს **დაუკავშირა.** მისი თქმით ხელისუფლებას არ სურდა არჩევნების წინ იგი ეკრანზე გამოჩენილიყო. „მე მაქვს სრული უფლება ვიფიქრო, რომ ესაა პოლიტიკური გადაწყვეტილება და აი რატომ – არც ერთი კერძო ტელევიზია არ ხურავს გადაცემას, რომელსაც დიდი სარეკლამო შემოსავალი და ძალიან მაღალი ყურებადობა აქვს. მით უფრო, არ ხურავს ორ გადაცემას ერთდროულად, რომელსაც ძალიან მაღალი რეიტინგი აქვს. ეს ტელევიზიის წესია. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ესაა პოლიტიკური გადაწყვეტილება“ – განაცხადა გრიგოლიამ.

იმავე დღეს, ერთობლივი **განცხადება** გაავრცელეს გადაცემების პროდიუსერებმა და ტელეკომპანიის სხვა ჟურნალისტებმაც. ისინი მიუღებლად მიიჩნევდნენ იმ ფორმას, რომლითაც არხის მენეჯმენტმა პოლიტიკური გადაცემების დახურვის გადაწყვეტილება გაახმოვანა და ამის საფუძველზე, გამოთქვეს ეჭვი გადაწყვეტილების პოლიტიკური შინაარსის თაობაზე. აღსანიშნავია ასევე ის გარემოებაც, რომ მიმდინარე პერიოდში ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან ხშირად ისმოდა **უკმაყოფილო განცხადებები** ამ გადაცემების მიმართ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გადაცემების დახურვის ფაქტს წინ უძღვოდა 2015 წლის 20 მარტს, ინგა გრიგოლიას მიერ გავრცელებული **განაცხადება,** რომ „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობამ კატეგორიულად მოსთხოვა გადაცემის ავტორებს, არ გაეშუქებინათ „რეაქციაში“ 21 მარტს ნაციონალური მოძრაობის მიერ დაგეგმილი აქციის თემა. იმავე კვირას, „იმედის კვირაში“ წამყვანმა ეკა ხოფერიამ **გამოთქვა აზრი,** რომ „ხელისუფლებისათვის მიუღებელია ობიექტური „იმედი“. მაშინ ჟურნალისტების ამ პოზიციას კატეგორიულად **გაემიჯნა** არხის მენეჯმენტი და „იმედზე“ ხელისუფლების მხრიდან რაიმე ტიპის ზეწოლა ოფიციალურად უარყო.

ტელეკომპანიის მხრიდან საწინააღმდეგოს მტკიცების მიუხედავად, გადაცემების წინასაარჩევნოდ დახურვამ საფუძვლიანი ეჭვები არასამთავრობო სექტორსაც გაუჩინა. კერძოდ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ **შეფასებით**, ტელეკომპანია „იმედის“ ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული განცხადება სათანადოდ ვერ განმარტავდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების შეჩერების მიზეზებსა და მოტივებს. „განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ თანამშრომლები ინფორმირებულები არ იყვნენ, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით შიდა კონსულტაციები არ ყოფილა. მსგავსი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების ასეთი ფორმით მიღება და საჯაროდ გავრცელება საზოგადოების თვალში ჩრდილს აყენებს არხზე მომუშავე ჟურნალისტებისა და შემოქმედებითი ჯგუფის დამოუკიდებლობას. სწორედ ამ ბუნდოვანებისა და პასუხგაუცემელი შეკითხ-

ვების გამო, არხის პოლიტიკური გავლენებისგან დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით საზოგადოებაში ეჭვები ჩნდება“ – ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადებაში.

აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი ასევე გააკეთა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა. **მან** „იმედზე“ პოლიტიკური თოქ-შოუების დახურვა ხელოვნურად გაზვიადებულ, ხოლო ინგა გრიგოლიას პოზიცია გადაწყვეტილების პოლიტიზირებასთან დაკავშირებით, ჟურნალისტის სუბიექტურ აზრად შეაფასა.

2015 წლის 31 აგვისტოს, საწინააღმდეგო პოზიცია დააფიქსირა საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა. პრეზიდენტის **შეფასებით,** „შემაშფოთებელია ის ტენდენცია, როცა მედიაში მიმდინარე პროცესები კითხვებს ბადებს“.

აღსანიშნავია, რომ ინგა გრიგოლიას მიმართ ზეწოლის განხორციელების მცდელობას შემდგომ პერიოდშიც ჰქონდა ადგილი. 2016 წლის 11 მარტს ინტერნეტსივრცეში გავრცელდა ინფორმაცია, რომელიც ინგა გრიგოლიას პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების მუქარას შეიცავდა. პასუხად, ჟურნალისტმა, 14 მარტს პირდაპირ ეთერში, **საგანგებო განცხადება** გაავრცელა. განცხადებაში გრიგოლიამ აღნიშნა, რომ იგი არ აპირებდა მუქარის შიშით თავისი საქმიანობის შეწყვეტას და ბოლომდე დაიცავდა საკუთარ და სხვა ადამიანების უფლებებს.

2016 წლის 25 მარტს, „ქართული ოცნების“ დეპუტატი დავით ლორთქიფანიძე, ტელეწამყვან ინგა გრიგოლიას გადაცემაში ჩართვის დროს ასეთი **რეპლიკით** მიესალმა – „მოგესალმებით, შეყვარებულო ქალბატონო ინგა“. მოგვიანებით, გაზეთ „ალიასთან“ ინტერვიუში ლორთქიფანიძემ განაცხადა: „მე არ გამიკვირდება ზოგიერთის ყოფილი ან ახლანდელი შეყვარებული მაღალჩინოსანიც რომ აღმოჩნდეს. აწი ბევრი რაღაცით დავინტერესდები და ძალიან საინტერესოდ განვითარდება მოვლენები“. დეპუტატის ეს განცხადება ინგა გრიგოლიამ ღია მუქარად **შეაფასა,** რის შესახებაც მან საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში ისაუბრა.

ამის შემდეგ ტელეკომპანია „იმედი“ ისევ მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. კერძოდ, 2016 წლის 4 აპრილს, ჟურნალისტმა შალვა რამიშვილმა საკუთარ „Facebook“ გვერდზე ტელეკომპანია „იმედთან“ თანამშრომლობის შეწყვეტის შესახებ **ინფორმაცია** გაავრცელა. მისი თქმით ტელეკომპანიამ წერილი გაუგზავნა, რომლითაც ატყობინებდა, რომ მასსა და ტელეკომპანიას შორის მიმდინარე კონტრაქტები შეჩერებული იყო, წერილი სხვა განმარტებებს არ შეიცავდა.

ტელეკომპანია „იმედმა“ ოფიციალური განცხადება 7 აპრილს **გაავრცელა**. მასში აღნიშნულია, რომ „იმედმა“ შალვა რამიშვილთან დაკავშირებულ კონტრაქტორ კომპანიასთან გაწყვიტა საქმიანი ურთიერთობა. რაც შეეხება იმ სატელევიზიო პროდუქტებს, რომლებსაც ხსენებული კონტრაქტორი კომპანია „ტელეიმედისათვის“ ამზადებდა და გადიოდა ეთერში, მათ განაცხადეს, რომ არხი ინარჩუნებს ამ გადაცემებს და აპირებს თანამშრომლობის გაგრძელებას შემოქმედებითი ჯგუფის წევრებთან.

2016 წლის 8 აპრილს ტელეკომპანია „იმედის“ ყოფილმა თანამშრომელმა, თათია სამხარაძემ გაავრცელა **ინფორმაცია**, რომ იგი სექსუალური შევიწროების ფაქტზე შალვა რამიშვილს სასამართლოში უჩივლებდა.

ბრალდება უარყო შალვა რამიშვილმა და მისი მოსაზრებით ტელევიზიიდან გაშვების რეალურ მიზეზებზე დაიწყო საუბარი. ჟურნალისტის განცხადებით, თათია სამხარაძესთან დაკავშირებული სკანდალი მისი სამსახურიდან გათავისუფლების საბაბი იყო. შალვა რამიშვილის განმარტებით კი **ნამდვილი მიზეზი,** რის გამოც ტელევიზიის ხელმძღვანელობასთან უთანხმოება მოუვიდა და რის გამოც მისი გათავისუფლება მოხდა, უკავშირდებოდა გადაცემა „პოლიტიკაში“ სასამართლო სისტემის გაშუქებასა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის, ლევან მურუსიძის მიწვევას.

კერძოდ, ტელეკომპანია „იმედის“ დირექტორმა გიორგი ბახტაძემ რამიშვილს მისცა სია, რომლის მიხედვითაც გადაცემაში უნდა მიეწვია მურუსიძის მომხრე მოსამართლეები შალვა შავგულიძის პირისპირ, რაზეც რამიშვილმა უარი განუცხადა. ამის შემდეგ კი გიორგი ბახტაძე, რამიშვილს, თათია სამხარაძის მიერ ჩაწერილი მაკომპრომიტირებელი მასალით დაემუქრა. აღნიშნული ზეწოლის მტკიცებულებად რამიშვილმა გაასაჯაროვა მისი და გიორგი ბახტაძის “viber” მიმოწერა, რომლის ავთენტურობა მოპასუხე მხარეს ეჭვქვეშ არ დაუყენებია. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ მიმოწერაზე დაყრდნობით, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭომ **დაადგინა** ბახტაძის მიერ ქარტიის მეორე პრინციპის (დაუშვებელია ჟურნალისტის იძულება, პროფესიული საქმიანობისას მოიქცეს ან აზრი გამოხატოს საკუთარი სინდისის წინააღმდეგ) დარღვევა და აღნიშნა, რომ **„აშკარა იყო გიორგი ბახტაძის მხრიდან შალვა რამიშვილის სარედაქციო დამოუკიდებლობის ხელყოფა და ზეწოლა“**.

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრის შალვა შავგულიძის **შეფასებით**, **„ქართულმა ოცნებამ“ შალვა რამიშვილს თავისი გადაცემის საშუალებით ლევან მურუსიძის PR კამპანია ჩაატარებინა, ვიდრე მის ხელმეორედ დანიშვნას მოახდენდა**.

2016 წლის 23 ივნისს, „ქრონიკის“ მიერ გავრცელებული **ინფორმაციით**, საინფორმაციო სამსახურის ყოფილი უფროსი, მაია თაბაგარი, არხის დირექტორის კონსულტანტის თანამდებობაზე უნდა გადასულიყო, ხოლო მის ადგილს ნანა ლეჟავა დაიკავებდა. „ქრონიკის“ წამყვანის, თეა სიჭინავას **განცხადებით**, ამ საკადრო ცვლილების შესახებ ინფორმაცია მისთვის იმ დღეს გახდა ცნობილი და ფაქტი საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, შესაბამისად, გაჩნდა დამატებითი კითხვები, რომელზეც საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლები პასუხებს ელოდებოდნენ. მათ ასევე გაავრცელეს განცხადება, სადაც **აღნიშნეს**, რომ საკადრო ცვლილებები წინასაარჩევნო პერიოდში ეჭვქვეშ დააყენებდა არხის და მისი თანამშრომლების რეპუტაციას, სანდოობას და სიტყვის თავისუფლების ხარისხს ტელეკომპანია „იმედში“.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მართალია „TV იმედი“ კერძო ტელეკომპანიაა, მაგრამ კერძო კომპანიისთვის ფინანსურად წამგებიანი გადაწყვეტილებები – რეიტინგული გადაცემების დახურვის შესახებ, ასევე, დაუსაბუთებელი საკადრო გადაადგილებები, რომლებიც არ გამორიცხავენ სარედაქციო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის ვარაუდს, ტელეკომპანიის დირექტორის მხრიდან ჟურნალისტების სარედაქციო დამოუკიდებლობაში უხეში ჩარევა და ხელისუფლების სასარგებლოდ ცენზურა ყოველთვის აჩენს ეჭვს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებები მიიღება არა ტელეკომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ შეიცავს პოლიტიკურ კონტექსტებს.

6.

TV 25

2015 წლის 29 დეკემბერს „ტელეარხი 25“-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა, მაია მერკვილაძემ, რომელიც 8 წლის განმავლობაში არხის საინფორმაციო სამსახურის უფროსად მუშაობდა, ბრიფინგზე განაცხადა, რომ მას ტელევიზიის ხელმძღვანელობა დაუსაბუთებლად აიძულებდა ორთვიან ფასიან შვებულებაში გასვლას. აღნიშნულ ფაქტს საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი სარედაქციო პოლიტიკაზე გავლენის მცდელობად **აფასებდა.** მისი განმარტებით, მას თანამშრომელმა მიაყენა შეურაცხყოფა ეთერში გასული სიუჟეტის გამო, რომელიც ამ უკანასკნელის მამის დაკავებას ეხებოდა. მერკვილაძე აცხადებდა, რომ არხის ხელმძღვანელობამ ვერ აღკვეთა დაპირისპირება, რის გამოც 5 საათიანი საინფორმაციო გამოშვება არ გავიდა ეთერში. მისი გადმოცემით, მეორე დღეს ტელევიზიის მფლობელმა არჩილ ვერძაძემ და დირექტორმა გია სურმანიძემ შესთავაზეს 2 თვიან ანაზღაურებად შვებულებაში გასვლა, რასაც მერკვილაძე არ დათანხმდა და განმარტება მოითხოვა.

„ტელეარხ 25“-ის დამფუძნებლებმა 31 დეკემბერს მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ტელევიზიამ მაუწყებლობა შეწყვიტა და რეორგანიზაცია გამოაცხადა. ტელევიზიამ მუშაობა 11 იანვრიდან განაახლა, თუმცა 8 იანვარს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ეცნობათ საინფორმაციო სამსახურის უფროსს მაია მერკვილაძეს, გადაცემა „დიალოგის“ პროდიუსერს ირმა ზოიძეს და ამავე გადაცემის წამყვანს ჯაბა ანანიძეს. საინფორმაციო გამოშვების წამყვანმა ნინო ხელაძემ კი ტელევიზია პროტესტის ნიშნად დატოვა.

ტელევიზიიდან წამოსულმა ოთხივე ჟურნალისტმა სამართლებრივი დავა დაიწყო. მათი თქმით, პრობლემა შეექმნა მედიათავისუფლების ფუნდამენტურ პრინციპს – მიუკერძოებლობას. 2016 წლის 17 მაისს ბათუმის საქალაქო სასამართლომ დაავალა „ტელეარხი 25“-ის ადმინისტრაციას, როგორც არხიდან დათხოვნილი ჟურნალისტების სამსახურში დაბრუნება, ისე განაცდური ხელფასის სრულად ანაზღაურება. მოსამართლემ მიღებული გადაწყვეტილების განმარტების დროს აღნიშნა, რომ მხარემ [„ტელეარხი 25“] ვერ წარმოადგინა ვერც ერთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ჟურნალისტების სამსახურიდან დათხოვნის კანონიერებას, მათ შორის იმასთან დაკავშირებითაც, რომ არხიდან გაშვებული თანამშრომლები ქმნიდნენ კონფლიქტურ სიტუაციას, რაც სარედაქციო საქმიანობას **აფერხებდა.**

„ტელეარხ 25“-ის დირექტორმა, გია სურმანიძემ ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ ის თანახმა იყო ყოფილი თანამშრომლებისთვის განაცდური თანხა აენაზღაურებინა, თუმცა არ სურდა მათი უკან დაბრუნება. სასამართლო გადაწყვეტილებამდე რამდენიმე დღით ადრე გავრცელდა „ტელეარხ 25“-ის თანამშრომლების მიმართვა, სადა ისინი სთხოვდნენ არხის ხელმძღვანელს არ დაებრუნებინა გათავისუფლებული **თანამშრომლები.**

7.

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის საქმე

7.1. შესავალი 34
7.2. მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირთა განცხადებები 35
7.3. ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას პირადი მიმოწერის ხელშეუხებლობის დარღვევა 37
7.4. ზეწოლა „რუსთავი 2“-ისთანამშრომლებზე 37
7.5. ეროსი კიწმარიშვილი 38
7.6. სამართლებრივი შეფასება 39
7.6.1. სარჩელი „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ 39
7.6.2. „რუსთავი 2“-ის წილების და მის კეთილსინდისიერ მფლობლთა ქონების დაყადაღება 39
7.6.3. საკვანძო გადაწყვეტილებები 41
7.7. პირველი ინსტანცია 41
7.7.1. საპროცესო კანონმდებლობის დარღვევის კონკრეტული შემთხვევები 41
ა) მოსამართლის მიუკერძოებლობის საკითხი 41
7.7.2. უკანონო და დაუსაბუთებელი განჩინებები 43
ა) დროებითი მმართველები 43
ბ) დამოუკიდებელი მედიის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევა 44
გ) განჩინების კანონიერება და დასაბუთებულობა 45
დ) განჩინება შპს „ტელეკომპანია საქართველოს“ ქონების დაყადაღების თაობაზე 46
ე) საქმის ფორსირებულ რეჟიმში განხილვა 46
ვ) მტკიცებულებათა სანდოობა 46
ზ) მატერიალური კანონმდებლობის დარღვევია 47
• ამორალური გარიგება (ფასის დისპროპორცია) 47
• მოთხოვნის ხანდაზმულობა 48
• ქონების კეთილსინდისიერი შემძენი 48
თ) მოსამართლის მიერ არასწორი ნორმის და ნორმის არასწორად გამოყენება 50
7.8. სააპელაციო სასამართლო 51
7.8.1. არაუფლებამოსილი შემადგენლობა 51
7.8.2. საქმის ფორსირებულ რეჟიმში განხილვა 53
7.8.3. გადაწყვეტილების ჩაბარება 55
7.8.4. მატერიალური კანონდებლობის დარღვევა 55
7.9. საკასაციო საჩივრის დასაშვებობა 56
7.10. „რუსთავის 2“-ის საკონსტიტუციო სარჩელის განხილვა 57

7.1. შესავალი

2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდგომ საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება ტელეკომანია „რუსთავი 2“-ის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა მიიპყრო. „რუსთავი 2“ დღესდღეობით ყველაზე რეიტინგული და ამჟამინდელი ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი ტელეკომპანიაა. მას შემდეგ რაც ხელისუფლება შეიცვალა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მისამართით მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები ღიად გამოხატავდნენ ნეგატიურ დამოკიდებულებას. „რუსთავი 2“-ის საქმეს ხელისუფლება ყოფილ და ამჟამინდელ მფლობელებს შორის არსებულ კერძო დავად აფასებს, თუმცა ტელეკომპანიის ირგვლივ განვითარებული მოვლენების ანალიზის საფუძველზე აშკარად იკვეთება პოლიტიკურად მოტივირებული და მართული პროცესები.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად იყო ჩართული როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება. განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო სასამართლო ხელისუფლების თანხვედრი, დიდი ალბათობით აღმასრულებელ ხელისუფლებასთან შეთანხმებული მოქმედებები, რაც გამოიხატა „რუსთავი 2“-ის და მისი მფლობელების ქონების დაყადაღებაში, ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევის და ტელეკომპანიის ხელმძღვანელობის შეცვლის მცდელობაში, ასევე, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში, რომლითაც „რუსთავი 2“-ის 100%-იანი წილი მიეკუთვნა ქიბარ ხალვაშს და შპს „პანორამას“. განსაკუთრებით აღსანიშნავია სასამართლო პროცესების ფორსირებულ, მაქსიმალურად მოკლე დროში წარმართვა, მაშინ, როცა მიმდინარე, ნაკლები სირთულის, სამოქალაქო საქმეების განხილვისთვის მოსამართლეებს გაცილებით დიდი დრო სჭირდებათ.

ხელისუფლების ინტერესი აღნიშნული ტელეკომპანიის მიმართ გამძაფრდა 2012 წლის 04 ნოემბერს, როდესაც სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით, არხის ახალ გენერალურ დირექტორად ნიკა გვარამია დაინიშნა. იმავე წლის 19 დეკემბერს ნიკა გვარამია ფინანსური მაქინაციის და საბუთების გაყალბების ბრალდებით დააკავეს, თუმცა 2013 წლის 14 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი **დაადგინა**. 2013 წლის 24 ივლისს სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში **დატოვა**.

არასამთავრობო სექტორმა ტელეკომპანიის ირგვლივ განვითარებული მოვლენები თავიდანვე ხელისუფლების არაჯანსაღ ინტერესებს დაუკავშირა და თავისუფალ მედია სივრცეში უხეშ ჩარევად შეაფასა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოთქვეს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ტელეკომპანიის წინააღმდეგ მიმდინარე პროცესების მიზეზი შეიძლება პოლიტიკური დაინტერესება ყოფილიყო, რასაც მათი თქმით ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებიც **ადასტურებდა**. „რუსთავი 2“-ის ქონების დაყადაღებასთან დაკავშირებით გავრცელდა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ერთობლივი განცხადება, რომელშიც აქცენტი გაკეთებული იყო სასამართლო გადაწყვეტილებების სამართლებრივ ხარვეზებზე. საქართველოს **სახალხო დამცველმა** და საქართველოს **ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ** აღნიშნულ გადაწყვეტილებებს დაუსაბუთებელი უწოდეს. ეს უკანასკნელი, ისევე, როგორც **„სამართლიანი არჩევნები“** და **„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“**, ხაზს უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ „რუსთავი 2“ არის

რეიტინგული, ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ტელეკომპანია, რაც ზემოხსენებულ დავას არა მხოლოდ სამართლებრივ, არამედ პოლიტიკურ კონტექსტსაც სძენდა.

7.2. მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირთა განცხადებები

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ ჯერ კიდევ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე მოექცა მაშინდელი ოპოზიციის (დღევანდელი მმართველი გუნდი) კრიტიკის ქვეშ. ჯერ კიდევ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე კოალიცია „ქართული ოცნების“ მაშინდელმა ლიდერმა **ბიძინა ივანიშვილმა** ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „კომედი შოუს“ თანამშრომლების მისი შვილის – ბერა ივანიშვილის საკუთრებაში არსებულ სტუდიაში „Georgian Dream Studio“ გადასვლა გმირობად შეაფასა და აღნიშნა: „ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე ვიტყვი, რომ ქართული საზოგადოება კარგად აცნობიერებს, როგორ დღეში არიან „რუსთავი2“-ის, „იმედის“ და „პირველი არხის“ თანამშრომლები და როგორ ზეწოლას განიცდიან ისინი. მე ვფიქრობ, რომ ამ ახალგაზრდების ნაბიჯი იყო ძალიან გაბედული. ეს ნაბიჯი შეიძლება შევაფასოთ, როგორც ბრძოლა თავისუფლებისათვის – მათ სურთ იყვნენ თავისუფალი ყოველგვარი ზეწოლისაგან“. 2012 წლის 3 აგვისტოს მედიაკავშირ „ობიექტივის“ ეთერში ბიძინა ივანიშვილმა ქიბარ ხალვაშის „რუსთავი 2“-ის მფლობელობას შემთხვევითობა უწოდა.

არჩევნების შემდგომ 2012 წლის 22 ნოემბერს **ბიძინა ივანიშვილმა** განაცხადა, რომ „კიდევ ერთი წინასაარჩევნო დაპირების, ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაწყებულია, ისევე როგორც მედიასთან მიმართებაში სიტუაციის დარეგულირება, თუმცა ამ უკანასკნელ პროცესთან ხელისუფლებას შეხება არ აქვს. კერძოდ, ივანიშვილი ამბობს, რომ კარგია „იმედი“ მის კანონიერ მესაკუთრეს რომ დაუბრუნდა, ახლა კი პროცესი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-თან დაკავშირებითაც დაწყებულია. მან ასევე, აღნიშნა რომ „რუსთავი 2“-ისთვის ბრძოლას მისი გადმოსახედიდან რეალური მესაკუთრეები აპირებენ.“

2013 წლის 23 აპრილს პრემიერ-მინისტრმა **ბიძინა ივანიშვილმა** ქართველ ჟურნალისტებს ევროსაბჭოში სიტყვით გამოსვლის შემდეგ განუცხადა – „სააკაშვილმა უნდა თქვას, რომ „რუსთავი 2“ მას ეკუთვნის“. 2014 წლის 04 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე მან ტელეკომპანია „რუსთავი 2“ გააკრიტიკა და პრესკონფერენციაზე მყოფ „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტს ელისო ჯარიაშვილს განუცხადა, რომ მის ადგილზე „რუსთავი 2“-ში მუშაობით არ იამაყებდა. ივანიშვილის აზრით, მაღალი პროფესიონალიზმი პირველ რიგში ობიექტურობას გულისხმობს და როდესაც „რუსთავი 2“ ამაყობს, რომ პროფესიონალური ტელევიზიაა, ის ამას ვერ დაეთანხმება. 2015 წლის 15 თებერვალს ექს-პრემიერმა **ბიძინა ივანიშვილმა** განაცხადა, რომ მას და მის გუნდს აქვთ პრეტენზია შეიცვალოს დღის წესრიგი, რომელსაც „რუსთავი 2“ ადგენს და აღნიშნა, რომ მათი შემოსვლით მედიასივრცეში დაბალანსებენ არსებულ ვითარებას. 2014 წლის 15 სექტემბერს **ბიძინა ივანიშვილმა** გაზეთ „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა, რომ „მედია უკეთესი უნდა გახდეს“. მისი თქმით, „რუსთავი 2“ „ნაციონალური მოძრაობის“ აგიტაციას ეწევა. 2015 წლის 09 აპრილს **ბიძინა ივანიშვილმა** „რუსთავი 2“-ს საცოდავები უწოდა მისი დეიდაშვილის, ბიზნესმენ უჩა მამაცაშვილის კრიტიკის გამო, რომელიც ივანიშვილის თქმით, თანაინვესტირების ფონდის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. 2015 წლის 10 ნოემბერს **ბიძინა ივანიშვილმა** განაცხადა, რომ

სამაუწყებლო კომპანიის გარშემო განვითარებული მოვლენები კერძო დავაა და უარყო ამ პროცესებთან მისი კავშირი. იმავე დღეს **ბიძინა ივანიშვილმა** ჟურნალისტებთან აღნიშნა, რომ პირველ რიგში, დავით დვალს და ჯარჯი აქიმიძეს აქვთ პრეტენზია, რომ წაართვეს ტელევიზია და შემდეგ კი ხალვაშს.

პრემიერ-მინისტრობის პერიოდში ტელეკომპანია „რუსთავი 2"- ს ხშირად აკრიტიკებდა **ირაკლი ღარიბაშვილი**. იგი მუდმივად ცდილობდა ტელეკომპანიის გაიგივებას ნაციონალურ მოძრაობასთან და აცხადებდა, რომ „რუსთავი 2" ჩართული იყო ენმ-ის კამპანიაში. ასევე, ვერ მალავდა მის დამოკიდებულებას არხისადმი და ზოგ შემთხვევაში, კითხვებზეც არ პასუხობდა ჟურნალისტებს. პრემიერ-მინისტრმა „რუსთავი 2"-ის საქმეზე მიმდინარე სასამართლო დავაში მთავრობის ჩართულობა გამორიცხა და აღნიშნა, რომ ეს იყო კერძო დავა ექს-პრეზიდენტ საკაშვილსა და ხალვაშს შორის.

შემაშფოთებელი იყო ვიცე-პრემიერისა და ენერგეტიკის მინისტრის **კახი კალაძის** კომენტარი, რომელშიც მან აღნიშნა, რომ „იმედია ტელეკომპანია „რუსთავი 2" თავის მეპატრონეს დაუბრუნდება, მოვა ამის დრო". 2014 წლის 11 მაისს **კალაძემ** განაცხადა – „ძალიან ცუდია, რომ „რუსთავი 2" ისევ აგრძელებს იმ 9 წლიან სამარცხვინო მოღვაწეობას, სიბინძურის პროპაგანდას. ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს ქვეყანაში და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას პირობას ვაძლევთ, რომ ეს აუცილებლად დასრულდება".

საინტერესო იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის **სოზარ სუბარის** კომენტარიც წარსულში ამ ტელეკომპანიის წილის ზეწოლით დათმობის თაობაზე, სადაც იგი ერთი მხრივ აცხადებდა, რომ ქიბარ ხალვაშის მიერ „რუსთავი 2"-ის წილის დაბრუნებასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელის შეტანა წარმოადგენდა კერძო პირებს შორის დავას, თუმცა იქვე ამტკიცებდა, რომ მას კარგად ახსოვდა თუ როგორ აიძულეს ყოფილი მფლობელები, მათ შორის ეროსი კიწმარიშვილი და ჯარჯი აქიმიძე, რომ დაეთმოთ წილები და ასეთივე ზეწოლა იქნა განხორციელებული ქიბარ ხალვაშზეც.

„რუსთავი 2"-ის საქმეში ხელისუფლების დაინტერესებისა და ჩართულობის კონტექსტში საყურადღებო იყო მმართველი კოალიციისა და ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველების" თავმჯდომარის, საქართველოს პარლამენტის წევრის, **გოგი თოფაძის** განცხადებები. მან, 2015 წლის 27 ოქტომბერს, არხის საქმესთან დაკავშირებით ჩანიშნულ სასამართლო სხდომამდე ერთი დღით ადრე განაცხადა, რომ მეორე დღეს „რუსთავი 2" უკვე აღარ იარსებებდა. მისივე შეფასებით, „რუსთავი 2" არ იყო ობიექტური არხი, რაც დღევანდელ ხელისუფლებას „ამოუვიდა ყელში", „მონახეს, გამოჩნდა რეალური მეპატრონე და, ბუნებრივია, ითხოვენ სამართლიან სასამართლოს". 2016 წლის 16 მარტს კი „კურიერის" ჟურნალისტის კითხვას არ უპასუხა და დაემუქრა „საერთოდაც, ფრთხილად იყავით, ციხეში არ მოხვდეთ".

2013 წელს გადაცემა „არჩევანში" კოალიცია ქართული ოცნების წევრმა და პარლამენტარმა **თინა ხიდაშელმა** განაცხადა, რომ „რუსთავი 2 მოიპარეს", იგი ამავე გადაცემაში ამტკიცებდა, რომ დვალი ისეთივე რეპრესირებული ბიზნესმენია, როგორც სხვა მრავალი.

გაზეთ „პრაიმ-თაიმთან" საუბარში ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე **ეკა ბესელიამ** განაცხადა, რომ ძველი ხელისუფლება „რუსთავი 2"-ს აკონტროლებს – „თუ გამოძიება

ჩატარდება, გამოჩნდება, მიხეილ სააკაშვილმა ეს ტელევიზია ხელში როგორ ჩაიგდო. მე ქიბარ ხალვაშის ჩვენებები მახსოვს, სადაც ის ყველაფერს ყვება“. ასევე, 2015 წლის 07 ნოემბერს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში **ეკა ბესელიამ** აღნიშნა, რომ „ჩვენ განმათავისუფლებლები ვართ და ნამდვილად გვინდა, რომ ეს თავისუფალი სივრცე თქვენც იგრძნოთ, იმ მასშტაბით, რა სივრცეც თქვენ ნამდვილად გეკუთვნით, იმიტომ, რომ ნებისმიერი თქვენი კოლეგა იმსახურებს იმას, რომ მუშაობდეს თავისუფალ სივრცეში“.

7.3. ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას პირადი მიმოწერის ხელშეუხებლობის დარღვევა

2014 წლის 17 ოქტომბერს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ საკუთარ facebook-ის გვერდზე განაცხადა ელექტრონული ფოსტისა და სკაიპის მიმოწერის (პირადი საუბრები მეგობრებთან) გატეხვის თაობაზე. ნ. გვარამიას განცხადებით, მას ხელთ ჰქონდა შესაბამისი მტკიცებულებები და იგი მზად იყო ეთანამშრომლა საგამოძიებო ორგანოებთან თავისი კონსტიტუციური უფლების დასაცავად. „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ და „მედიის განვითარების ფონდი“ განცხადებით გამოეხმაურნენ ზემოაღნიშნულ ფაქტს. არასამთავრობოების განცხადებით, გავრცელებული ინფორმაცია შეიცავდა სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლის ნიშნებს, რომლის მიხედვითაც დასჯადია პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა. „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ და „მედიის განვითარების ფონდი“ საქართველოს მთავარ პროკურატურას და შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს მოუწოდებდნენ, დაუყოვნებლივ დაეწყოთ გამოძიება აღნიშნულ ფაქტზე. ჩვენთვის უცნობია და დღემდე არ გავრცელებულა ინფორმაცია დაიწყო თუ არა გამოძიება საქართველოს მთავარმა პროკურატურამ.

7.4. ზეწოლა „რუსთავი 2“ -ის თანამშრომლებზე

2015 წლის 21 ოქტომბერს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ საგანგებო განცხადებით მიმართა საზოგადოებას. მან ხელისუფლების მხრიდან მუქარასა და ზეწოლაზე ისაუბრა. კერძოდ, გვარამიას თქმით, თუ ის არ ჩამოშორდებოდა „რუსთავი 2“-ის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს, „მას არ უნდა დავიწყებოდა თავისი ოჯახის წევრების არსებობის შესახებ, ასევე მას უნდა სცოდნოდა, რომ ხელისუფლებას აქვს მისი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები და მიხეილ სააკაშვილთან მისი სატელეფონო საუბრების ფარული ჩანაწერები“. აღნიშნულთან დაკავშირებით პროკურატურამ გამოძიება დაიწყო. დაკითხვაზე ნიკა გვარამიამ ხელისუფლების გზავნილების გამხმოვანებლად საქართველოში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ახვლედიანი დაასახელა. ერთი კვირის შემდეგ, 2015 წლის 29 ოქტომბერს, ერთ-ერთ უკრაინულ საიტზე გავრცელდა ნიკა გვარამიასა და მიხეილ სააკაშვილს, ასევე გიგა ბოკერიასა და მიხეილ სააკაშვილს შორის სატელეფონო საუბრების ჩანაწერები, რომელთა საფუძველზეც საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დაიწყო გამოძიება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლის, სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის ან ხელში ჩაგდების მიზნით შეთქმულების

მუხლით. დღემდე უცნობია, შეისწავლა თუ არა პროკურატურამ აღნიშნული ჩანაწერების განხორციელების მეთოდებისა და ამ უკანასკნელთა კანონიერების საკითხი ასევე, უცნობია რა სტადიაზე იმყოფება ამჟამად გამოძიება.

გავრცელებული ინფორმაციით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის თანამშრომლის გადაბირებას ცდილობდა, კერძოდ 2015 წლის 8 დეკემბერს, „რუსთავი 2"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები „რუსთავი 2"-ის თანამშრომლის გადაბირებას და თანხის სანაცვლოდ მისგან გარკვეული ინფორმაციის მიღებას ცდილობდნენ. ინფორმაციის თანახმად კომპანიის ფინანსური დირექტორის მძღოლი კახა კუბლაშვილი ოპერატიულმა ავტომანქანამ გააჩერა. სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული სამართალდამცველები მას სუს-ის თანამშრომლებად წარუდგნენ. სუს-ის წარმომადგენლები კახა კუბლაშვილისგან თანამშრომლობას ითხოვდნენ. ისინი კუბლაშვილის ხელფასითაც დაინტერესდნენ და თანხმობის შემთხვევაში, პირობების გაუმჯობესებასაც დაჰპირდნენ. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე კახა კუბლაშვილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაბარებულ იქნა **გასაუბრებაზე**, თუმცა პროკურატურას ოფიციალური განცხადება გამოძიების შედეგების თაობაზე არ გაუვრცელებია.

7.5. ეროსი კიწმარიშვილი

2014 წლის 15 ივლისს ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი ეროსი კიწმარიშვილი ყიფშიძის ქუჩაზე, მისი საცხოვრებელი სახლის მიწისქვეშა ავტოსადგომზე, საკუთარ მანქანაში, თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობით, გარდაცვლილი იპოვეს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. იმავე დღეს საქართველოს პრეზიდენტმა **აღნიშნა**, რომ უნდა ჩატარებულიყო უსწრაფესი გამოძიება – „ამ საზარელ მკვლელობას პასუხი უნდა გაეცეს". არამარტო პრეზიდენტის, არამედ საზოგადოების მიერაც კიწმარიშვილის გარდაცვალება მკვლელობად შეფასდა, თუმცა პროკურატურამ როგორც უკვე აღვნიშნეთ გამოძიება თავიდანვე სსკ-ის 115-ე მუხლით დაიწყო.

აღსანიშნავია, რომ ეროსი კიწმარიშვილი ჯერ კიდევ 2012 წლის დეკემბერში „პრაიმ-ტაიმის" პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე **აცხადებდა**, რომ „როცა ივანიშილი „რუსთავი 2"-ზე საუბრობს თვალებში მე შემომხედოს." 2013 წლის აგვისტოში კი ეროსი კიწმარიშვილმა ჟურნალ „სარკესთან" ინტერვიუში განმარტა, რომ მის გარეშე სასამართლო ვერ დაამთავრდებდა „რუსთავი 2"-თან დავას *„ერთი სიტყვით, თუ დვალი და აქიმიძე მართლები არიან, მაშინ მეც მართალი ვარ და, თუ ქიბარია მართალი, მაშინაც, მეც მაქვს მოთხოვნის უფლება, მაგრამ ბუნებაში შეუთავსებელია ის, რომ აქიმიძე-დვალიც და ქიბარიც მართლები იყვნენ. დიდი ინტერესით ველოდები, როგორ აპირებენ ამ ორი თემის ერთმანეთში შერწყმას, რადგან ორივე გადაწყვეტილების შემთხვევაში მე „ცოცხალი" ვრჩები. უჩემოდ სასამართლო ვერ დაამთავრებს ამ თემას".*

გარდაცვალებამდე 1 დღით ადრე გაზეთ „პრაიმ-ტაიმისთვის" მიცემულ უკანასკნელ **ინტერვიუში** ეროსი კიწმარიშვილმა კახი კალაძის **განცხადებას** უპასუხა და აღნიშნა, რომ „რუსთავი 2"-სა და „მაესტროსთ-

ვის“ ბრძოლას აგრძელებდა. ასევე, განაცხადა, რომ *„რუსთავი 2“-თან დაკავშირებით შემიძლია პირდაპირ და ყოველგვარი ირონიის გარეშე გითხრათ, რომ, თუ რამე გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ეს იქნება კლასიკური პოლიტიკური გადაწყვეტილება და არა სამართლებრივი“*.

აღნიშნულმა განცხადებებმა და ეროსი კიწმარიშვილის უეცარმა სიკვდილმა საზოგადოებაში კითხვები გააჩინა. ოჯახი არ ეთანხმება მისი თვითმკვლელობის **ვერსიას**. პროკურატურის **განცხადებით** კი ეროსი კიწმარიშვილს ჰქონდა ფინანსური ვალდებულებები, რის გამოც თავი მოიკლა. აღსანიშნავია, რომ **გავრცელებული ინფორმაციით** ეროსი კიწმარიშვილი სოლიდურ ქონებას ფლობდა, რომელიც ბევრად აღემატებოდა მის ვალდებულებებს. აღნიშნული კი აღრმავებს ეჭვებს გამოძიების სანდოობის მიმართ.

ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერის ფიქრია ჩიხრაძის **განცხადებით**, იგი არაერთხელ შეხვდა ეროსი კიწმარიშვილს, რომელიც „რუსთავი 2“-ის გარშემო მიმდინარე მოვლენებზე წუხდა და ამბობდა „ახლა ყველაფერს ცდილობენ, რომ როგორმე მე არ ვიყო ამ საქმეში, ყელში გაჩხერილი ძვალივით ვარო“. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „რუსთავი 2“-ის საქმეზე საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სარჩელით ქიბარ ხალვაშმა ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებიდან 1 წლის შემდეგ 2015 წლის 04 აგვისტოს **მიმართა.** ასევე, ეროსი კიწმარიშვილის ძმის **განცხადებით**, „მის ძმას გარდაცვალების შემდეგ „გაუტეხეს“ Facebook-ის პირადი გვერდი. მისი თქმით, არაერთი თხოვნის მიუხედავად, საგამოძიებო უწყებამ არ დაათვალიერა ეროსი კიწმარიშვილის პირადი კომპიუტერი და არც მისი Facebook-ანგარიში შეუმოწმებია“.

7.6. სამართლებრივი შეფასება

7.6.1. სარჩელი „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ

2015 წლის 04 აგვისტოს ბიზნესმენმა ქიბარ ხალვაშმა და შპს „პანორამამ“ (დირექტორი-ქიბარ ხალვაში) შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის (შემდეგში – „რუსთავი 2“) და ამავე კომპანიის წილების მოქმედი თუ ყოფილი მესაკუთრეების წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სარჩელით **მიმართა**. სარჩელი სამი ძირითადი სახის მოთხოვნას მოიცავდა, ეს იყო საავტორო უფლების აღიარება, ზიანის ანაზღაურება, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

კერძოდ, სარჩელის ძირითადი ნაწილი გულისხმობდა ხალვაშსა და შპს „საქცემენტს“, შპს „გეო-ტრანსს“ შორის, შესაბამისად 2005 წლის 26 დეკემბერსა და 2006 წლის 17 ნოემბერს, ასევე შპს „პანორამას“ (დირექტორი-ქიბარ ხალვაში) და შპს „გეო-ტრანსს“ შორის 2006 წლის 17 ნოემბერს შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის წილებთან დაკავშირებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობას.

გარდა ამისა, ხალვაში სასამართლოს სთხოვდა „რუსთავი 2“-ის ლოგოს ავტორად, ხოლო, სატელევიზიო გადაცემების „ბოიარის სასახლის“, „უკანასკნელი გმირის“ და „ჯეობარის“ ნაწილის საავტორო უფლებების მფლობელად აღიარებას. ასევე, „რუსთავი 2“-ისთვის ჯამში 500 000 აშშ დოლარის, ხოლო მისი მოქმედი მფლობელებისთვის სოლიდარულად 18 367 868 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების დაკისრებას.

მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ გარიგებები იყო ამორალური, ვინაიდან დაიდო იძულებით და მათი კუთვნილი ქონება მათივე ნების საწინააღმდეგოდ გავიდა საკუთრებიდან. ამასთანავე, მათი თქმით, ნასყიდობის ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ წილთა ფასი არ შეესაბამებოდა რეალურ საბაზრო ღირებულებას.

7.6.2. „რუსთავი 2"-ის წილების და მის კეთილსინდისიერ მფლობეთა ქონების დაყადაღება

ქ.ხალვაშის და შპს „პანორამას" მიერ „რუსთავი 2"-ის წილების გასხვისების შემდეგ, აღნიშნული კომპანიის წილი არაერთხელ გაიყიდა და სარჩელის შეტანის მომენტისთვის საჯარო რეესტრში კომპანიის წილების მფლობელებად რეგისტრირებულნი იყვნენ გიორგი ყარამანიშვილი – 18%, ლევან ყარამანიშვილი – 22%, შპს „ტელეკომპანია საქართველო" – 51% (პარტნიორები – გიორგი ყარამანიშვილი – 51%, ლევან ყარამანიშვილი – 49%) და გიორგი გეგეშიძის მემკვიდრე, ნინო ნიჟარაძე – 9%.

მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ 2015 წლის 05 აგვისტოს განჩინებით ქ.ხალვაშის სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით „რუსთავი 2"-ის მთელ ქონებას ყადაღა **დაადო**. 2015 წლის 30 სექტემბრის განჩინებით კი სასამართლომ სარჩელის დამატებითი უზრუნველყოფისთვის (ტელეკომპანიის მოქმედი მფლობელებისთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ფარგლებში) ყადაღა დაადო „რუსთავი 2"-ის მფლობელების – ყარამანიშვილებისა და შპს „ტელეკომპანია საქართველოს" წილებს. არხის მეწილეებს აეკრძალათ ტელეკომპანიის სახელით ვალდებულებების აღება, რეორგანიზაცია, წესდებაში ცვლილებების შეტანა და საზოგადოების საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა.

7.6.3. საკვანძო გადაწყვეტილებები

2015 წლის 3 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელე ქ. ხალვაშისა და შპს „პანორამას" სარჩელი და ბათილად ცნო ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის წილების ნასყიდობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები. ამასთან, სასამართლომ გააუქმა საჯარო რეესტრში კეთილსინდისიერ შემძენთა წილების რეგისტრაცია და „რუსთავი 2"-ის 60% ქიბარ ხალვაშს, ხოლო 40% შპს „პანორამას" მიაკუთვნა.

ამავე წლის 05 ნოემბერს მოსამართლე თ. ურთმელიძემ გადაწყვეტილების უზრუნველყოფის მიზნით „რუსთავის 2"-ს დროებითი მმართველები დაუნიშნა. აღნიშნული ქმედება ჩვენს მიერ შეფასდა, როგორც პირდაპირი და უხეში ჩარევა დამოუკიდებელი მედია კომპანიის საქმიანობაში. წინამდებარე გადაწყვეტილების უკანონობას ხაზი გაუსვა თ. ურთმელიძის 12 ნოემბერის გადაწყვეტილებამაც, რომლითაც მან, მოსარჩელე მხარის მიმართვის საფუძველზე, შეცვალა საკუთარი გადაწყვეტილება და დავით დვალს დროებითი მმართველის სტატუსი გაუუქმა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმათა მოქმედების შეჩერების შემდეგ, რომლებიც საფუძვლად ედო ურთმელიძის გადაწყვეტილებებს, სააპელაციო სასამართლომ სრულად გააუქმა პირველი ინსტანციის განჩინებები „რუსთავის 2"-ის დროებითი მმართველების დანიშვნისა და შპს „ტელეკომპანია საქართველოს" ქონების დაყადაღების თობაზე. თუმცა, 2016 წლის 10 ივნისს სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში **დატოვა** და აღნიშნულის გამოცხადებიდან 12 დღეში გა-

დაწყვეტილება მოსარჩელე მხარეს საკუთარი ინიციატივით ჩააბარა. 2016 წლის 12 ივლისს შპს „ტელეკომპანია საქართველომ“, გიორგი და ლევან ყარამანიშვილებმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს.

მიგვაჩნია, რომ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ სასამართლო განხილვის პროცესი კანონმდებლობის და სამართლებრივი პრინციპების მნიშვნელოვანი დარღვევით წარიმართა. დარღვევების ხარისხმა და რაოდენობამ მნიშვნელოვნად შეზღუდა მხარის სამართლიანი სასამართლოს უფლება და გააჩინა საფუძვლიანი აღქმა ხელისუფლების მიერ სასამართლოს გამოყენების გზით დამოუკიდებელ მედიასთან ბრძოლის თაობაზე.

7.7. პირველი ინსტანცია

7.7.1. საპროცესო კანონმდებლობის დარღვევის კონკრეტული შემთხვევები

ა) მოსამართლის მიუკერძოებლობის საკითხი

მოსამართლე თ. ურთმელიძის მიუკერძოებლობის შესახებ ეჭვი მისი დედის, მდინარა გიორგობიანის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო გააღრმავა. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით გაირკვა, რომ გიორგობიანის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე პროკურატურა გამოძიებას აწარმოებდა. საქმე ეხება 2014 წლის 07 იანვარს მომხდარ ინციდენტს, მ. გიორგობიანის მიერ, მისი სიძის, ვალერი სილაგაძის შესაძლო ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების შემთხვევას.

საზოგადოებაში გაჩდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ხელისუფლების მხრიდან საქმის შესწავლისა და დედის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მუქარით მოსამართლე თ.ურთმელიძეზე ზეწოლა ხორციელდებოდა. ასეთი დასკვნის საფუძველს ქმნიდა საქმეზე გამოძიების გააქტიურების პერიოდი. სამართალდამცველებმა საგამოძიებო მოქმედებები მომხდარიდან დაახლოებით ორი წლის შემდეგ, „რუსთავი 2“-ის საქმის განხილვის პარალელურად გააქტიურეს. ეჭვი გააჩინა სისხლის სამართლის საქმეზე თ.ურთმელიძის სიძის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების პროცესმაც. ეს უკანასკნელი წინ უსწრებდა თ. ურთმელიძის მიერ 30 სექტემბერს შპს „ტელეკომპანია საქართველოს“ ქონების დაყადაღებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ტელეკომპანიის ადვოკატებმა, ამ და სხვა საფუძვლით რამდენჯერმე დააყენეს მოსამართლე თ. ურთმელიძის აცილების საკითხი. მათ შორის ადვოკატები მოსამართლის აცილებას ითხოვდნენ მისი მეუღლის მიერ სოციალურ ქსელში „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელების მისამართით გაკეთებული შეურაცხმყოფელი შეფასებების გამო. თუმცა მოსამართლემ იმ საეჭვო მოტივით და კანონმდებლობის ინტერპრეტაციით, რომ: 1) საქართველოს კანონმდებლობით დედა ოჯახის წევრად არ ითვლება; და 2) მეუღლის განცხადებები მასთან არ იყო შეთანხმებული, მისი აცილების შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და საქმის განხილვა განაგრძო.

მიგვაჩნია, რომ სახეზე იყო მოსამართლის აცილების საკმარისი საფუძველი. მოსამართლის დედის ირგვლივ განვითარებული მოვლენები საზოგადოებაში ქმნიდა აშკარა აღქმას სახელმწიფოს მხრიდან მის

ნებაზე გავლენის არსებობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ურთმელიძეს მომხდარის უარყოფა არ უცდია. თუმცა, ყურადღება გაამახვილა მოხელის კანონმდებლობით დადგენილ ოჯახის წევრთა ჩამონათვალზე, სადაც დედა არ ფიგურირებს და შეეცადა გაებათილებინა ეჭვი მისი მიუკერძოებლობისა და ნეიტრალურობის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ იმავე საკანონმდებლო აქტით მშობელი არის ახლო ნათესავი,[18] შესაბამისად მოსამართლის მსჯელობა მისი აცილების საფუძვლის არ არსებობის ნაწილში დაუსაბუთებელი და უკანონოა, რადგან ახლო ნათესავისთვის თავისუფლების აღკვეთის მუქარა, შესაძლოა განხილულ იქნეს, როგორც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მოსამართლის მიუკერძოებლობაში.[19]

აღსანიშნავია, რომ საქმის განმხვილველი მოსამართლის მიუკერძოებლობა და ობიექტურობა სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მთლიანი პროცესის სამართლიანობას და შესაბამისად საქმეზე სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი სწორედ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის უზრუნველმყოფ ნორმად ითვლება და მათ შორის, მოიცავს მიუკერძოებელი სასამართლოს უფლებასაც.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, რომელსაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც იზიარებს, მოსამართლის მიუკერძოებლობა ფასდება ე.წ. სუბიექტური და ობიექტური ტესტით. „სუბიექტური ტესტი კონკრეტული საქმის მიმართ მოსამართლის პირად დამოკიდებულებას, მრწამსს ასახავს. ზოგადად ითვლება, რომ მოსამართლე მიუკერძოებელია, ვიდრე საპირისპირო არ დამტკიცდება ანუ წარმოდგენილი უნდა იქნეს კონკრეტული მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდება, რომ მოსამართლე მოქმედებდა მიკერძოებით, განმცხადებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ, მაგალითად, გამოხატავდა არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებას მის მიმართ ან პირადი მიზნებიდან გამომდინარე, საქმის განხილვა დაიქვემდებარა. ობიექტური ტესტით კი უნდა დამტკიცდეს, რომ მოსამართლის ქცევისგან დამოუკიდებლად არის ფაქტები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ეჭვი მისი მიკერძოების შესახებ. ამასთან დაკავშირებით, მიკერძოების გარეგნულ ნიშნებსაც შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა. ობიექტური მიუკერძოებლობის დასადგენად განმცხადებლის ვარაუდი მიკერძოების შესახებ მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი. მთავარია, შესაძლებელია თუ არა აღნიშნული ეჭვის ობიექტურად გამართლება[20] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სუბიექტური და ობიექტური ტესტს შორის მკვეთრი ზღვარი არ არსებობს, ვინაიდან მოსამართლის ქცევამ არამხოლოდ ობიექტური დამკვირვებლისათვის შეიძლება აღძრას ობიექტური ეჭვები (ობიექტური ტესტი) , არამედ ეხებოდეს მის პირად რწმენასაც (სუბიექტური ტესტი).[21]

---

18 „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე #982, 11/11/1997.

19 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის “დ” ქვეპუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე #1106, 31/12/1997.

20 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება, II.პ.3;

21 Micallef v Malta, (App. 17056/06), 15 October 2009 [GC], ECHR 2009, § 95,101.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომის მიხედვით, მოსამართლეს მხოლოდ მაშინ ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ წარმოიქმნება საფუძვლიანი ეჭვი, რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო მოსამართლე ვერ იქნება მიუკერძოებელი. მან თავი უნდა შეიკავოს საქმის განხილვაში მონაწილეობისგან, რადგან ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების მიერ სასამართლოს აღქმადობას. თუკი ხალხის მიერ კონკრეტული სასამართლო შემადგენლობის მიუკერძოებლობის ნდობის ხარისხი იქნება დაბალი, ამ შემთხვევაში მოსამართლემ თავი უნდა აიცილოს დადგენილი წესის შესაბამისად.[22]

ამრიგად, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი შეფასების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში სახეზე იყო მოსამართლის, თ. ურთმელიძის აცილების საფუძველი.

7.7.2. უკანონო და დაუსაბუთებელი განჩინებები

სასამართლო პროცესების განვითარებიდან გამომდინარე „რუსთავი 2“-ის წარმომადგენლები არ გამორიცხავდნენ, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლე მათ საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას გამოიტანდა. მათივე ვარაუდით მოსალოდნელი იყო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების მექანიზმის გამოყენება. ასეთ შემთხვევაში „რუსთავი 2“-ის ინტერესებისთვის მიყენებული ზიანი აზრს უკარგავდა სამართლიანი სასამართლოთი სარგებლობის უფლებას. მხარის მოსაზრებას ამყარებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის ერთ-ერთი საფუძვლის ზოგადი ჩანაწერი.

საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა „რუსთავი 2“-ის წარმომადგენლების მოსაზრება გასაჩივრებული ნორმის შესაძლო ბუნდოვანებასთან დაკავშირებით და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩერა მისი მოქმედება.

ა) დროებითი მმართველები

„რუსთავი 2“-ის წარმომადგენლების ეჭვები, მოსამართლის განზრახვასთან დაკავშირებით გაამართლა მოსამართლე თ. ურთმელიძის 2015 წლის 05 ნოემბრის განჩინებამ. თ.ურთმელიძემ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსის უგულებელყოფით, „რუსთავი 2“-ის წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებს შეუჩერა უფლებამოსილება და ტელეკომპანიის დროებით მმართველებად ამავე კომპანიის ყოფილი მეწილე, დავით დვალი და ერთ-ერთი კონკურენტი ტელეარხის მენეჯმენტის ყოფილი წარმომადგენელი, რევაზ საყევარიშვილი დანიშნა. მოსამართლე გადაწყვეტილებაში განმარტავდა, რომ დროებითი მმართველები ნეიტრალურ პირებს წარმოადგენდნენ და უზრუნველყოფდნენ კომპანიის შესაბამის ფუნქციონირებას. თუმცა, მისი მსჯელობა დროებითი მმართველების ნეიტრალურობის თაობაზე თავიდანვე საფუძველს მოკლებული იყო.

[22] იხ. ციტირება საქართველოსსაკონსტიტუციოსასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი დაონისემებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.პ.3

ერთ-ერთი დროებითი მმართველი, „რუსთავის 2“-ის თანადამფუძნებელი, დავით დვალი, ერთმნიშვნელოვნად დაინტერესებული იყო საქმის შედეგით. იგი საჯაროდ აცხადებდა, რომ ტელეკომპანიის წილის 60%-თან დაკავშირებით გარკვეული ინტერესები ჰქონდა.

დროებითი მმართველების მიკერძოებულობაზე მეტყველებდა ქ. ხალვაშსა და დროებით მმართველებს შორის მიღწეული **შეთანხმება**. ხალვაშის განცხადებით, იგი მზად იყო საბოლოო ინსტანციაში საქმის მოგების შემდეგ ტელეკომპანიაში საკუთარი წილის ნახევარი მათთვის დაეთმო.

აღნიშნული განცხადება გახდა ერთ-ერთი საფუძველი სასამართლოს მიერ დროებითი მმართველების დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების შეცვლისა. 12 ნოემბერს, თ.ურთმელიძემ „რუსთავი 2“-ის მფლობელების საჩივრის საფუძველზე, რამდენიმე დღის წინ მიღებული საკუთარი გადაწყვეტილება **ნაწილობრივ შეცვალა**. განჩინება დავით დვალის დანიშვნის ნაწილში გაუქმდა. ნიკა გვარამიასა და კახა დამენიას კი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე აღმასრულებელი და ფინანსური დირექტორის უფლებამოსილებები აღუდგათ.

თ. ურთმელიძის მიერ განჩინების შეცვლიდან მეორე დღეს, 13 ნოემბერს, საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩერა იმ ნორმის შინაარსი, რომელიც მოსამართლემ ტელეკომპანიაში დროებითი მმართველების დანიშვნას დაუდო საფუძვლად. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, შეაჩერა ნორმის იმ შინაარსის მოქმედება, რომელიც ითვალისწინებს, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, იურიდიული პირის – მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი ან ელექტრონული საშუალების ხელმძღვანელობის, მართვისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების დროებითი მმართველისათვის მინიჭებას.

თავის მხრივ, სააპელაციო სასამართლომ, 2015 წლის 27 ნოემბერს, **სრულად გააუქმა** თ. ურთმელიძის განჩინება „რუსთავი 2“-ის დროებითი მმართველების დანიშვნის თაობაზე.

ბ) დამოუკიდებელი მედიის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევა

განსაკუთრებით შემაშფოთებელი, საფრთხის შემცველი და უპრეცედენტო იყო სასამართლოს ჩარევა დამოუკიდებელი მედიის სარედაქციო პოლიტიკაში, მისი ფორმირების წესების დადგენის გზით. თ.ურთმელიძე 2015 წლის 05 ნოემბრის განჩინებაში აღნიშნავს, რომ „საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე ინფორმაციის გაშუქებისას გამოყენებულ უნდა იქნეს ობიექტური და სამართლიანი რეპორტაჟის მეთოდი. მოპასუხის მმართველობის პირობებში ეს საკითხიც დგას კითხვის ნიშნის ქვეშ. მითითებული მიზნების უგულებელყოფა კი, საბოლოო ჯამში, საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიის ძირითად დანიშნულებას“. ცალსახაა, რომ აღნიშნული მსჯელობა სცილდება ქონებრივი დავის კონტექსტს და მიუთითებს სასამართლო პროცესის მიზანზე უხეშად ჩარეულიყო დამოუკიდებელი მედიის საქმიანობაში.

სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევად უნდა განვიხილოთ დროებითი მმართველებისთვის უფლებამოსილების ფარგლების დადგენა ისე, რომ მათ კომპეტენციაში მოხვდა საკადრო პოლიტიკის მართვის, მათ

შორის, შიდა სტრუქტურული რეორგანიზაციის და სამაუწყებლო ბადის განსაზღვრის (ოპტიმიზაციის) უფლებამოსილებები. ასევე, დროებით მმართველებს მიენიჭათ ტელეკომპანიის ყველა დაწესებულებასა და ორგანოსთან წარმომადგენლობის უფლებამოსილება, რითაც „რუსთავი 2“-ის წარმომადგენლებს შეეზღუდათ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების სასამართლოს წესით გასაჩივრების შესაძლებლობა.

დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა მედიის თავისუფლების ერთ-ერთ უმთავრეს შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს, რომლის დაცვასაც კონსტიტუციური მნიშვნელობა გააჩნია. ხელისუფლების რომელიმე შტოს ნებისმიერი მცდელობა კი, უკარნახოს მაუწყებელს თუ რა სახის სარედაქციო პოლიტიკა უნდა გაატაროს მან, წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 24-ე და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მე-10 მუხლით გარანტირებულ უფლებაში უხეშ ჩარევას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, აუდიოვიზუალური მაუწყებლობის სფეროში სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება „უზრუნველყოს პირველ რიგში, რომ საზოგადოებას ჰქონდეს წვდომა ტელევიზიისა და რადიოს დახმარებით მიუკერძოებელ და სწორ ინფორმაციასთან, ისევე როგორც მოსაზრებათა და კომენტართა სიმრავლესთან, რომელიც ასახავს inter alia ქვეყანში პოლიტიკური ხედვის მრავალფეროვნებას და, მეორე მხრივ რომ ჟურნალისტებსა და სხვა პროფესიონალებს, რომლებიც მუშაობენ აუდიოვიზუალურ მედიაში არ ეშლებოდეთ ხელი მოცემული ინფორმაციისა და ხედვების გავრცელებაში“.[23] ცხადია, აღნიშნული ვალდებულება თანაბრად ვრცელდება ხელისუფლების ყველა შტოზე, თუმცა სასამართლო ხელისუფლების მხრიდან საკუთარი სურვილის გამოვლინება კონკრეტული ტელემაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკის მიმართულებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საგანგაშოა, იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო ხელისუფლება ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარე, დანარჩენი ორი ხელისუფალების შტოსაგან განსხვავებით წარმოადგენს აპოლიტიკურ შტოს, რომლის უმთავრესი მიზანი წესით, სწორედ კონსტიტუციური უფლებების დაცვა და ხელისუფლების სხვა შტოების კონტროლი უნდა იყოს.

გ) განჩინების კანონიერება და დასაბუთებულობა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 251-ე მუხლი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ „თუ სასამართლო დაადგენს გადაწყვეტილების აღსრულების განსაზღვრულ წესსა და ვადას, ან მიიღებს ზომებს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, ამის შესახებ მითითებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილებაში“. შესაბამისად შემაჯამებელი გადაწყვეტილების შემდეგ თ. ურთმელიძის მიერ გადაწყვეტილების უზრუნველყოფის თაობაზე მსჯელობა პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა კანონის მოთხოვნებს.

გარდა ამისა, განჩინება დაუსაბუთებელი იყო მისი მიღების აუცილებლობის ნაწილში. განჩინების გამოტანამდე ძალაში იყო იმავე მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ და სხვა უზრუნველყოფის ღონისძიებებთან ერთად ყადაღა ედო „რუსთავი 2“-ის და მისი წილის მფლობელი შპს „ტელეკომპანია საქართველოს“ ქონებას. „რუსთავი 2“-ის არსებული მენეჯმენტის ძირითადი უფლებამოსილებების შეზღუდვა, გამორიცხავდა მათი მხრიდან კომ-

[23] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Manole and others v. Moldova, პარ. 100

პანიის ფინანსებისა და ქონების შემცირების საფრთხეს. შესაბამისად ბუნდოვანია თუ რა კანონიერ მიზანს ემსახურებოდა თ. ურთმელიძის მიერ გადაწყვეტილების უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გამოტანა.

დ) განჩინება შპს „ტელეკომპანია საქართველოს“ ქონების დაყადაღების თაობაზე

„რუსთავი 2“-ის სრული ყადაღის შემდეგ, თ. ურთმელიძემ, 2015 წლის 30 სექტემბრის განჩინებით სარჩელის დამატებითი უზრუნველყოფისთვის (ტელეკომპანიის მოქმედი მფლობელებისთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ფარგლებში) ყადაღა დაადო „რუსთავი 2“-ის მფლობელების – ყარამანიშვილებისა და შპს „ტელეკომპანია საქართველოს“ წილებს. არხის მფლობელებს აეკრძალათ ტელეკომპანიის სახელით ვალდებულებების აღება, რეორგანიზაცია, წესდებაში ცვლილებების შეტანა და საზოგადოების საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა.

თ. ურთმელიძემ არ დააკმაყოფილა ხალვაშის მოთხოვნა ტელეკომპანიის მოქმედი მფლობელებისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ, თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად ძალაში დატოვა მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიება, მფლობელთა ქონების ყადაღის სახით.

გარდა განჩინების დაუსაბუთებლობისა, როგორც პირველმა ინსტანციამ, ასევე სააპელაციო სასამართლომ უხეშად დაარღვიეს განჩინებაზე საჩივრის განხილვის ვადები. კერძოდ, თ. ურთმელიძემ საჩივარი სააპელაციო სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი 5 დღიანი ვადის ნაცვლად 48 დღეში გადააგზავნა. თავის მხრივ, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საჩივრის განხილვის ორ თვიანი ვადა. თუმცა, საბოლოოდ, მას შემდეგ რაც, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნორმათა მოქმედება, რომლებიც საფუძვლად ედო ურთმელიძის გადაწუვეტილებებს, შეჩერდა, თ. ურთმელიძის განჩინება, უკანონობისა და დაუსაბუთებლობის გამო **სრულად გააუქმა**.

ე) საქმის ფორსირებულ რეჟიმში განხილვა

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საქმეები საქალაქო სასამართლოში როგორც წესი ჭიანურდება, ზოგ შემთხვევაში წლობითაც კი, აღნიშნული საქმე პირველმა ინსტანციამ უპრეცენდენტოდ მოკლე ვადაში, სამ თვეში, განიხილა. აღნიშნულმა გარემოებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ვარაუდი სასამართლოს საქმის სწრაფად დასრულებით დაინტერესების თაობაზე. როგორც წესი, საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო სამართალწარმოება სასამართლოს გადატვირთულობის მოტივით ბევრად აღემატება კანონით დადგენილ ვადებს, თუმცა ფაქტია, რომ მოსამართლე თ.ურთმელიძემ შეძლო ასეთ რთულ და სენსიტიურ საქმეზე სარჩელის შეტანიდან სამ თვეში შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

ვ) მტკიცებულებათა სანდოობა

ბათილად ცნობილი ხელშეკრულებების გარდა, სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში დაეყრდნო მხოლოდ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნას, რომლის სანდოობის საკითხი „რუსთავი 2“-ის წარმომადგენლებმა არაერთხელ დააყენეს ეჭვქვეშ. მათი პოზიციით ექსპერტიზის მიერ შეუძლებელი იყო ობიექტურად კომპანიის საბაზრო ღირებულების დადგენა მოსარჩელე-

ების მიერ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროსათვის მიწოდებული გაურკვეველი ფორმის, შინაარსისა და წარმოშობის ფურცლების საფუძველზე.

იგივე მსჯელობა განავითარა 2015 წლის 02 ნოემბრის დასკვნაში ერთერთი ავტორიტეტული აუდიტორული კომპანიის „Grant Thornton“-ის წარმომადგენელმა და პარტნიორმა კომპანიამ საქართველოში „Grant Thornton Akhvlediani“. აღნიშნული დასკვნით, რომელიც პირველი ინსტანციისგან განსხვავებით სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებად დაუშვა, კომპანიამ შეისწავლა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საექსპერტო დასკვნა და აღნიშნა, რომ სამხარაულის ექსპერტის მიერ გაცემული „რუსთავი 2“-ის წილების ღირებულების შეფასების ანგარიში მომზადდა გამოყენებული შეფასების მეთოდის (IVS) მოთხოვნებისგან გადახრით, რასაც შესაძლოა გამოეწვია შეფასების თარიღისთვის კომპანიის წილის შეფასების შედეგების მატერიალური ხარვეზი. ასევე, დასკვნაში ვკითხულობთ, რომ შემფასებლისთვის მიწოდებული ინფორმაცია, IVS-ის თანახმად, არ უნდა ჩაითვალოს საკმარისად და შესაფერისად – (ტელეკომპანიის წილის საბაზრო ღირებულების) შეფასების წარმართვისთვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი მოსამართლე თ.ურთმელიძის მიერ მის წინაშე წარდგენილი მტკიცებულებების შეფასების სანდოობასთან დაკავშირებით.

8) მატერიალური კანონმდებლობის დარღვევა

- *ამორალური გარიგება (ფასის დისპროპორცია)*

პირველმა ინსტანციამ სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლზე დაყრდნობით უცილოდ ბათილად ცნო „რუსთავი 2“-ის წილებთან დაკავშირებული გარიგებები. სასამართლომ აღნიშნა, რომ გარიგების ფასსა და ექსპერტიზით დადგენილ ფასს შორის დისპროპორციის ხარისხი გარიგებას აქცევდა ამორალურად.

კერძოსამართლებრივი გარიგებების დადება, რომლის მეშვეობითაც სამართალ სუბიექტები შედიან და აწესრიგებენ ერთმანეთს შორის სამართლებრივ ურთიერთობებს, საქართველოს კონსტიტუციით დაცული ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლების - ქმედების საყოველთაო თავისუფლების კერძოსამართლებრივი გამოხატულებაა.

54-ე მუხლის ურთმელიძისეული განმარტებით კი უგულებელყოფილ იქნა პირთა მიერ გამოვლენილი ნების თავისუფლება და მისგან მომდინარე სამართლებრივი შედეგები, მხოლოდ იმის გამო, რომ გარიგების ფასის დისპროპორცია მისი დადების მომენტში არსებულ რეალურ ფასთან მიმართებით ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს და ზნეობის ნორმებს.

სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილებით გაამართლა „რუსთავი 2“-ის წარმომადგენლების ეჭვი, 54-ე მუხლის განჭვრეტადობის პრობლემისა და მოსამართლეთა მიერ მისი განმარტების ფართო შესაძლებლობიდან მომდინარე საფრთხეებთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის პროცესშია საკონსტიტუციო სასამართლოც, რის თაობაზეც ქვემოთ დეტალურად გვექნება საუბარი.

მიგვაჩნია, რომ სასამართლოს მიერ გარიგების ზნეობის და მორალის ნორმებთან შეუსაბამოდ ცნობა მხოლოდ მისი ფასის დისპროპორციულობის გამო, მაშინ როდესაც ერთი მხრივ გვაქვს სამოქალაქო სამართლის პრინციპი მხარეთა ნების თავისუფალი გამოვლენის თაობაზე, ხოლო მეორე მხრივ არ არსებობს ზნეობის და მორალის ნორმების საკანონმდებლო დეფინიცია, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულ საკუთრების უფლებას და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, კერძოდ კი მის შინაარსობრივ მხარეს. დაწესებული შეზღუდვები იყოს რაციონალური. სწორედ კონსტიტუციურ პრინციპებზე დაყრდნობით გაუმართლებლად მიგვაჩნია ადამიანის უფლებების შეზღუდვა ხდებოდეს მხოლოდ საზოგადოების მხრიდან თავსმოხვეული ზნეობრივი პოსტულატების გამო. მოსამართლისათვის, ნებისმიერი საქმის განხილვისას ამოსავალ წერტილს უნდა წარმოადგენდეს უშუალოდ გარიგების მხარეთა კონსტიტუციური უფლებები, საბოლოო გადაწყვეტილებები კი არ უნდა იყოს ნაკარნახევი საზოგადოებაში არსებული მორალური დოგმებით.

- *მოთხოვნის ხანდაზმულობა*

სასამართლომ მტკიცებულებების არ არსებობის გამო არ დაადგინა მოსარჩელე, ქიბარ ხალვაშზე იძულების განხორციელების ფაქტი, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ „რაც უფრო დაბალია სუბიექტური კომპონენტის ხარისხი ანუ როცა არ ვიცით, არაა ნათელი, თუ რაზე ფიქრობდნენ ადამიანები გარიგების დადების დროს, დასკვნები ობიექტურ საფუძველზე უნდა გაკეთდეს“. აღნიშნული დასკვნა კი თ. ურთმელიძემ მხოლოდ და მხოლოდ ფასის დისპროპორციულობის საფუძვლით გააკეთა.

ხალვაშმა სასამართლოს სარჩელით 2015 წლის 04 აგვისტოს მიმართა. ის უთითებდა, რომ 2005-2006 წლებში „რუსთავი 2“-ის წილის გასხვისების გარიგებები დადო ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების, მათ შორის პრეზიდენტის მხრიდან მასზე განხორციელებული ზეწოლის/იძულების გამო. სამოქალაქო კოდექსის 89-ე მუხლის თანახმად იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან. შესაბამისად, იძულების დამთავრებად ხელისუფლების ცვლილებაც რომ მივიჩნიოთ, 2015 წლისთვის მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმული იყო.

ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ სასამართლომ იძულების კომპონენტის უგულებელყოფით, რაც არ დასტურდებოდა არცერთი მტკიცებულებით, თავიდან აირიდა სამართლებრივ ჩიხში მოქცევა. გვერდი აუარა ხანდაზმულობის ვადაზე მსჯელობას ვინაიდან აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უპირობო საფუძველს.

რაც შეეხება მხოლოდ ფასის დისპროპორციის გამო გარიგების ამორალურად ცნობას, მიგვაჩნია, რომ პირველმა ინსტანციამ და შემდეგ სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი ფართოდ, ადამიანის უფლებების საზიანოდ განმარტა.

- *ქონების კეთილსინდისიერი შემძენი*

პირველი ინსტანციის სასამართლომ უხეშად დაარღვია კეთილსინდისიერ შემძენთა უფლებები. კერძოდ, მოსამართლე თ. ურთმელიძემ იმისთვის, რომ გვერდი აეარა სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლით დად-

გენილი საჯარო რეესტრის მონაცემების უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციისთვის ნორმა განზრახ არასწორად განმარტა. მოსამართლემ უგულებელყო ნორმის შინაარსი და აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოების წილთან მიმართებით არ მოქმედებდა აღნიშნული პრეზუმფცია, ვინაიდან ეს პირდაპირ არ იყო ნორმაში მითითებული.

სამოქალაქო კანონმდებლობა, ასევე საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“ ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ საჯარო რეესტრი არა მხოლოდ უძრავ ნივთზე რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის ერთობლიობაა, როგორც ამას მოსამართლე ურთმელიძე ამტკიცებს, არამედ ეს არის მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და სამისამართო რეესტრების ერთობლიობა.

ზემოთ განვითარებული მტკიცებიდან გამომდინარე საზოგადოების წილთან დაკავშირებულ რეესტრში არსებულ მონაცემებზე აუცილებლად ვრცელდება საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია.

თავის მხრივ ზემოთ აღნიშნული პრეზუმფცია გულისხმობს, რომ რეესტრში რეგისტრირებული უფლების შემძენი კეთილსინდისიერია, გარდა ორი კონკრეტული შემთხვევისა, კერძოდ თუ რეესტრის ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა. ამასთანავე, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის განზოგადების სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ „შემძენს არ შეიძლება მოეთხოვოს ისეთი გარემოებების ცოდნა, რომელიც აღემატება (სცილდება) მისი შესაძლებლობის ფარგლებს. კეთილსინდისიერების შეფასებისას მთავარია შემძენის მხრიდან ფაქტების გაცნობიერების შესაძლებლობა და არა თავად ინტერესი ამ ფაქტებისადმი. სხვა სიტყვებით, შეფასების საგანია აღნიშნული ფაქტების ცოდნა და არა მიზანმიმართული ცოდნა“.[24] აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არცერთი ამ გამონაკლისთაგანი არ დაუდგენია.

ეს უკანასკნელი გარემოება მთლიანად უკარგავს აზრს თ. ურთმელიძის გადაწყვეტილების კანონიერებაზე მსჯელობას. მოსამართლე ვალდებული იყო სადავო საკითხის გადაწყვეტისას ეხელმძღვანელა რეესტრის უტყუარობის მარეგულირებელი ნორმებით (სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლები) და საკითხი გადაეწყვიტა კეთილსინდისიერი შემძენის სასარგებლოდ, რაც გულისხმობს, რომ კეთილსინდისერ შემძენს ნებისმიერ შემთხვევაში უნარჩუნდება საკუთრების უფლება. ხოლო მესაკუთრეს უფლება აქვს საზღაური მოითხოვოს არამართლზომიერი გამსხვისებლის მიმართ.

ამასთან, თ. ურთმელიძე გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის კონკრეტული ნორმა უთითებს მხოლოდ უძრავ ნივთებზე საჯარო რეესტრში არსებული ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეზე. მიგვაჩნია, რომ მოსამართლის მიერ ნორმის ასეთი განმარტება მიმართულია ადამიანის უფლებების შეზღუდვისკენ და ერთმნიშვნელოვნად არღვევს ნორმის განმარტების პრინციპს.

[24] იხ, გვ. 95-96. http://supremecourt.ge/files/upload-file/pdf/rekomend.pdf [უკანასკნელად შემოწმდა 24.09].

თუნდაც კანონმდებლობა არ იძლეოდეს ზუსტ მითითებას ნორმის გამოყენებასთან დაკავშირებით, სასამართლომ იგი ადამიანის უფლებათა სასარგებლოდ უნდა განმარტოს. მსგავსი პრინციპი მოქმედებს სწორედ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებისას, რა დროსაც სასამართლო ყურადღებას ამახვილებს კონვენციის მიზანსა და ობიექტზე. ხელშეკრულების ინტერპრეტაცია, სასამართლოს აზრით, უნდა მოხდეს ყველაზე შესაფერისი/ადეკვატური გზით, იმისათვის რომ მიღწეულ იქნეს ხელშეკრულების მიზანი და რეალიზებულ იქნეს მისი ობიექტი (Wemhoff v. Germany). თავისმხრივ საქართველოს, როგორც ამ კონვენციის ხელშემკვრელ მხარეს, ასევე აკისრია ვალდებულება საკუთარი კანონმდებლობა სწორედ მასთან შესაბამისად განმარტოს. აღნიშნული გამომდინარეობს ე.წ. „განმარტების პრინციპდან." (Jensen, The European Convention on Human Rights in Scandinavian Law: A Case Law Study, 1992, 110)

თ) მოსამართლის მიერ არასწორი ნორმის და ნორმის არასწორად გამოყენება

პირველი ინსტანციის სასამართლომ, საზოგადოების წილებთან დაკავშირებით რეესტრში არსებულ ინფორმაციაზე, უძრავ ქონებაზე საკუთრების შეძენის მარეგულირებელი ნორმების ნაცვლად (სკ-ის 185-ე მუხლი), არასწორად, მოძრავ ქონებაზე საკუთრების შეძენის მარეგულირებელი ნორმები (სკ-ის 187-ე მუხლი) გამოიყენა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოძრავი ნივთების შემთხვევაში, შემძენის კეთილსინდისიერების შემოწმების არეალი უფრო ფართოა ვიდრე უძრავი ნივთების შემთხვევაში. სწორედ ეს შეიძლებოდა გამხდარიყო არასწორი ნორმების გამოყენების მოტივი. თ. ურთმელიძეს ნორმის არასწორმა გამოყენებამ საშუალება მისცა შემძენის კეთილსინდისიერება უფრო დაბალი სტანდარტით შეეფასებინა და ამ გზით მისულიყო სასურველ გადაწყვეტილებამდე.

თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თ. ურთმელიძემ მოძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის მარეგულირებელი ნორმაც არასწორად გამოიყენა. კერძოდ, მოსამართლე გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ პირმა რომელმაც არასათანადო პირისგან შეიძინა (მოძრავ ნივთზე) საკუთრება, უნდა ამტკიცოს თავისი კეთილსინდისიერება.

იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ პირი რომელიც სადაოდ ხდის მოძრავ ნივთზე საკუთრების კეთილსინდისიერ შეძენას ვალდებულია დაამტკიცოს შემძენის არაკეთილსინდისიერება. შემძენის კეთილსინდისიერება ივარაუდება. შესაბამისად გაუგებარია, მოსამართლე თ. ურთმელიძის მსჯელობა „რუსთავი 2"-ის წილების მოქმედი მფლობელების ვალდებულებაზე ემტკიცებინათ მათი, როგორც „მოძრავი ნივთის" (წილის) შემძენთა კეთილსინდისიერება, მაშინ როდესაც ქ. ხალვაშს აღნიშნულის დამადასტურებელი არცერთი მტკიცებულება სასამართლოსთვის არ წარუდგენია.

ზემოაღნიშნულის გარდა, სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, კეთილსინდისიერი შემძენი ვერ გახდება ნივთის მესაკუთრე, თუ ეს ნივთი მესაკუთრემ დაკარგა, მას მოპარეს, ან მისი ნების წინააღმდეგ სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან, ან/და შემძენმა ის უსასყიდლოდ მიიღო.

თ. ურთმელიძე გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ საკუთრება მოსარჩელეთა მფლობელობიდან გავიდა მათი ნების საწინააღმდეგოდ, შესაბამისად მათ შეეძლოთ საკუთრების გამოთხოვა საკუთრების ბოლო მფლობელებისგან.

აბსოლუტურად ურთიერთგამომრიცხავი და ბუნდოვანია რა მტკიცებულებებს დაეყრდნო სასამართლო აღნიშნული დასკვნის გაკეთებისას, მაშინ როდესაც გადაწყვეტილების თავშივე მოსამართლემ გამორიცხა ხალვაშზე იძულების განხორციელების ფაქტი და ნივთის მოსარჩელეთა მფლობელობიდან მათი ნების საწინააღმდეგოდ გასვლა.

7.8. სააპელაციო სასამართლო

7.8.1. არაუფლებამოსილი შემადგენლობა

„რუსთავი 2“-ის საქმის განმხილველი მოსამართლეთა შემადგენლობის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით ეჭვი წარმოშვა სააპელაციო სასამართლოს კოლეგიების ცვლილებამ. სანამ საქმე განსახილველად მოსამართლეების ნაზღაიძე, გუჯაბიძე, ყაველაშვილის კოლეგიას გადაეცემოდა მანამდე კოლეგია არაერთხელ შეიცვალა. სწორედ ამ გარემოებამ გააჩინა საფუძველი ეჭვისა, რომ ადგილი ჰქონდა კოლეგიის ხელოვნურ შერჩევას საქმის ხელისუფლებისა და მოსარჩელისათვის სასურველი შედეგით დამთავრების მიზნით.

სარჩელის და გადაწყვეტილების უზრუნველყოფის განჩინებები განიხილა კოლეგიამ მოსამართლეების ნატა ნაზღაიძის, გიორგი გოდერძიშვილისა და ქეთევან მესხიშვილის შემადგენლობით. შედეგად 05 ნოემბრის განჩინება მთლიანად, ხოლო ყადაღის შესახებ განჩინება ნაწილობრივ გაუქმდა და ტელეკომპანიას აღუდგა მისი ქონების გაქირავების უფლება მაქსიმუმ სამი თვის ვადით.

მოპასუხეთა განმარტებით სააპელაციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საქმეს არსებითად იხილავს სააპელაციო სასამართლოს კოლეგიის ის შემადგენლობა, ვინც განჩინებების კანონიერება და დასაბუთებულობა შეამოწმა, თუმცა აღმოჩნდა, რომ საქმე არსებითად განსახილველად დაეწერა სხვა კოლეგიას, მოსამართლეების ლილი ტყემალაძე, ხათუნა არევაძე და ვანო წიკლაურის შემადგენლობით. აღნიშნულმა კოლეგიამ „რუსთავი 2“-ს გაუგზავნა წერილი, რომ საქმე მიეკუთვნებოდა რთულად განსახილველ საქმეთა კატეგორიას, ამიტომ მის განხილვას დაახლოებით ხუთი თვე დასჭირდებოდა. მოულოდნელად სააპელაციო სასამართლომ „რუსთავი 2“-ს აცნობა, რომ მოსამართლეთა კოლეგია კიდევ ერთხელ შეიცვალა და საბოლოოდ საქმე განსახილველად გადეცა კოლეგიას ნათია გუჯაბიძის, ყოფილი პროკურორის შორენა ყაველაშვილისა და კოლეგიის თავმჯდომარე ნატა ნაზღაიძის შემადგენლობით.

მოსამართლეთა მიუკერძოებლობისა და საქმის შედეგით დაინტერესებასთან დაკავშირებით ეჭვი გააღრმავა მოსამართლეების ნათია გუჯაბიძისა და შორენა ყაველაშვილის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა. კერძოდ, ტელეკომპანიის დირექტორმა, ნიკა გვარამიამ, გაავრცელა ინფორმაცია, მოსამართლე

ნათია გუჯაბიძის სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ. როგორც გაირკვა, მოსამართლე სახელმწიფოს ხარჯზე თბილისში სახლს საკუთარი დედისგან **ქირაობდა.** ასევე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ უზენაესი სასამართლოს იმ დროინდელი თავმჯდომარე ითხოვდა აღნიშნული საქმის პროკურატურისთვის გადაცემას, თუმცა საბჭოს ახლად არჩეულმა წევრებმა საკითხს მხარი არ დაუჭირეს და საქმე შესასწავლად არც მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას გადაეგზავნა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, მოსამართლე ნათია გუჯაბიძეს ბინის დაქირავებისთვის საჭირო თანხა 2007 წლიდან მოყოლებული რამდენიმე წლის განმავლობაში **უნაზღაურდებოდა.** აღნიშნული დაადასტურა მოსამართლის დედამაც, რომელმაც აღნიშნა, რომ ის ბინის ქირის თანხას არა შვილისგან, არამედ სახელმწიფოსგან **იღებდა.** დღემდე ნათია გუჯაბიძეს, დეკლარაციის მიხედვით, საკუთრებაში ბინა არ აქვს. მიუხედავად ამისა, იუსტიციის საბჭოს მდივნის, ლევან მურუსიძის განცხადებით გუჯაბიძემ ბინის ქირის ანაზღაურებაზე საკუთარი სურვილით უარი განაცხადა. მურუსიძემ არ უარყო, რომ საბჭომ იმსჯელა გუჯაბიძის საკითხზე, თუმცა სამართლებრივი ან დისციპლინური გადაცდომა ვერ **დაადგინა.**

იუსტიციის საბჭომ ოფიციალური განცხადებით დაადასტურა, რომ საბჭოს ნათია გუჯაბიძის მიმართ არასოდეს გამოუყენებია დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა ან ღონისძიება და საბჭოს არასოდეს მიუმართავს პროკურატურის ორგანოებისთვის მოსამართლე ნათია გუჯაბიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი გამოძიების დაწყების წინადადებით, თუმცა საბჭომ ვერ უარყო გავრცელებული ინფორმაციის სისწორე, ასევე, უპასუხოდ დატოვა საკითხი იმსჯელა თუ არა გუჯაბიძის მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კანონიერებასთან **დაკავშირებით.**

მიგვაჩნია, რომ იუსტიციის საბჭოს პოზიცია არ არის დამაჯერებელი. ის ფაქტი, რომ საბჭოს პროკურატურისთვის არ მიუმართავს და მოსამართლის მიმართ დისციპლინური სახდელი არ გამოუყენებია, არ გამორიცხავს აღნიშნული მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესაძლო ჩადენის ფაქტს.

„რუსთავი 2"-ის წარმომადგენლებმა უნდობლობა გამოუცხადეს მოსამართლე შორენა ყაველაშვილსაც. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის თანახმად, მოსამართლე შორენა ყაველაშვილი სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში **ირიცხება.** იუსტიციის საბჭოს მიერ „რუსთავი 2"-ისთვის გაგზავნილი დოკუმენტაციის მიხედვით, შორენა ყაველაშვილს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა 2005 წლის 18 ივნისს სისხლის სამართლის სპეციალიზაციით აქვს **ჩაბარებული.**

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მიხედვით, სამართლებრივ დავებს სააპელაციო სასამართლოში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შესაბამისი სპეციალიზაციით დაკომპლექტებული პალატები განიხილავენ. ამავე მუხლის მე-4 ნაწილი კი ზოგადი წესიდან გამონაკლისს ადგენს, რომლის მიხედვითაც, „აუცილებლობის შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ მოსამართლეს შეიძლება დაავალოს საქმის განხილვაში მონაწილეობა ამავე სასამართლოს სხვა პალატაში, ან საგამოძიებო კოლეგიაში". შესაბამისად, ის ფაქტი, რომ სამოქალაქო დავას სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მოსამართლე განიხილავს, ცალსახად უკანონობასა და კოლეგიის არაუფლებამოსილე-

ბაზე არ მიუთითებს. თუმცა სააპელაციო სასამართლომ ვერ განმარტა, თუ რა ტიპის აუცილებლობას ან მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხებას ჰქონდა ადგილი კონკრეტულ შემთხვევაში და რატომ აღმოჩნდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე მოსამართლე სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის საქმის განმხილველ კოლეგიაში, რაც აჩენს საფუძვლიან ეჭვს მოსამართლის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით.

მიგვაჩნია, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო კოლეგიის შემთხვევაში, არსებობდა საკმარისი საფუძვლები საქმის განმხილველ მოსამართლეთა აცილების თაობაზე. ნათია გუჯაბიძის შემთხვევაში არსებობდა ვარაუდი ხელისუფლების მხრიდან მასზე განხორციელებული ზეწოლისა, რაც შესაძლოა გამოხატულიყო მისი იმიჯის შელახვის, დისციპლინური წარმოების, ან/და სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მუქარითაც კი. შორენა ყაველაშვილის შემთხვევაში, არ დადასტურდა საჭიროება მისი, როგორც სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მოსამართლის მიერ, განსაკუთრებული სირთულის სამოქალაქო საქმის (როგორც ეს სააპელაციო კოლეგიამ აცნობა „რუსთავი 2“-ის წარმომადგენლებს) განხილვის აუცილებლობის თაობაზე. რაც შეეხება თამაზ ურთმელიძეს, ფაქტია მის მიერ „რუსთავი 2“-ის საქმის განხილვას დაემთხვა პროკურატურის მიერ, მისი დედის მიმართ ე.წ. „თაროზე შემოდებული“ საქმის გამოძიების აქტიურ ფაზაში გადასვლა. ამ გარემოებებმა საზოგადოებაში სამართლიანად გააჩინა ეჭვი მოსამართლეთა მიუკერძოებლობის თაობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად მოსამართლეთა მიუკერძოებლობის შეფასებისას ყურადღება ექცევა თვით მოვლენათა გარეგნულად გამოჩენის – საზოგადოების მიერ მისი აღქმის ფორმასაც. მოსამართლე საქმის განხილვისას, არა მხოლოდ მიუკერძოებელი უნდა იყოს, არამედ, გონიერი დამკვირვებლის თვალშიც ასეთად უნდა აღიქმებოდეს. „მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა განხორციელდეს, არამედ უნდა ჩანდეს კიდეც რომ განხორციელდა“ (Micallef vs. Malta, Wettstein vs. Switzerland, Meznaric vs. Croatia).

7.8.2. საქმის ფორსირებულ რეჟიმში განხილვა

ისევე, როგორც პირველმა ინსტანციამ სააპელაციო სასამართლომაც სწრაფ ტემპში გააგრძელა საქმის განხილვა. მას შემდეგ, რაც „რუსთავი 2“-ის საქმის განმხილველმა სააპელაციო სასამართლოს კოლეგიამ არაერთხელ უარი თქვა, როგორც მთლიანად კოლეგიის, ასევე ცალკეული მოსამართლეების აცილების შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე, საქმის განხილვა ფორსირებულ რეჟიმში წარიმართა.

სასამართლო ცდილობდა სხდომები რაც შეიძლება მოკლე ვადებში ჩაენიშნა, მაგალითად 30 მაისის სხდომა 31 მაისს დილის 10 სთ-ზე **განახლდა.** განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სასამართლო კოლეგია წინა სხდომებზე ინფორმირებული იყო შპს „ტელეკომპანია საქართველოს“ წარმომადგენლების მხრიდან 31 მაისს სხვა პროცესების გამო დაკავებული დღის წესრიგის თაობაზე. თავის მხრივ სასამართლომაც განმარტა 31 მაისის, ასევე, დაკავებული გრაფიკის თაობაზე. მიუხედავად აღნიშნულისა, სააპელაციო კოლეგიამ 31 მაისს, სხვა რამდენიმე პროცესის გადადების ხარჯზე, „რუსთავი 2“-ის საქმის განხილვა მოულოდნელად, სწორედ ამ რიცხვში **ჩანიშნა.**

სავარაუდოდ საქმის დაჩქარებული წესით განხილვის მიზნით, 31 მაისის სხდომაზე კოლეგიამ სასამართლო დარბაზიდან გააძევა „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი, ნიკა გვარამია. მომდევნო პროცესზე, 3 ივნისს, კოლეგიამ, სრულიად დაუსაბუთებლად, უარი განაცხადა „რუსთავი 2“-ის ადვოკატების შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, გვარამიას სასამართლო სხდომაზე დაშვების თაობაზე. მოსამართლე ნატა ნაზღაიძემ განმარტა, რომ გვარამიას პროცესის დაწყებამდე არ მიუმართავს სასამართლოსთვის სასამართლო სხდომებზე დასწრების ნებართვის თაობაზე. მაშინ, როდესაც საპროცესო კოდექსი არ აკონკრეტებს გაძევებული პირის ვალდებულებას, თავად მიმართოს სასამართლოს პროცესში მონაწილეობის მიღების ნებართვის თაობაზე. აღნიშნული შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობა აქვს მხარეს, ხოლო „რუსთავი 2“-ის ადვოკატები წარმოადგენდნენ მხარეს სასამართლო პროცესზე.

იმავე სხდომაზე კოლეგიის თავმჯდომარემ, იმ მოტივით, რომ შუამდგომლობის დაყენება ემსახურებოდა საქმის გაჭიანურებას, იხელმძღვანელა საპროცესო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილებით და ტელეკომპანიის წარმომადგენლებს უფლება არ მისცა დაეყენებინათ მოსამართლე ნათია გუჯაბიძის აცილების შუამდგომლობა. სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილების გამო გამოხატული პროტესტისათვის ადვოკატები მოსამართლე ნაზღაიძემ ჯერ დააჯარიმა, შემდეგ კი დარბაზი დაატოვებინა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დანარჩენ ორ წარმომადგენელს, დიმიტრი საძაგლიშვილს და თამთა მურადაშვილს.

მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე მხარე, შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ აღარ იყო წარმოდგენილი სასამართლო პროცესზე, კოლეგიამ სხდომის განხილვა გააგრძელა. აღნიშნული ქმედებით სასამართლომ დაარღვია საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნა, რომლის თანახმად თუ სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულება გაძევების შესახებ ეხება წარმომადგენელს, საქმის მოსმენა გადაიდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმეს თავიდანვე აწარმოებდა რამდენიმე წარმომადგენელი. მიუხედავად მხარის ყველა წარმომადგენლის გაძევებისა სასამართლომ საქმის გაგრძელების შესაძლებლობა დაასაბუთა იმით, რომ დამთავრებული იყო მოსარჩელე მხარეთა პოზიციის მოსმენა და სასამართლო სხდომის დარჩენილ ნაწილში აპირებდა მხოლოდ მოპასუხის იმ პოზიციის მოსმენას, რაც არ ეხებოდა პროცესზე წარმომადგენლის გარეშე დარჩენილ მხარეს. მიუხედავად ამისა, მოპასუხემ გვერდი ვერ აუარა „რუსთავი 2“-თან დაკავშირებული პოზიციების დაფიქსირებას. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ „რუსთავი 2“ დარჩა დაცვის უფლების გარეშე და სასამართლოს უკანონო ქმედებით დაერღვა სამართლიანი სასამართლოს უფლება.

განსაკუთრებით საგულისხმო გარემოებები გამოიკვეთა 07 ივნისის სხდომაზე. მოულოდნელად ქიბარ ხალვაშის წარმომადგენელმა უარი თქვა სრული მოცულობით მისი საჩივრის განხილვაზე, რომელიც ეხებოდა საავტორო უფლებების აღიარებას. გამომდინარე იქიდან, რომ სააპელაციო განხილვისას „რუსთავი 2“ მხოლოდ ამ საჩივრის ფარგლებში იყო მოპასუხედ წარმოდგენილი და ის არ იყო მოსარჩელე პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების საჩივრის ფარგლებში, სააპელაციო კოლეგიას ხელ-ფეხი გაეხსნა უარი ეთქვა „რუსთავი 2“-ის წარმომადგენლების პროცესზე დაშვების შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. სააპელაციო სასამართლოს კოლეგიამ საქმის განხილვა „რუსთავი 2“-ის წარმომადგენლების გარეშე დაასრულა.

ქიბარ ხალვაშის წარმომადგენელთა ქმედებამ, საავტორო უფლებებზე უარის თქმის ნაწილში, კიდევ ერთხელ და მკაფიოდ გაამყარა ეჭვი, რომ დავის ეს ნაწილი იმთავითვე სცდებოდა მისი ინტერესის ფარგლებს, და რომ ეს იყო გზა, საქმე განსახილველად დაწეროდა, იმ დროისთვის პირველ ინსტანციაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ დავების განხილვის სპეციალიზებულ ერთადერთ მოსამართლე, თამაზ ურთმელიძეს.

აღნიშნულის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ პროცესის გაჭიანურების თავიდან არიდების მოტივით, მოხსნა მოსარჩელე მხარის ყველა შუამდგომლობა, მოისმინა მოპასუხის პოზიცია და შეკვეცილი პროცესის ფარგლებში იმავე დღეს გავიდა გადაწყვეტილების **მისაღებად**, ხოლო 10 ივნისის გადაწყვეტილებით სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის **გადაწყვეტილება.**

7.8.3. გადაწყვეტილების ჩაბარება

სააპელაციო სასამართლოს კოლეგია და ზოგადად სასამართლო ხელისუფლება, რომ საქმის ფორსირებულ რეჟიმში განხილვით იყო დაინტერესებული დადასტურდა სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსარჩელისთვის გადაწყვეტილების საკუთარი ინიციატივით ჩაბარების ფაქტით. ფაქტობრივად უპრეცენდენტოდ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადებიდან 12 დღეში, 70 გვერდიანი გადაწყვეტილება, საკუთარი ინიციატივით ჩააბარა მოსარჩელე მხარეს, რითაც შეუზღუდა გასაჩივრების ვადის დამატებით 18 დღით სარგებლობისა და საკუთარი პოზიციის უკეთ მომზადების შესაძლებლობა.

მიგვაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების მომიზეზებით შეზღუდა მხარის უფლება კანონით დადგენილ ფარგლებში თავისი შეხედულებისამებრ მიეღო საპროცესო ვადებით სარგებლობის გადაწყვეტილება, რითაც ხელოვნურად დააჩქარა გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის ათვლა და საქმის სასამართლო განხილვის პროცესი.

გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო რა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებს, აღნიშნა, რომ განჩინების გასაჩივრების მსურველი მხარე ვალდებულია განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს განჩინება. აღნიშნული საპროცესო ვადები გასაჩივრების მსურველ მხარეს ანიჭებს შესაძლებლობას საკუთარი შეხედულებისამებრ დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პოზიციების დაცვის სტრატეგია. მეორე მხრივ 30 დღიანი მაქსიმალური ზღვრის დაწესება გვევლინება მხარის თვითნებობის და არაკეთილსინდისიერი ქმედების მზღუდავ გარემოებად, გააჭიანუროს საქმის სასამართლო განხილვა.

7.8.4. მატერიალური კანონდებლობის დარღვევა

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რა პირველი ინსტანციის შეფასებები უცვლელად დატოვა თ. ურთმელიძის მიერ კანონის არაერთი დარღვევით მიღებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო იმეორებს პირველი ინსტანციის მსჯელობას გარიგების ამორალურობის, სარჩელის ხანდაზმულობის და სხვა ასპექტებში. თუმცა ხაზგასასმელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა კეთილსინდისიერ შემძენთა საკითხთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ, ურთმელიძისგან განსხვავებით, ვერ უარყო საზოგადოების წილთან დაკავშირებით მონაცემებზე რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციის ფარგლების გავრცელება. თუმცა, ამ მიმართულებით განსხვავებული მსჯელობა განავითარა და მივიდა დასკვნამდე, რომ „რუსთავი 2"-ის მოქმედი მესაკუთრეები არაკეთილსინდისიერ შემძენებს წარმოადგენდნენ. სასამართლომ ეს მსჯელობა დააყრდნო რეესტრის უტყუარობის პრეზუმფციიდან გამონაკლის შემთხვევას, როდესაც შემძენისთვის ცნობილია უფლების ნაკლის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოქმედმა მესაკუთრეებმა იცოდნენ შეძენილ წილზე უფლების ხარვეზის შესახებ. კერძოდ, მათთვის ცნობილი იყო, რომ ქ. ხალვაშისა და შპს „პანორამას" ტელეკომპანიის წილი მათი ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მათი საკუთრებიდან. სასამართლო აღნიშნული დასკვნის გაკეთებისას დაეყრდნო მხოლოდ წილის ნასყიდობის ხელშეკრულებებს. სასამართლოს განმარტებით „რუსთავი 2"-ის წილების მესაკუთრეები წილზე საკუთრებას ასხვისებდნენ მოკლე დროში, იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული კომპანიები ან პირები, რიგ შემთხვევაში საკუთრება გაიცემოდა უსასყიდლოდ, რაც სასამართლომ მოქმედი მესაკუთრეების არაკეთილსინდისიერების მტკიცებულებად მიიჩნია.

მიგვაჩნია, რომ მხოლოდ კომპანიის წილებზე საკუთრების უფლების გასხვისების ანალიზი, ხალვაშის მიერ კონრეტული მტკიცებულების წარმოდგენის გარეშე, რაც უტყუარად დაადასტურებდა საკუთრების შემძენთა არაკეთილსინდისიერებას, ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების მტკიცების ტვირთის მოთხოვნებს. უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად[25], "კანონმდებლობა უშვებს საჯარო რეესტრის სისწორის პრეზუმფციას, რაც ნიშნავს იმას, რომ მესამე პირებისათვის რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. ამდენად საჯარო რეესტრი, ერთი მხრივ, სამოქალაქო ბრუნვის გარანტის ფუნქციას ასრულებს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი სრულ კონსენსუსშია სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებულ ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპთან."

7.9. საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

როგორც ზემოთაც აღინიშნა შპს „ტელეკომპანია საქართველომ", გიორგი და ლევან ყარამანიშვილებმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება 2016 წლის 12 ივლისს საკასაციო წესით გაასაჩივრეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებზე საკასაციო საჩივარის დასაშვებად ცნობის რამდენიმე წინაპირობას ადგენს. კერძოდ, საკასაციო საჩივარი დასაშვებია თუ, მათ შორის, (ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი

[25] http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n61-mnishvnelovani-ganmarteba.pdf;

სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, (ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, (გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. ამასთან, არაქონებრივ-სამართლებრივ დავებში საკასაციო საჩივარი დასაშვებია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე.

ნასყიდობის ხელშეკრულების ამორალურად მიჩნევა და მისი ბათილობა მხოლოდ და მხოლოდ ფასის დისპროპორციულობის საფუძველზე უპრეცენდენტოა, როგორც პირველი ორი ინსტანციის, ასევე საკასაციო სასამართლოს პრაქტიკაში. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 09 სექტემბრის განჩინებით, დასაშვებად ცნო საკასაციო საჩივარი რუსთავი 2-ის საქმეზე. ამავდროულად განჩინებაში აღნიშნა, რომ უზენაესი სასამართლო საქმეს ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს. ფორმალურად აღნიშნული კანონის დარღვევას არ წარმოადგენს, თუმცა საქმის საჯარო განხილვა, გაცილებით გაზრდიდა ნდობას სასამართლოსადმი.[26]

7.10. „რუსთავი 2“-ის საკონსტიტუციო სარჩელის განხილვა

განსაკუთრებით შემაშფოთებელია საკონსტიტუციო სასამართლოს ირგვლივ განვითარებული მოვლენების გავლენა „რუსთავი 2“-ის საქმეზე, კერძოდ სასამართლოს წინააღმდეგ ხელისუფლების მიზანმიმართულ კაპანია, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, რაც მწვავედ იქნა გაკრიტიკებული ვენეციის კომისიისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ და ასევე მოსამართლეებზე ზემოქმედების ფაქტები, რასაც სამართლიანად უკავშირებენ სწორედ „რუსთავი 2“-ის საქმეს. 2015 წლის 30 ოქტომბერს „რუსთავი 2“-მა საკონსტიტუციო სასამართლოს სამი სარჩელით მიმართა. მათ შორის, ერთ-ერთი სარჩელი ეხებოდა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის ჩანაწერის „ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს“ და 55-ე მუხლების არაკონსტიტუციურად ცნობას.

საქართველოს პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებით განხორციელებულმა ცვლილებებმა ვენეციის კომისიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკა დაიმსახურა. ორგანიზაციებმა აღნიშნული ცვლილებები დემოკრატიული სახელმწიფოს აუცილებელი ფუნდამენტური ღირებულებებისთვის საფრთხის შემცველად შეაფასა, რომლის მიზანი მთლიანად საკონსტიტუციო სასამართლოს პარალიზება და მისი უმნიშვნელოვანესი როლის დაკნინება იყო.

არასამთავრობო ორგანიზაციები ცვლილების ხარვეზებზე საუბრისას, მათ შორის, არ გამორიცხავდნენ 4 მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიის უფლებამოსილებების ჯეროვანი განხორციელებისთვის ხელის

[26] იხ. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/other/rustavi2-sarezolucio.PDF [უკანასკნელად შემოწმდა 23.09.2016]

შეშლის შესაძლებლობას. კერძოდ, ცვლილებების თანახმად კოლეგიის თითოეული მოსამართლე, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობის გადაწყვეტილებას, უფლებამოსილია, მოითხოვოს საქმის პლენუმისთვის გადაცემა. მოსამართლისთვის მსგავსი უფლებამოსილების მინიჭება განხილულ იქნა, როგორც საფრთხე კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების დროულად და ეფექტურად მიღების თაობაზე.

ცვლილებების განხორციელების შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო რომ საზოგადოების უარყოფითი მოლოდინები არ იყო უსაფუძვლო. ცვლილებების ამოქმედებიდან რამდენიმე დღეში, 2016 წლის 08 ივნისს, „რუსთავი 2"-ის საკონსტიტუციო სარჩელის განმხილველი სასამართლოს კოლეგიის წევრმა, მოსამართლე მერაბ ტურავამ, რომელიც მოსამართლედ ახალი ხელსიუფლების დროს იქნა არჩეული პარლამენტის მიერ, იხელმძღვანელა რა მოცემული ცვლილებებით „რუსთავი 2"-ის საქმის პლენუმისთვის **გადაცემა** მოითხოვა. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის საქმის განხილვა დასრულებული იყო და სასამართლო სათათბირო ოთახში იყო გასული გადაწყვეტილების მისაღებად. პლენუმმა მისი შუამდგომლობა ოთხი მოსამართლის, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის საწინააღმდეგო პოზიციის მიუხედავად დააკმაყოფილა და 2016 წლის 15 ივნისს საქმე პლენუმს გადაეცა.

საყურადღებოა იმ მოსამართლეების, მათ შორის, ამავე საქმის განმხილველი დანარჩენი სამი მოსამართლის პოზიცია ვინც საქმის პლენუმისთვის გადაცემას არ დაეთანხმა. მოსამართლეებმა საკუთარ განსხვავებულ აზრში აღნიშნეს, რომ მოსამართლე მ. ტურავას მიმართვის საფუძველზე პლენუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არა მხოლოდ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა კონსტიტუციური მართლმსაჯულების ეფექტურობასა და საკონსტიტუციო სასამართლოს გამართული ფუნქციონირების შესაძლებლობას, არამედ არ გამორიცხავდა თავად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის მოთხოვნებისა და კონსტიტუციური უფლებების დარღვევით გადაწყვეტილების მიღების საფრთხეს.

მ. ტურავას შუამდგომლობამ და საქმის პლენუმისათვის გადაცემამ გამოიწვია „რუსთავი-2" -ის საქმეზე, გადაწყვეტილების გამოტანის პროცესის გაჭიანურება, რადგან პლენუმმა გადაწყვეტილების გამოტანის ეტაპზე მყოფი საქმის ხელახალი განხილვა დაიწყო.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა საკუთარ განსხვავებულ აზრში აღნიშნეს, რომ „იმ პირობებში, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიამ არსებითი განხილვის შედეგად საფუძვლიანად გამოიკვლია 679-ე („რუსთავი 2"-ის) კონსტიტუციური სარჩელი, იმყოფება სათათბირო ოთახში და ასრულებს გადაწყვეტილების პროექტზე მუშაობას, კოლეგიის ერთი მოსამართლის შუამდგომლობის საფუძველზე საქმის ხელახლა განსახილველად პლენუმისთვის გადაცემა ეჭვქვეშ აყენებს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციით მინიჭებული მანდატის ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობას, ერთმნიშვნელოვნად იწვევს საქმის განხილვისა და გადაწყვეტის გაჭიანურებას".

აღსანიშნავია, რომ პლენუმმა მ. ტურავას შუამდგომლობის საფუძველზე „რუსთავი 2"-ის ორი სარჩელის განხილვა 2016 წლის 16 ივნისს დაიწყო და 18 ივნისს დაასრულა, თუმცა გადაწყვეტილება ამ დრომდე არ გამოუცხადებია. გასათვალისწინებელია, რომ 2016 წლის 30 სექტემბერს სასამართლოს ოთხ წევრს უფლებამოსილების ვადა ეწურება, საკონსტიტუციო სასამართლოს ახალ წევრთა დანიშვნის შემდგომ კი (თუკი მანამდე გადაწყვეტილება არ გამოცხადდა) შესაძლებელია საქმის ხელახლა განხილვის საჭიროება დადგეს.

8.

რეიტინგების დათვლა და სარეკლამო ბაზარი

TV MR GE

რეიტინგები უმნიშვნელოვანესი მონაცემებია ტელევიზიებისთვის რეკლამის მოსაზიდად, რაც თავის მხრივ, განაპირობებს ტელევიზიების ფინანსურ მდგრადობას. კომპანია „თი-ვი ემ-არ“ 2005 წლის 1 იანვრიდან აწვდის საქართველოს სატელევიზიო ბაზარს კვლევის შედეგებს. მისი საქმიანობის ერთადერთი მიმართულებაა სატელევიზიო აუდიტორიის გაზომვა. კომპანია რეიტინგებს მოსახლეობაში განთავსებული ფიფლმეტრების (people meter) საშუალებით ზომავს.

2014 წლის 24 თებერვალს შემოსავლების სამსახურმა „თი-ვი ემ-არ საქართველოს“ შემოწმება დაიწყო და ორგანიზაციისაგან იმ პირთა ვინაობის გამხელას ითხოვდა, სადაც რეიტინგების მზომავი მოწყობილობები იყო განთავსებული.

2014 წლის 09 მარტს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ (ISFED) და „მედიის განვითარების ფონდმა“ (MDF) **მოუწოდეს** ფინანსთა სამინისტროს, დათანხმებულიყო „თი-ვი ემ-არ საქართველოს“ ალტერნატიულ შემოთავაზებას „ფიფლმეტრების“ ოფისის ბაზაზე შემოწმების შესახებ. „შემოსავლების სამსახურის მიერ წამოყენებული მოთხოვნა კომპანიისადმი, გაუზიაროს მათ „ფიფლმეტრების“ მქონე ოჯახების მისამართები, შეიცავს რისკს მომავალში ამ კვლევის შედეგების სანდოობასთან დაკავშირებით. თუ ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის ხელისუფლებას, ზუსტად ეცოდინება, თუ სადაა განლაგებული „ფიფლმეტრები“, ჩნდება საშიშროება, რომ ისინი შეეცდებიან კვლევაში მონაწილე ოჯახების მეშვეობით კვლევის შედეგებით მანიპულირებას“, – ნათქვამია სამი ორგანიზაციის განცხადებაში.

2014 წლის 18 მარტს შემოსავლების სამსახურმა **განცხადება** გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ საკვლევი ოჯახების მიხედვით განთავსებული ტექნიკური საშუალებების შესახებ ინფორმაცია კომპანიამ არ მიაწოდა, რის გამოც დაეკისრა კანონით გათვალისწინებული ჯარიმა. ამავე განცხადებაში შემოსავლების სამსახური აპელირებდა ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის 994-ე **ბრძანებაზე,** რომლის თანახმად სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დათვლა უნდა მოხდეს მათი ფაქტობრივი განთავსების ადგილის მიხედვით.

2014 წლის 20 მარტს კომპანიამ მუშაობა დროებით **შეაჩერა** და მიზეზად დაასახელა: გვიან ღამით დაკითხვები, ოფისში 5 და 7 პირის/გამომძიებლის მუდმივი ყოფნა, თანამშრომლების დათრგუნვა და „უბრალოდ გაუსაძლისი პირობები შექმნა“. გავრცელებული ინფორმაციით TV MR-მა მუშაობა მალევე **განაახლა.**

2014 წლის 25 მარტს კომპანიამ მედიისთვის განმარტება გააკეთა, სადაც აღნიშნულია, რომ „კომპანიამ საგადასახადო ორგანოს არ გადასცა კვლევაში მონაწილე ოჯახების შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია, მხოლოდ ერთი მიზეზით: მას აქვს აღებული ვალდებულება როგორც კვლევის მეთოდოლოგიის მიხედვით, ასევე მის დამკვეთებთან (სატელევიზიო და სარეკლამო კომპანიებთან), რომ არ გაახმაურებს კვლევაში მონაწილე ოჯახების შესახებ ინფორმაციას ნებისმიერ მესამე პირზე, ხოლო მსგავსი ინფორმაციის გადაცემის შემთხვევაში კომპანია ვალდებულია დაუყოვნებლივ შეცვალოს კვლევაში მონაწილე ოჯახები. თუ მოხდება კვლევაში მონაწილე ოჯახების შესახებ ინფორმაციის შემოსავლების სამსახურისთვის სრულად და ერთბაშად გადაცემა, მაშინ კომპანია ვალდებული იქნება ჩაანაცვლოს გამჟღავნებული ოჯახების სია ახალი ოჯახებით, რისთვისაც საჭიროა ჩაატაროს წინმსწრები საბაზისო კვლევა დასარეკრუ-

ტირებელი ოჯახების ათმაგ ოდენობასთან (ანუ 3570 ოჯახთან) და მიღებული შედეგებიდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით არეკრუტიროს ახალი ოჯახები. შერჩევის ასეთი წესის დაცვა აუცილებელია კვლევის სანდოობის და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შენარჩუნებისთვის. ეს კი სერიოზულ ფინანსურ და დროით რესურსებს მოითხოვს და კომპანიის სრულფასოვან საქმიანობას მინიმუმ 5-6 თვით შეაჩერებს".

აღსანიშნავია, რომ საგადასახადო კოდექსის 255-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, „საგადასახადო კონტროლის პროცედურებმა გონივრულ ფარგლებში არ უნდა დაარღვიოს პირის საქმიანობის ჩვეული რიტმი და არ უნდა გააჩეროს მისი საქმიანობა", რაც კომპანიის შემოწმების დროს დარღვეული იქნა შემოსავლების სამსახურის ქმედებებით.

ასევე, შემოსავლების სამსახურმა სასამართლოს „თი-ვი ემ-არ საქართველოსგან" კონფიდენციალური მონაცემების მიღების შუამდგომლობით სამჯერ მიმართა, მაგრამ სასამართლომ შუამდგომლობები არ **დააკმაყოფილა**.

2016 წლიდან სატელევიზიო რეიტინგების ბაზარზე სატელევიზიო აუდიტორიის გამზომი ახალი კომპანია შპს „ტრი მედია ინტელიჯენსი" შემოვიდა, რომელიც საერთაშორისო კომპანია Kantar Media-ს ოფიციალური **ლიცენზიანტია**, რომელის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2014 წლის 13 ოქტომბერს დარეგისტრირდა და ბაზარზე საერთაშორისო კომპანია Kantar Media-ს ლიცენზიით შემოსვლის შესახებ განაცხადი ოქტომბერშივე გააკეთა.

კომპანია „თი-ვი ემ-არ საქართველომ" 2016 წლის 01 აგვისტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განცხადება **გაავრცელა**, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიის მიერ 2016 წლის 18 ივლისს გამოცხადებულ ტენდერს თაობაზე. განცხადების მიხედვით, ტენდერში SPA160020389 მონაწილეობდნენ კომპანია „თი-ვი ემ-არ საქართველო" და შპს „ტრი მედია ინტელიჯენსი", რომლის საბოლოო შეთავაზება 6 თვის მომსახურების გაწევაზე შეადგენდა 1000 ლარს დღგ-ს ჩათვლით. სატენდერო წინადადების მიხედვით 10 ქართული ადგილობრივი სამაუწყებლო არხის შედეგების შესაძენად საორიენტაციო ფასად 28500 ლარი იყო შეთავაზებული. კომპანიის აზრით, აღნიშნული თანხა კომერციულად საინტერესო მსგავსი ბიზნეს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო რესურსებზე მკვეთრად ნაკლებია და პირს, რომელიც მოცემულ თანხად შეასრულებს ადგილობრივი მაუწყებელი რეგიონალური ტელევიზიების აუდიტორიების კვლევას, აქვს სხვა ინტერესი აწარმოოს ანალოგიური კვლევები, მათ შორის საქველმოქმედო, პოლიტიკური და ა.შ.

აღნიშნულმა გაამყარა საზოგადოების პოზიცია სატელევიზიო სარეკლამო ბაზრის გადანაწილების მცდელობის თაობაზე. „TV MR საქართველოს" კონტრაქტორი კომპანიების განცხადებით, საქართველოს მასშტაბებიდან გამომდინარე ერთი კომპანია სრულიად საკმარისია ადგილობრივი ბაზრის ასათვისებლად. აღსანიშნავია, რომ „TV MR საქართველოს" წარმომადგენლებმა ბაზარზე მეორე კომპანიის გამოჩენა სახელმწიფოს მხრიდან ხელოვნურ მანიპულაციად შეაფასეს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი სცენარით **განვითარდა** მოვლენები სომხეთში, სადაც რეიტინგების მზომი მეორე კომპანიის გამოჩენამ პირველი კომპანია სარეკლამო ბაზრიდან გააქრო.

მიგვაჩნია, რომ „TV MR საქართველოს“ ირგვლივ განვითარებული მოვლენები საქართველოს სატელევიზიო სარეკლამო ბაზრის გადანაწილების მცდელობად უნდა შეფასდეს. ამასთან, არ გამოვრიცხავთ, რომ ერთის მხრივ ეს „რუსთავი 2“-ზე ხელისუფლების ზეწოლის გარკვეული ფორმაც ყოფილიყო. კერძოდ, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ „TV MR საქართველოს“ შემოწმების პროცესი სარეკლამო შემოსავლების მქონე ტელეკომპანიების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიად შეაფასა.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას **განმარტებით** „TV MR საქართველოს“ მიერ ოჯახების ვინაობის გამხელა კომპანიას იძულებულს გახდიდა შეეცვალა აპარატურის განთავსების ადგილი, რაც ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს. ამ პერიოდში რეიტინგის დაუთვლელობა „რუსთავი 2“-ის ბიუჯეტს გაანახევრებდა, რადგან რეკლამის განთავსება ტელეკომპანიის ეთერში მეტწილად, სწორედ რეიტინგებზეა დამოკიდებული.

„TV MR საქართველოს“ საქმე ადამიანის უფლებების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2014 წლის **ანგარიშშიც** აისახა.

9.

ტელეკომპანია „მაესტრო“

9.1. „ვახო სანაიას რეპორტაჟი“ 64
9.2. ჟურნალისტების მიერ ტელეკომპანიის დატოვება 65
9.3. მენეჯმენტის ცვლილება ტელეკომპანია „მაესტროში“ 65
9.4. გადაცემების „საქმიანი დილა“, „ბიზნესკონტაქტი“ და „ანალიტიკა“ დახურვა 67

ტელეკომპანია „მაესტროს“ ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა სამოქალაქო საზოგადოების ყურადღება არაერთხელ მიიპყრო. ტელეკომპანიის დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკა გახდა ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის კრიტიკის მიზეზი. შეიცვალა არხის მფლობელები და სარედაქციო პოლიტიკა, დაიხურა გადაცემები, რამდენიმე ჟურნალისტმა ტელეკომპანია პროტესტის ნიშნად დატოვა, ხოლო ზოგიც არხის მენეჯმენტმა გაათავისუფლა. ზემოაღნიშნულმა მოვლენებმა სამოქალაქო საზოგადოებაში გააჩინა ეჭვი ხელისუფლების მხრიდან თავისუფალი, კრიტიკული მედიის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევის თაობაზე.

9.1. „ვახო სანაიას რეპორტაჟი“

2014 წლის 18 მაისს, ვახო სანაიას საავტორო გადაცემაში „ვახო სანაიას რეპორტაჟი“ რამდენიმე სიუჟეტი გავიდა, სადაც საუბარი იყო კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ წინასაარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობაზე, ნეპოტიზმის მანკიერი პრაქტიკის არსებობაზე, როგორც ამჟამინდელ, ისე წინა ხელისუფლების პერიოდში. სიუჟეტი მოიცავდა თბილისის ქუჩებში ჩაწერილ ინტერვიუებს, რომლებშიც რესპოდენტები უკმაყოფილებას გამოხატავდნენ „ქართული ოცნების“ მიმართ.

2014 წლის 20 მაისს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურმა ტელეკომპანია „მაესტროს“ და თავად ჟურნალისტის კრიტიკა დაიწყო. იგი ტენდენციურობასა და სიცრუის ტირაჟირებაში **დაადანაშაულა.** „ქართული ოცნების“ მიერ გავრცელებულ **განცხადებაში** ასევე, გაკრიტიკებული იყო, როგორც თავად ჟურნალისტი, ისე მთლიანად ტელეკომპანია. ამავე განცხადების თანახმად, ტელეკომპანია „მაესტრო“ შესაძლოა ჩამდგარიყო იმ მედია საშუალებების რიგში, რომლებიც მათ ხელთ არსებულ ტრიბუნას, არაობიექტური ინფორმაციის ტირაჟირებისთვის იყენებენ.

2014 წლის 22 სექტემბერს ბიძინა ივანიშვილმა „კვირის პალიტრისათვის“ მიცემულ ინტერვიუში სატელევიზიო არხების მუშაობა **შეაფასა** და აღნიშნა, რომ „პირველი არხი“, „მაესტრო“, და „იმედი“ არ გამოირჩეოდნენ დამოუკიდებელი ხელწერით და ისინი იმეორებდნენ „რუსთავი 2“-ის მიერ წამოწეულ თემებს.

2014 წლის 28 სექტემბერს ვახო სანაიამ ტელეკომპანია „მაესტრო“ საკუთარი სურვილით **დატოვა**, „პირველი რადიოს“ ინფორმაციით ამის მიზეზი გენერალურ დირექტორ ბაია გადაბაძესთან კონფლიქტი გახდა. ბაია გადაბაძემ „ნეტგაზეთთან“ სანაიასთან არსებული უთანხმოება **დაადასტურა,** თუმცა სხვა დეტალებზე არ ისაუბრა. თავად ვახო სანაიამ კი ამ თემაზე კომენტარისაგან თავი შეიკავა და ტელეკომპანიიდან მისი წამოსვლის რეალური მიზეზი მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ გახდა საზოგადოებისათვის ცნობილი, მის მიერ სოციალურ ქსელ Facebook-ზე გამოქვეყნებული სტატუსის მეშვეობით.

ვახო სანაიას **განმარტებით**, ერთ-ერთი გადაცემის შემდეგ, რომელიც ხელისუფლების პირობებში ნეპოტიზმის ფაქტებსა და „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებებს ეხებოდა, გენერალური დირექტო-

რი ბაია გადაბაძე მას შეხვდა და უთხრა, რომ მის გადაცემებს შესაძლოა, „მაესტრო“ დაპირისპირებაში შეეყვანა ხელისუფლებასთან და პრობლემები შეექმნა.

ამგვარად, ზემოაღნიშნული ფაქტების ქრონოლოგია და მხარეთა განცხადებები აჩენს ეჭვებს, თუ რა ინტერესი იდგა რეალურად განვითარებული მოვლენების მიღმა და რომ ჟურნალისტ ვახო სანაიას გადაცემის დახურვის და მისი გათავისუფლების მიზეზი სწორედ გადაცემაში გასული სიუჟეტი გახდა.

9.2. ჟურნალისტების მიერ ტელეკომპანიის დატოვება

2014 წლის 28 ოქტომბერს გადაცემა „სუბიექტური აზრის“ წამყვანებმა დიანა ტრაპაიძემ და თეონა გეგელიამ ტელეკომპანია „მაესტრო“ დატოვეს. გადაცემის პროდიუსერის, ირაკლი აბსანძის, **განცხადებით** ეს გადაწყვეტილება დიანა ტრაპაიძემ ერთ-ერთი მფლობელის, მაკა ასათიანის მეუღლე, **რუსეთში მოღვაწე** ბიზნესმენ, კოტე გოგელიასთან შეხვედრის შემდეგ მიიღო. თეონა გეგელიამ კი სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა **მიმართვა**, რომელშიც უკმაყოფილება გამოთქვა არაკომპეტენტური მმართველის მიმართ.

2014 წლის 22 დეკემბერს ტელეკომპანია „მაესტრო“ ჟურნალისტების ნაწილმა დატოვა, მათ შორის არხის გენერალური დირექტორის მოადგილემ ნინო ჟიჟილაშვილმა და საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლებმა. ჟიჟილაშვილმა წამოსვლის მიზეზად კოტე გოგელიასთან სარედაქციო საკითხებზე შეუთავსებლობა **დაასახელა**. აღნიშნული ეხებოდა გოგელიას ხედვას, რომ ტელეკომპანია იდეოლოგიზირებული და „პროქართული“ უნდა ყოფილიყო, რაც ჟურნალისტთა აზრით, ნიღბავდა სიტყვა „პრორუსულს“. ასევე, მთავრობის კანცელარიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მრჩევლის, კოკა ყანდიაშვილის, ჩარევას და „მაესტროს“ ეთერში მისი გადაცემის სამომავლოდ გამოჩენას.

9.3. მენეჯმენტის ცვლილება ტელეკომპანია „მაესტროში“

„მაესტროს“ დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს შორის ფინანსურ და საკუთრების საკითხებთან დაკავშირებით დავა 2015 წელს წარმოიშვა.

2015 წლის 18 სექტემბერს შპს „სტუდია მაესტროს“ დირექტორმა ეთერ (ბაია) გადაბაძემ სასამართლოს შპს „სტუდია მაესტროს“ მიმართ გადახდისუუნარობის და გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ **მიმართა**.

22 სექტემბერს შპს „სტუდია მაესტროს“ 25%-იანი წილის მესაკუთრემ გიორგი (გია) გაჩეჩილაძემ, **პრეს-კონფერენცია** გამართა და განაცხადა, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოებას არ ეთანხმებოდა და მოითხოვა ტელეკომპანიის მართვაში გადაცემა, რადგან მისი აზრით, მიზანმიმართულად მიმდინარეობ-

და არხის გაკოტრება, რისი მიზეზიც კომპანიის კიდევ ერთი მფლობელის – მაკა ასათიანის მიერ ტელეკომპანიის მიერ მისგან აღებული კრედიტების დაფარვის მოთხოვნა გახდა.

2016 წლის 01 თებერვალს მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტელეკომპანიის 25%-იანი წილის მფლობელმა გიორგი გაჩეჩილაძემ სხვა მეწილეებისგან (გიორგი ებრალიძე და ლევან ჩიკვაიძე) ჯამში 30%-იანი წილი შეიძინა და 55%-ით ტელეკომპანიის საკონტროლო პაკეტის მფლობელი გახდა. დარჩენილი წილი კი პარტნიორებს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა - მამუკა ღლონტი 15%, ეკატერინე აკობია 5%, მაკა ასათიანი 25%.

მეორე დღეს კომპანიის მოქმედმა დირექტორმა – ბაია გადაბაძემ წილების გასხვისების საკითხი პოლიტიკურ მოტივებს დაუკავშირა და **განაცხადა**, რომ ეჭვს იწვევდა გაკოტრებული კომპანიის წილების, რომელსაც 50 მილიონიანი დავალიანება ჰქონდა, რამდენიმე მილიონ დოლარად გაყიდვა. მისი თქმით, წილების რეალური შემძენი ტელეკომპანია „იმედის“ არაოფიციალური მფლობელი, ირაკლი რუხაძე იყო და ის სხვა მოტივს ვერ ხედავდა, გარდა წინაასაარჩევნოდ ტელეკომპანიის დაუფლებისა.

2016 წლის 04 თებერვალს ტელეკომპანია „მაესტროს“ პარტნიორთა კრებაზე არხის გენერალური დირექტორი ბაია გადაბაძე თანამდებობიდან გადააყენეს. მის ადგილზე კი გიორგი გაჩეჩილაძის ძმა, ლევან გაჩეჩილაძე დაინიშნა.

პროცესებში ხელისუფლების ჩარევასთან დაკავშირებით ეჭვი გააჩინა პარტნიორთა კრების გამართვამდე 2 დღით საქართველოს პრემიერ-მინისტრის და გიორგი გაჩეჩილაძის შეხვედრამ, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციაში **გაიმართა**. პრემიერ-მინისტრმა შეხვედრა დაადასტურა, თუმცა „მაესტროს“ საქმესთან კავშირი **გამორიცხა.**

პარტნიორთა კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით 2016 წლის 09 თებერვალს, ბაია გადაბაძემ საჯარო რეესტრს **განცხადებით** მიმართა და მოითხოვა რომ მის მიერ 05 თებერვალს სასამართლოში შეტანილი დავისა და სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, შპს „სტუდია მაესტროს“ დირექტორის ცვლილება არ განხორციელებულიყო და ასეთი ცვლილების შესახებ განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეჩერებულიყო, რაც დაკმაყოფილდა.

სიტუაცია ტელეკომპანიაში კიდევ უფრო **დაიძაბა** 2016 წლის 07 მარტის შემდგომ, როდესაც საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ლევან გაჩეჩილაძე მაესტროს დირექტორად დაარეგისტრირა. სწორედ ამ გადაწყვეტილების გამო ყოფილი დირექტორის ბაია გადაბაძის მოთხოვნით ტელევიზიის შენობის დაცვა გაძლიერდა. მისი **განცხადებით**, ტელევიზიის იმ შენობიდან რომელიც მაკა ასათიანს ეკუთვნოდა ლევან გაჩეჩილაძე „მაესტროს“ მართვას ვერ დაიწყებდა. ლევან გაჩეჩილაძის ადვოკატი ნანუკა ჭკუასელის განმარტებით, კი მართალია, ეს შენობა არ არის შპს „მაესტროს“ საკუთრება, მაგრამ შპს „მაესტრო“ არის შპს

„მ-ინვესტმენტის“ მოიჯარე, რაც მას კანონით უფლებას აძლევს ისარგებლოს ამ შენობით, ხოლო რადგან გაჩეჩილაძე უკვე დარეგისტრირებულია დირექტორად, არანაირი სამართლებრივი ბერკეტი, რაც მას შენობაში შესვლას აუკრძალავდა, არ არსებობდა.

ამ განცხადების პასუხად ბაია გადაბაძემ გაასაჯაროვა დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულება „მაესტროს“ შენობის იჯარით აღების თაობაზე უკვე აღარ მოქმედებდა, რადგან შპს „სტუდია მაესტრომ“ ვერ შეძლო ვალის გადახდა. აღნიშნული დოკუმენტი 2015 წლის 08 დეკემბრითაა დათარიღებული და მასში აღნიშნულია, რომ შპს „მ-ინვესტმენტს“ 2015 წლის 31 დეკემბრის შემდეგ სტუდია „მაესტროსთან“ აღარ სურს საიჯარო ხელშეკრულების გაგრძელება. წერილში ასევე საუბარია სტუდია „მაესტროს“ მხრიდან „მ-ინვესტმენტის“ მიმართ არსებულ დავალიანებაზე, რაც 255 ათას 90 ლარს შეადგენდა.

9.4. გადაცემების „საქმიანიდილა“, „ბიზნესკონტაქტი“ და „ანალიტიკა“ დახურვა

ლევან გაჩეჩილაძე ჟურნალისტებს ეთერის უწყვეტობას, თანამშრომელთა ხელშეუხებლობასა და მათ საქმიანობაში ჩაურევლობას **დაპირდა**.

მიუხედავად ამისა, 2016 წლის 30 მაისს ტელეკომპანია „მაესტროდან“ „საქმიანი დილისა“ და „ბიზნესკონტაქტის“ „ანალიტიკის“ დამაარსებელი და ხელმძღვანელი გიორგი ისაკაძე გაათავისუფლეს.

„მაესტრომ“ ხელმძღვანელობამ „ბიზნესკონტაქტის“ 4 ჟურნალისტს „რუსთავი 2“-ის გადაცემა „არჩევანში“ მონაწილეობის გამო, სადაც გიორგი ისაკაძესთან ერთად ტელეკომპანიაში განვითარებულ მოვლენებზე **საუბრობდნენ**, შრომითი ხელშეკრულებები შეუჩერა. ამის შემდგომ, 2016 წლის 02 ივნისს ტელეკომპანიამ, გადაცემები „საქმიანი დილა“, „ბიზნესკონტაქტი“ და „ანალიტიკა“ საეთერო ბადიდან **ამოიღო**. ასევე, შპს „სტუდია მაესტროს“ დირექტორის გადაწყვეტილებით შრომითი ხელშეკრულებები დროებით **შეუწყდათ** „ბიზნესკონტაქტის“ და „საქმიანი დილის“ 32 თანამშრომელს.

პროცესები პოლიტიკურად მოტივირებულად **შეაფასეს** არასამთავრობო ორგანიზაციებმა. არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილმა „მაესტროს“ საქმე „რუსთავი2“-ის შემთხვევასთან გააიგივა. მათი განცხადებით, ტელეკომპანია „მაესტროს“ ირგვლივ განვითარებული პროცესები კიდევ უფრო ამძაფრებს ეჭვებს წინასაარჩევნო პერიოდში მედიაზე პოლიტიკური გავლენის მოპოვების მცდელობის შესახებ.

მოვლენებს **გამოეხმაურნენ** საქართველოს პრემიერ მინისტრი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები და „მაესტროს“ საკითხი ისევე, როგორც „რუსთავი2“-ის შემთხვევა, მესაკუთრეთა შორის კერძო დავად შეაფასეს და გამორიცხეს პროცესების ხელისუფლების მხრიდან მართვის ყოველგვარი ეჭვი.

საქართველოში ამერიკის ელჩის, იან კელის, **განცხადებით** ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფ-ლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოში მედია სექტორის თავისუფლება და დამოუკიდებ-ლობა, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში. იან კელი განმარტავს, რომ სწორედ ამ კონტექსტში განიხილავენ და აკვირდებიან ისინი ტელეკომპანია „მაესტროს“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს.

10.

ფეიქომპანია „ტაბული“

10.1. თავდასხმა „ტაბულას“ ჟურნალისტებზე 70

10.1 თავდასხმა „ტაბულას“ ჟურნალისტებზე

2016 წლის 12 იანვარს, თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩაზე, რესტორან „ჭაშნაგირში“ „ტაბულას“ ჟურნალისტებს ირაკლი კიკნაველიძეს, ლევან სუთიძეს, ნინო მაჭარაშვილსა და „ტაბულას“ ყოფილ თანამშრომელ ავთო ქორიძეს, თავს **დაესხნენ**. კიკნაველიძის განმარტებით, თავდასხმის მოტივს „ტაბულას მიერ ეკლესიის გინება“ წარმოადგენდა, რის გამოც ჟურნალისტებს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და რესტორნის ინვენტარიც დააზიანეს.

სამართალდამცავმა ორგანოებმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საგამოძიებო მოქმედებები იმავე დღეს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით, (ცემა) დაიწყეს.

აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით განცხადებები გააკეთეს პოლიტიკოსებმა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ბარამიძემ **აღნიშნა,** რომ „ტაბულას“ ჟურნალისტებზე თავდამსხმელებმა კანონის წინაშე პასუხი უნდა აგონ და მწუხარება გამოთქვა, რომ ასეთი მოძალადე ადამიანები საზოგადეობას სარწმუნოების ქომაგებად აჩვენებენ თავს. პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა კი სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან სათანადო რეაგირების იმედი გამოთქვადა ჟურნალისტებზე თავდასხმა და მათი ფიზიკური შეურაცხყოფა **დაგმო**. მისი განცხადებით, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის ჟურნალისტებზე თავდასხმა სერიოზული პრობლემაა და ასეთი შემთხვევები დემოკრატიულ საზოგადოებაში არ უნდა ხდებოდეს.

სახალხო დამცველმა, უჩა ნანუაშვილმა განსაკუთრებული ყურადღება გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობაზე **გაამახვილა**. მისი განცხადებით დემოკრატიის მშენებლობის პროცესში, თავისუფალ და დამოუკიდებელ მედიას განსაკუთრებული როლი აკისრია და საზოგადოებაში არ უნდა არსებობდეს დაუსჯელობის განცდა, რადგან სწორედ ეს ხდება ყოველი მორიგი სამართალდარღვევის მიზეზი.

ჟურნალისტებზე თავდასხმის მოტივებთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ. მისი განმარტებით პროფესიულ საქმიანობაში ჩარევას ადგილი არ ჰქონია, რადგან დაზარალებულები იმ მომენტში ჟურნალისტურ საქმიანობას არ ეწეოდნენ და გამოძიებაც სწორი მუხლით (სსკ 125. ცემა) მიმდინარეობდა.

ინციდენტთან დაკავშირებით შეშფოთება **გამოთქვეს** არასამთავრობო ორგანიზაციებმაც. მათ ყურადღება სამართალდამცავი ორგანოების მიერ მომხდარი ფაქტის სისხლის სამართლებრივ კვალიფიკაციაზე გაამახვილეს. მათი განცხადებით, დანაშაულის გარემოებების აღწერისას მითითებული უნდა ყოფილიყო სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3[1] ნაწილით გათვალისწინებული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ნიშნების არსებობა. ისინი ასევე გამოეხმაურნენ ვიცე-სპიკერის განცხადებას და აღნიშნეს, რომ თავდასხმელებმა თავდასხმის მოტივად „ტაბულას“ საქმიანობა თავად მიუთითეს, რაც სწორედაც რომ მათი ჟურნალისტური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია და წარმოადგენს ჩარევას დაზარალებულების გამოხატვის თავისუფლებაში. ამგვარ ფაქტზე ხელისუფლების მხრიდან არასათანადო რეაგირება კი „გამყინავ ეფექტს“ იქონიებს გამოხატვის თავისუფლებაზე.

ტელეკომპანია „ტაბულა“

15 იანვარს შსს-მ გაავრცელა **განცხადება,** რომლიდანაც ირკვეოდა, რომ მათ ტელეკომპანია „ტაბულას“ ჟურნალისტებზე მომხდარი თავდასხმის ინციდენტში მონაწილე ოთხი პირის ვინაობა დაადგინეს. 2016 წლის 02 თებერვლის **ინფორმაციით,** მართალია გამოძიება ცემის მუხლით დაიწყო, თუმცა ინციდენტში მონაწილე სამ პირს, თორნიკე თუთბერიძეს, დემეტრე ლაფანაშვილს და შალვა გაგნიძეს პროკურატურამ ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარუდგინა. ეს უკანასკნელი გულისხმობს ძალადობით ან ძალადობის მუქარით ადამიანის დევნას სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

ბრალდების მხარემ სამივე პირისთვის გირაოს სახით 5 000 ლარის შეფარდება მოითხოვა, თუმცა სასამართლომ პროკურორის მოთხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა და თორნიკე თუთბერიძეს 2500 ლარის, დემეტრე ლაფანაშვილს 3000, ხოლო შალვა გაგნიძეს 2000 ლარის გადახდა დააკისრა.

WWW.GDI.GE